# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 3 ოქტომბერი 2000 №190 (1212) | ფასი 50 თეთრი


# სამარანჩი ნამდვილად არ ტყუოდა
## სიდნეი ბრწყინვალე იყო

ელგუჯა ბერიშვილი სიდნეიდან



## ოცნება გადაიდო

მეექვსე მედალიც ბრინჯაოსი გამოდგა. ელდარ კურტანიძემ გაიმეორა ატლანტური შედეგი, საქართველოს დელეგაციამ კი იმავე ატლანტისას სამჯერ „მოუგო". კარგა ხანია, ელდარ კურტანიძეს ხელშესახები გამარჯვება არ მოუპოვებია. ჩვენი სპორტის მონაგარიც, რამდენი წელი გავიდა, ასეთი არ ყოფილა. კურტანიძე საფინალოდ ემზადებოდა, მაგრამ ბოლო ნაბიჯი არ გამოუვიდა, საქართველოს გუნდიც უოქროვერცხლოდ დარჩა.

იხილეთ მეხუთე გვერდი



ავთანდილ ბუხაიშვილი სიდნეიდან

ელდარ კურტანიძემ მესამე ადგილისთვის ბრძოლა მოიგო და მეორე ოლიმპიური ბრინჯაო დაისაკუთრა

## 36 წავიდა, 32 წამოვიდა

გუშინ, ჩვენით ნაშუადღევს, საქართველოს ოლიმპიური გუნდი სიდნეიდან გამოემგზავრა. სინგაპურის, ბაჰრეინისა და ათენის გამოვლით ჩვენებურები თბილისში 5 ოქტომბერს ჩამოფრინდებიან. გამომგზავრებისას სიდნეის აეროპორტში არ გამოცხადდნენ და დელეგაციასთან ერთად არ გამოფრინდნენ მოჭიდავეები ალექსანდრე ცერცვაძე, გურამ მჭედლიძე, ძალოსნები მუხრან გოგია და ვალერი სარავა.




REUTERS სიდნეიდან

ოლიმპიადა სამშობლოს უბრუნდება! სიდნეი უკვე წარსულია, ოთხი წლის მერე ათენია

## ჯანაშიამ, ტვინი შემერყაო!
### ნაკრები ლიტვაში მიფრინავს, მერე იტალიაა

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

**უკვე** მერამდენედ — მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველი თავდამსხმელი ზაზა ჯანაშია საქართველოს ნაკრების შესარჩევ მატჩებს გამოტოვებს.

— 7 და 11 ოქტომბერს, ლიტვასთან და იტალიასთან ვერაფრით დაგეხმარებით — გუშინ ტელეფონით აცნობა ჯანაშიამ ეროვნული გუნდის ერთ-ერთ მთავარ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს — ბოლო მატჩში ტვინი შემერყა და ექიმების რჩევით 12 დღე უნდა დავისვენოო.

ჯანაშიას ნათქვამი ძოძუაშვილს მოსკოვის „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამაც დაუდასტურა, თანაც დააყოლა, ფეხბურთელისთვის თბილისში გამოსაფრენი ბილეთი უკანვე დავაბრუნეთო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაქვს საბაბი ჯანაშიასა და „ლოკომოტივის" ხელმძღვანელთა სიტყვებს არ ვენდოთ, თუმც კი ერთი ფაქტი, ვფიქრობთ, საგულისხმოა: ზაზა ჯანაშიამ სანკტ-პეტერბურგში „ზენიტთან" 90 წუთს ითამაშა, ერთი გოლიც გაიტანა და პარტნიორთაგან უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა.

გუშინვე, ეროვნული გუნდის თავკაცებმა ზაზა ჯანაშიას შემცვლელიც გამოიძახეს — ლონდონის „ჩელსის" ნახევარმცველი რატი ალექსიძე. ის ნაკრებს კაუნასში შეუერთდება, ისევე როგორც თითქმის ყველა ლეგიონერი. უცხოეთში მოთამაშე ნაკრების წევრთაგან თბილისში წუხელ კიევის დინამოელები — კახა კა... და გიორგი დემეტრაძე უნდა ჩამოფრ... ყვნენ. მეკარე დავით გვარამაძე კი ... ლმის საწვრთნელ ბაზაზე იყო.

საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის პირველი შესარჩ... ტარებლად ლიტვის დედ... დღეს, 10 საათზე ჩარტერ... ნავს, იქიდან კი შ...

დანარჩენს ჩვენს შესარჩევ მატჩებ... ვახტანგ ბზი... ეებში წ...

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 16 |
| | | | | | 13 |
| | | | | 10:6 | 11 |
| | | | 2 | 6:7 | 11 |
| | | 1 | 2 | 6:10 | 10 |
| | | 0 | 4 | 7:9 | 9 |
| | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| 7 | 1 | 3 | 3 | 7:9 | 6 |
| 7 | 1 | 3 | 3 | 2:5 | 6 |
| 7 | 2 | 0 | 5 | 3:15 | 6 |
| 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | 1 |

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა 12
პირველი წრე

# 7 ტური

1 ოქტომბერი, კვირა

| | |
|---|---|
| ტორპედო | 2 |
| მერანი | 1 |
| დინამო | 3 |
| კოლხეთი | 2 |
| ბათუმი | 1 |
| ლოკომოტივი | 2 |
| სიონი | 2 |
| დილა | 0 |
| გორდა | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| თსუ | 1 |
| იბერია | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 7 | 0 | 0 | 12:2 | 21 |
| ლოკომოტივი | 7 | 6 | 0 | 1 | 19:4 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | 14 |
| დინამო | 7 | 4 | 0 | 3 | 8:10 | 12 |
| მერანი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | 11 |
| გორდა | 7 | 2 | 4 | 1 | 8:11 | 10 |
| თსუ | 7 | 3 | 0 | 4 | 10:13 | 9 |
| დილა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | 7 |
| კოლხეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 8:11 | 6 |
| ბათუმი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:12 | 6 |
| სიონი | 7 | 2 | 0 | 5 | 6:8 | 6 |
| იბერია | 7 | 0 | 1 | 6 | 1:11 | 1 |

ქუთაისი
1 ოქტომბერი
16 საათი
ტორპედო
2 000 (ტევადობა 19 432)

## ტორპედო 2:1 მერანი

0:1 გოდერძიშვილი (16), 1:1 იონანიძე (65პ), 2:1 იმედაძე (87)
ტორპედო: ზოიძე, ახვლედიანი, ხვადაგიანი, შალამბერიძე, თავბერიძე, ჩხეტიანი, გუჩუა, კ. კვეტენაძე (ჩხაიძე 71), იმედაძე (მახვილაძე 88), ასათიანი (შეყრილაძე 81), იონანიძე
სათადარიგონი: ტოგონიძე; თურმანიძე, ვაჩიბერაძე, ბობოხიძე
მერანი: დევაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე (ბაჯელიძე 75), კაკუბავა, ჭინჭარაული, დ. გოდერძიშვილი, მუხინი, პოდლესნი, ხორხელი (თოლორდავა 88), ბოლქვაძე (როსტიაშვილი 77)
სათადარიგონი: ნაჭყებია; ოდიშარია, გ. ილურიძე, ჩანადირი
გაფრთხილება: ბოლქვაძე (9), ჭინჭარაული (48)
გაძევება: თავბერიძე (57)
მსაჯები: მ. მალალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ლ. მიქელაძე (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

ბათუმი
1 ოქტომბერი
16 საათი
დინამო
2 000 (ტევადობა 20 000)

## ბათუმი 1:2 ლოკომოტივი

0:1 რუსია (35), 1:1 ლლონტი (49), 1:2 რუსია (78)
ბათუმი: ბედიაშვილი, მჟავანაძე, მინდაძე, პაპიძე, დარჩიძე (თევდორაძე 81), ლლონტი, რომანაძე (კაკაბაძე 83), გელა ქორიძე, აფხაზავა, მუჯირი, ყულეჯიშვილი (ბეჟანიძე 85)
სათადარიგონი: ჯაში; ქაცარავა, სიხარულიძე, ჩოხელი
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე, თოდუა, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, ლევან სილაგაძე, გონჩაროვი (პარამონოვი 90), ხიზანიშვილი, რუსია (გილაური 83)
სათადარიგონი: ასლანაძე; ხუროძე, სალუქვაძე, აფციაური
გაფრთხილება: მუჯირი (14), ჭიჭვეიშვილი (16), პაპიძე (87)
მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი, ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

# მსაჯი წყალში, მწვრთნელი ზურგზე

მცხეთა
1 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
50 (ტევადობა 3 000)

## თსუ 1:0 იბერია

1:0 გოცირიძე (39)
თსუ: გუგუნავა, ზვ. ლაბაძე, ხარებავა, ებრალიძე, სვანაძე, რ. გოცირიძე, წუწუნავა (ა. ბოკერია 87), ახალაძე, ერაძე, ბ. ნოზაძე (არეშიძე 28), ვადაჭკორია
სათადარიგო: მამარდაშვილი;
იბერია: ვარდანიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, ხმალაძე, ჩიმაკაძე (ყურაშვილი 46), ზ. მეტრეველი (ონიანი 82), ბიწაძე, ოდიკაძე, გიგიაძე
სათადარიგონი: ჩომახიძე; ჭოლაძე
გაფრთხილება: გიგიაძე (23), წუწუნავა (40), გოცირიძე (70)
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ურუშაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი);
სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან

მცხეთაში სტუმრად ნაწვევმა „იბერიამ" შესაშური ბრძოლისუნარიანობა და თავდადება გამოავლინა. სოსო ფრუიძის ბიჭებს ქულის მოპოვებაც შეეძლოთ, მაგრამ თამაშის ბოლოს ორი რეალური მომენტი „არმაზზე" მოვარდნილ ნიაღვარს გაატანეს და უკან უქულოდ, გალუმპულები გაბრუნდნენ.

ის იყო, მსაჯმა ავთო შალამბერიძემ თამაშის დაწყების ნიშანი მისცა და ცამაც პირი მოხსნა. თავსხმა წვიმა წუთითაც არ შეწყვეტილა, მინდორიც ნელ-ნელა იტბორებოდა. საწყისი ათითხუთმეტი წუთი გუნდები მაინც თამაშობდნენ, მერე კი მინდორზე ფეხბურთს მიმსგავსებული სპორტის უცნაური სახეობა გაჩაღდა.

...წყალმა იმატა, სათადარიგოები, მწვრთნელები და გუნდების ტექნიკური პერსონალი სკამებზე შედგნენ. დასავლეთ მხარეს, მინდვრის გვერდითი ხაზი მთლიანად წყალმა დაფარა, მინდორზე ბურთის გორება ძალიან გაჭირდა.

თსუ-ს მწვრთნელმა თენგიზ კაციამ ლამის მუხლებამდე წყალში შეტოპა და ფეხბურთელებს ანიშნა, ბურთი ზემოთ ააგდეთ და ეცადეთ, მეტოქის საჯარიმოში ჩააგდოთო. შეგირდებმა დარიგება შეისმინეს და ტაიმის ბოლოსკენ ამ ხერხმა გაჭრა. ერაძემ ბურთი „იბერიას" საჯარიმოში ჩააწოდა, სტუმართა მეკარემ საჰაერო დუელი წუწუნავასთან წააგო. ვერ უწიეს მისმა მუშტებმა ბურთს. ფორვარდის თავურს კი გოცირიძემ მიუსწრო და ბურთი კარში შეაგდო.

„იბერიამ", რომელსაც მასპინძელთა კართან ორიოდ სახიფათო მომენტი მანამდეც შეექმნა, თსუელებს მიჰბაძა. მაღალი გადაცემები და წვალება მინდორზე — პირველი ტაიმის ბოლო წუთები და მთელი მეორე ნახევარი ასე გაილია.

ერთხანს შალამბერიძემ თამაშის შეჩერებაც კი გაიფიქრა, მაგრამ მატჩის გაგრძელებაზე ორივე მხარე ყაბულს იყო და მსაჯმაც თავი ბოლომდე გაწირა. განსაკუთრებით თანამსაჯ ხუციშვილს გაუჭირდა. თითქმის მთელი ორი ტაიმი წყალში იდგა და თავის ძირითად ფუნქციას მხოლოდ ვარაუდებით აკონტროლებდა.

დამთავრდა პირველი ტაიმი. ფეხბურთელებმა გასახდელებს მიაშურეს. იბერიელი ნოზაძე თანაგუნდელებს ჩამორჩა, წყალშემდგარ სათადარიგოთა სკამთან მივიდა, თავისი მწვრთნელი სოსო ფრუიძე ზურგზე შეისვა და გასახდელისკენ გააქანა.

ასევე გაისარჯა არბიტრი შალამბერიძეც. ჯერ ინსპექტორი ელგუჯა სილაგავა ზურგით წყალს გაარიდა, მერე თსუ-ს ტექნიკური დირექტორი ელგუჯა ხუციშვილი გადაარჩინა გალუმპვას.

გასახდელებშიც კოჭებამდე წყალი იდგა, თამაშიც ხუთიოდ წუთის დაგვიანებით განახლდა, თუმც სად იყო თამაში.

მასპინძლებმა ერთი რეალური მომენტი გაა[...]დეს, სტუმრებმა — ორი და მსაჯმაც როგო[...] იქნა, დაასრულა ფეხბურთისა და წყალბურთის ნაზავი. „არმაზის" საშხაპეებში კი ცხელი წყალიც მოთქრიალებდა, იბანავებდნენ, ალბათ, გათოშილი ფეხბურთელები. რა თქმა უნდა, თუ იყო მაგის ძალა. მატჩმა ხომ სამი თამაშის ენერგია წაიღო.

# გორდა გამამწარებელი

რუსთავი
1 ოქტომბერი
16 საათი
ფოლადი
1000 (ტევადობა 10 700)

## გორდა 0:0 ვიტ ჯორჯია

გორდა: ნიკურაძე, გაბელაია (მჭედლიძე 74), ბაჩილავა, ბურნაძე, მელაძე, ზ. ლაბაძე, მიშველიძე, ა. ბუკია (მ. სახვაძე 53), ლაშა სილაგაძე (კიტეიშვილი 50), დ. ბერიძე, ბექაური
სათადარიგონი: გონგაძე, პატარიძე, ფოჩხუა, გ. გ. მიქაძე
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, ზვ. გვაზავა (დეკანოსიძე 76), გიორგი ქორიძე, სულთანიშვილი (გოჩაშვილი 78), ლ. მელქაძე
სათადარიგონი: სტურუა; იანკირველი
გაფრთხილება: ბერიძე (19), საჯაია (40), ქორიძე (83)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. კრიჭაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

კობა ინასარიძე რუსთავიდან

მეოთხე თამაშია ზედიზედ, „გორდას" ვერ მოუგია. მეოთხე ტურში, გორში „დილასთან" მშვიდობიანი ანგარიშით გაყრის შემდეგ, რუსთაველები აქტივს თითო-თითო ქულას უმატებენ. თუ „იბერიასა" და „დილას" არ ჩავთვლით, პრიზიორობისთვის მებრძოლი „მერანი" და „ვიტ ჯორჯიაც" გვარიანად გაამწარეს — რუსთავში ჩასულთ სამი ქულა არ გაატანეს და თითოს დააჯერეს. ვიტელებთან შედარებით, „მერანს" კი შეეძლო „გორდას" დამარცხება, მაგრამ მაშინ სულ ბოლო წუთზე გათანაბრდა ანგარიში, კვირას „ვიტ ჯორჯიასთან" კი მატჩი როგორც დაიწყო, ისევე დამთავრდა, გინდ ანგარიში იგულისხმეთ, გინდ თამაშის ხარისხი. ერთი ეგ იყო, მატჩის ბოლოს „ვიტ ჯორჯია" გააქტიურდა და რამდენჯერმე შეექმნა საგოლე მომენტი, მაგრამ ფეხბურთელებს ნაწვიმარ მინდორზე ფეხის მოკი[...]ბა უჭირდათ და საბოლოოდ არაფერი გამოუ[...]

[...]ლ ტაიმში კი აღსანიშნავი მხოლოდ სი[...]არტყმული გახლდათ, რომელიც მერ[...]ში მოიგერია. შესვენებამდე მატჩი [...] და მეტოქეები უშელავათოდ თა[...]ვერ იტყვის. ეს მოედნის ბრა[...]ს დაწყებისთანავე რომ ატა[...]

[...]მა ოდნავ იმატა და [...]ართან.

მე-60 წუთზე „გორდას" ცოტა იღბალი რომ ჰქონოდა, გაიტანდა კიდეც. მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ლაბაძის კუთხურს ბურნაძემ თავი შეაგება, ბურთი ხარიხამ აისხლიტა, იქვე სახვაძემაც დაამატა, მაგრამ მერლანმა იყოჩაღა და ბურთი კვლავ კუთხურზე გადააგდო. რეალური მომენტი იყო და „ვიტ ჯორჯიაც" გამოფხიზლდა.

მატჩიც დაიძაბა, ფეხბურთელები მეტოქესთან ყოველი შეხებისთვის ჯარიმას ითხოვდნენ, სათადარიგოთა სკამიდანაც წამოიშლებოდნენ-ხომლეე, მსაჯობით უკმაყოფილონი. დოგრაშვილი კი მშვიდად იყო, ფეხბურთელებს თამაშის საშუალებას აძლევდა და მატჩს იშვიათად აჩერებდა, უხეშობასაც არავის პატიობდა.

ბოლოს „ვიტ ჯორჯიას" უპირატესობა უკვე აშკარა გახლდათ, თუმცა მასპინძლებიც თავისას ცდილობდნენ და ერთი-ორჯერ მეტისმეტად რომ არ ეჩქარათ და სამ-ოთხჯერ პასი ზუსტად მიეწოდებინათ, ალბათ, გოლსაც გაიტანდნენ. ვიტელები კი სულ ბოლო მომენტში სცოდავდნენ, იქამდე ყველაფერს კარგად აკეთებდნენ, მაგრამ კარში ველარ ურტყამდნენ, ხანაც სტუმარ ფეხბურთელებს ბურთი ფეხებში ებლანდებოდათ.

მატჩის შემდეგ

*ვლადიმერ ხაჩიძე („ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი):*

— ძალიან ცუდი მოედანი იყო და ამის გამო როგორც გვსურდა, ისე ვერ ვითამაშეთ. ყველანაირად უკმაყოფილო დავრჩი, შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც. განაცხადის ბოლომდე შევსება ჩვენთვის პრობლემა არ არის, შეგვიძლია, მოთამაშეები ფარმ-კლუბიდანაც დავიმატოთ, მაგრამ ჯერჯერობით ამას არ ვაკეთებთ. ისე კი, ორი ფეხბურთელი — ხაჭაპურიძე და დოლიძე ავადაა. გუნდიდან გამთამაშებელ ყიფიანის წასვლის შემდეგ ვცდილობთ, სხვანაირი ტაქტიკით ვითამაშოთ, ამას კი დრო უნდა. გამოყოფით ვერავის გამოვყოფ, თუმც მცველებს ვერაფერს ვუსაყვედურებ. მათ რაიმე მნიშვნელოვანი შეცდომა არ დაუშვიათ.

*იასონ ალადაშვილი („გორდას" მწვრთნელი):*

— დაძაბული თამაში იყო და იღბალი რომ გვქონოდა, ეგებ მოგვეგო კიდეც, მესამე მატჩია, თავდამსხმელი გვაკლია, ალადაშვილი ავადაა, ივეჩიანი უფულობის გამო სიმფეროპოლიდან ვერ ბრუნდება და იძულებული ვარ, თავდასხმაში მცველი ვათამაშო. შედეგით კი კმაყოფილი ვარ. „ვიტ ჯორჯია" კარგი გუნდია. მსაჯი, პირდაპირ ვიტყვი, ბევრჯერ შეცდა.



ალექსანდრე ბურნაძემ (№4), სპარტაკ ბაჩილავამ და პავლე ბექაურმა ვეტერინარი ლაშა ნოზაძის შეტევა ჩაშალეს



დინამოელთა კაპიტანმა თენგიზ სიჭინავამ მამუკა გვასალიას თერთმეტმეტრიანი გაუტანა

# კბილის გაკრაჭუნებაო...

თბილისი
1 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
600 (ტევადობა 70 900)

**დინამო 3:2 კოლხეთი**

0:1 ღაღანიძე (7), 1:1 შელია (47), 2:1 სიჭინავა (54პ), 2:2 ხუჭუა (58), 3:2 ზამთარაძე (79)
დინამო: გრიშიკაშვილი, ქქმოკლიძე, ი. ვაშაკიძე, შელია, ა. სახვაძე, მაზიაშვილი (ზამთარაძე 46), ჯინჭარაძე, დათუაძე (რუხაძე 80), სიჭინავა, გადელია (ზირაქიშვილი 80), კ. გოგოლაძე
სათადარიგონი: ჩიხრაძე, ბურდული, მაზიაშვილი, გ. ვ. მიქაძე
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, პაპავა, ფანჩულიძე, კიკლიაშვილი, ღაღანიძე, ე. გვასალია (მალაკელიძე 46), კვირკველია (ახალკაცი 22), მაჯაბულიძე, ხუჭუა
სათადარიგონი: ჩემია, თედეევი, გ. ჩიტაია, კუდულაშვილი, ქუნთელია
გაფრთხილება: დათუაძე (26), ხუჭუა (30)
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ბ. დოლიძე (თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ზ. ჯვარიძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ლ. ყიფიანი

დავით თავართქილაძე

**კმაყოფილი** იყო მატჩის შემდეგ დინამოელთა დამრიგებელი რევაზ არველაძე: „ერთიორად გახარებული ვარ, რომ სამი ქულა მძიმე ბრძოლაში მოვიპოვეთ, თამაში შემოვაბრუნეთ. ჩვენ გამარჯვებისკენ სწრაფვა და ბრძოლისუნარიანობა გამოვამჟღავნეთ. როგორც იქნა, „დინამომ" კბილები გამოაჩინა".

მჭერმეტყველი გამოდგა ფოთელთა თავკაცი. მან თავისი და რევაზ არველაძის მდგომარეობა იმ კაცისას შეადარა, რომელმაც რაც შეიძლება დროულად უნდა მოარგოს კლიტეს გასაღები და იმედი გამოთქვა, რომ ამას ორივე შეძლებს.

...ზაველ ღაღანიძეს ბევრჯერ გაუტანია საჯარიმო დარტყმით (მათ შორის „დინამოსთვისაც"). ამ ჯერზე კი გრიშიკაშვილი გააწბილა — ფლანგური ჯარიმიდან მასპინძელთა მეკარე საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს ელოდა და შორეული ძელისკენ გასწია, ღაღანიძემ კი მოჭრილი დარტყმით ბურთი ორკაციან კედელს შემოატარა და იგი ახლო, მიტოვებულ კუთხეში შეასრიალა.

კოლხთა პლეიმეიკერის ეშმაკურმა გოლმა „დინამო" გაახელა. ერთობ გააქტიურდა მასპინძელთა ფორვარდი კახა გოგოლაძე, რომელიც ბევრს მოძრაობდა, იხსნებოდა, სტუმართა დაცვას ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. ერთ დროს თურქმენეთის ეროვნული გუნდის თავდამსხმელმა იმ დღეს თავისი თამაში ითამაშა — აგრესიული მანერით მოქმედი ფორვარდები ჩვენი ჩემპიონატისთვის მართლაც იშვიათობაა. მან ჯერ ჯინჭარაძეს დაუგორა ბურთი გოლის გასატანად ფოთელთა საჯარიმოში, მერე ვაშაკიძეს, მაგრამ ჯერ მამუკა გვასალიამ აჯობა დინამოელს, მერე კი ძელმა იხსნა კოლხთა კარი.

ალსანიშნავია სიჭინავას ოცდაათიოდე მეტრიდან შესრულებული ჯარიმა, რომელიც გვასალიამ გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე.

შესვენების შემდეგ „დინამომ" კიდევ უფრო შმაგად შეუტია და ანგარიშიც მყისვე გაათანაბრა, როცა გოგოლაძის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა დათუაძემ ისე შეასრულა, რომ მურთაზ შელიამ მეორე სართულზე ყველას დაასწრო. სიჭინავას ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანი კი ვაშაკიძემ მოინადირა.

დაწინაურებამ დინამოელები ცოტა არ იყოს ეიფორიაში ჩააგდო, ხოლო ფოთელები თამაშის ასეთმა შემობრუნებამ ფსიქოლოგიურად ვერ დათრგუნა. გამოცდილმა კიკლიაშვილმა ისეთი დროული და ზუსტი პასით გაიყვანა ხუჭუა გრიშიკაშვილთან პირისპირ, რომ გოლის არგატანა საცოდაობა იქნებოდა.

აი, ამის მერე კი მასპინძლებმა ისე გონივრულად შეუტიეს კოლხებს, რომ თამაში ცალკარას დაემსგავსა. მატჩის ერთ მონაკვეთში თბილისელებმა შტურმიც კი მოუწყვეს სტუმრებს ჭეშმარიტად ფოთურ ამინდში, გადაუღებელ წვრილ წვიმაში. გამარჯვების მომტანი გოლი დიდებული გამოდგა — ზამთარაძე თავისი მარჯვენა ფლანგიდან შურდულივით შეიჭრა კოლხთა საჯარიმოში, ძლიერად დაარტყა, ბურთი ხარიხას მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა.

მართალია, „დინამოს" დარად დღესდღეობით არც „კოლხეთს" ულხინს, მაგრამ ფლაგმანის ასეთი თამაში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. რევაზ არველაძის თქმისა არ იყოს, გუნდმა მართლაც გააკრაჭუნა კბილები. კარგია, თუ „დინამოს" კიჭუნები სალი გამოდგება და იქნებ სიბრძნის კბილსაც მალე ველირსოთ.

# სოლოლაშვილი — სოლოლაშვილს

ბოლნისი
1 ოქტომბერი
16 საათი
თამურ სტეფანია
800 (ტევადობა 3 000)

**სიონი 2:0 დილა**

1:0 ვ. მაისურაძე (4), 2:0 ისიანი (76პ)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ძაბინძლაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი (სვანიძე 87), ვ. მაისურაძე, მოსეშვილი (დ. ჯაფარიძე 86), ბარნოვი, სოლოლაშვილი, ისიანი (კ. მეტრეველი 84), წივწივაძე
სათადარიგონი: დალაქიშვილი, ჩაგელიშვილი, თ. სამხარაძე, მ. სამხარაძე
დილა: სოლოლაშვილი, ბარდიანი, გრიგალაშვილი, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, რევაზიშვილი, ფეხუაშვილი, დ. მაისურაძე (გ. ლომიძე 59), ხოხობაშვილი (ხორგუაშვილი 65), კოტორაშვილი (საყვარელიძე 79), ხმალაძე
სათადარიგონი: სოშიაშვილი, გ. ტულუში
გაფრთხილება: ფეხუაშვილი (3), რევაზიშვილი (23), დ. მაისურაძე (49), დიმიტრიშვილი (63)
გაძევება: გოჩაშვილი (76)
მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მქსხი (ორივე ზუგდიდი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

**განვმარტოთ**, რომ დავით სოლოლაშვილი „სიონის" ნახევარმცველი და გუნდის ლიდერია, რამაზ სოლოლაშვილი კი გორელი მეკარეა. სწორედ ამ ორის დამსახურებაა, რომ ბოლნისური მატჩი ფეხბურთს წააგავდა და მხოლოდ 2:0 დასრულდა. დისკვალიფიკაციამოხდილი სოლოლაშვილი შეუდარებელი გახლდათ, მისი პასები უზადო და დახვეწილი იყო. მან მატჩის დასაწყისშივე გაიბრწყინა და კუთხურიდან თავზე დაასვა ბურთი ვასილ მაისურაძეს. ნაადრევმა გოლმა ბოლნისელებს ფრთები შეასხა, თუმც „დილაც" მედგრად დაუხვდა მეტოქის შეტევებს და თამაშიც ძირითადად მოედნის ცენტრალურ ნაწილში გაჩაღდა, იქ კი სოლოლაშვილი ბატონობდა და სხარტი გადაცემებით ამარაგებდა თანაგუნდელებს. თავის მხრივ, წივწივაძესა და ისიანს „დილას" მცველები სჯობდნენ და პირველ ტაიმში გუნდები თითო სახიფათო მომენტსღა დასჯერდნენ. ჯერ სოლოლაშვილის ძლიერი დარტყმა ასცდა მიზანს მცირედით, 35-ე წუთზე კი ხმალაძეს, პირველ ტაიმში „დილას" ერთადერთ ფორვარდს, ვოლკოვმა აუღო სუსტად დარტყმული ბურთი.

მეორე ნახევრის პირველივე წუთზე წივწივაძემ ეფექტური გოლი გაიტანა — ისიანის თავით დაგდებულ ბურთს შეუჩერებლივ დაჰკრა და მეტოქის კარის ზედა კუთხეში ჩაჭედა. ბოლნისელთა სიხარული ზაზა მენთეშაშვილის აღმართულმა ალამმა დააცხრო — თანამსაჯმა, თამაშგარეაო.

„სიონმა" საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა და სოლოლაშვილის ჯერიც დადგა. 10-წუთიან მონაკვეთში მოსეშვილი, წივწივაძე და ისიანი სამჯერ აღმოჩნდნენ მასთან პირისპირ და სამჯერვე რამაზმა იმარჯვა — მოსეშვილს ფეხიდან ააცალა ბურთი, ისიანს და წივწივაძეს კი 8-9 მეტრიდან არ გაატანინა.

მეკარის შემართებამ ვერაფერი შემატა „დილას". მერაბ ხუციშვილის შეგირდებს უფრო და უფრო უჭირდათ მოედნის ცენტრში ბურთის დაჭერა და სრულფასოვანი შეტევის განხორციელება. სოლოლაშვილი კი აგრძელებდა პასების ფეიერვერკს, 75-ე წუთზე უკვე მეოთხედ შეჰყარა მან თანაგუნდელი სტუმართა მეკარეს. ისიანი, ალბათ, გაიტანდა კიდეც, უკნიდან გოჩაშვილს რომ არ წაექცია. კვარაცხელიამ „დილას" მცველს წითელი აუნთო, პენალტი კი დაზარალებულმა უნაკლოდ შეასრულა — 2:0.

ისიანის გოლს თავსხმა წვიმა მოჰყვა. ხუთ წუთში მთელი მოედანი დაიტბორა, ფეხბურთელებს გადაადგილება უჭირდათ და შეცდომებმაც იმატა. ამით ისევ ბოლნისელებს შეეძლოთ ეხეირათ: მე-80 წუთზე ირემაშვილის თავური სოლოლაშვილმა სასწაულებრივ გადააგდო კუთხურზე. მატჩის ბოლოსწინა წუთზე კი მან მცველების შეცდომაც გამოასწორა და ჯაფარიძის ათიოდე მეტრიდან დარტყმულ ბურთს სწორი პოზიცია შეურჩია.

# სტუდენტობა განახევრდა

**თბილისის** თსუ-ს თითქმის ყველაფერი გამოუცდია. გაჭირვების დროც უნახავს და აღზევების პერიოდიც ჰქონია. სტუდენტები კი ისევ უძლიერესთა მარაქაში იბრძვიან და ჩვენს პირობებში საკმაოდ გამართულ ფეხბურთსაც თამაშობენ.

თენგიზ კაციამ ფაქტობრივად სეზონის დასაწყისიდანვე ახალი გუნდის შენება დაიწყო. მერლანი, ინწკირველი და დეკანოსიძე „ვიტ ჯორჯიამ" წაიყვანა. მაზიაშვილმა „დინამოს" მიაშურა, ბარქაიამ — „ბათუმს". ხართიშვილი გუნდს დაეთხოვა და მისი ასავალ-დასავალი უცნობია.

თსუ მაინც იბრძვის, ხან მოიგებს, ხანაც წააგებს. ფრე ჯერაც არ უთამაშია. გასულ კვირას კი თენგიზ კაცია თითქმის გამოუვალ ვითარებაში აღმოჩნდა. ადამია, კვიციანი, მორჩილაძე, მამარდაშვილი, სვანაძე, ხარებავა და ალადაშვილი სხვადასხვა სახის ტრავმათა გამო იძულებით ისვენებდნენ. ამას მესხის დისკვალიფიკაცია დაემატათ და თსუ-მ თერთმეტი მოთამაშე ძლივს მოაგროვა „დინამო 2"-თან სათასო მატჩში. 1:3 წააგეს ის თამაში სტუდენტებმა და მეშვიდე ტურმაც მოაწია.

კაციამ ისევ მოისაკლისა ადამია, კვიციანი, მორჩილაძე, ალადაშვილი და დისკვალიფიცირებული მესხი. თსუ-მ დაძაბულ ბრძოლაში „იბერიას" მოუგო.

„ახლა ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენებაა და ვეცდებით, ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ. კვიციანის ტრავმა მაფიქრებს, თორემ მერვე ტურამდე ყველა მოთამაშე მწყობრში იქნება. მართალია, ებრალიძე ახალგაზრდულ გუნდში გამოიძახეს, ხოლო ლაბაძე და ნოზაძე თვრამეტწლამდელთა ნაკრებში არიან მიწვეული, მაგრამ მათი ამბავი ნაკლებ სანერვიულოა, ვფიქრობ, ბიჭები ნაკრებიდან ამაღლებული განწყობით დაგვიბრუნდებიან" — გვითხრა თსუ-ს თავკაცმა თენგიზ კაციამ.

ალბათ, მწვრთნელის ვარაუდი გამართლდება და თსუ-ს გასაჭირი სიხარულად გადაექცევა.

დათო დანელია

# ბოსკამპი გეგუჩაძეს ვერ ელევა

**ღარიბია** ქართული ფეხბურთი მაღალი კლასის მოთამაშეებითა და მით უფრო მწვრთნელებით. მათი დაოსტატებისთვის უცხოეთში მივლინება კი აუცილებელზე აუცილებელია.

გია გეგუჩაძემ ექვსი წელი იმუშავა თბილისის „დინამოში". მისი ამ კლუბში მოღვაწეობის ბოლო პერიოდი იოჰან ბოსკამპის ეპოქას დაემთხვა. ჰოლანდიელს მაშინ ისე მოუვიდა თვალში ჩვენებური ახალგაზრდა, ინგლისური ენის მცოდნე მწვრთნელი, რომ საქართველოს ეროვნულ გუნდშიც უხმო თანაშემწედ. მაგრამ, მოგეხსენებათ, ბოსკამპ-დე იონგ-გეგუჩაძის თანამშრომლობა ხანმოკლე აღმოჩნდა, ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელი მოგვიანებით კი ფაქტობრივად უსაქმოდ დარჩა, თუმცა...

გია გეგუჩაძე 11-13 სექტემბერს უეფას კონფერენციას დაესწრო ჟენევაში 18-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელ შოთა ჭეიშვილთან ერთად. 12-16 ოქტომბერს კი მორიგ კონფერენციაზე გაემგზავრება ფრანკფურტში. მისი მეგზური ამჯერად თბილისის „დინამოს" თავკაცი რევაზ არველაძე იქნება (ცნობისთვის, კონფერენციები შემეცნებით-ანალიტიკური ხასიათისაა). დინამოელთა თავკაცი გერმანიიდან შინ დაბრუნდება, ხოლო გია გეგუჩაძე კი ბელგიას მიაშურებს.

იოჰან ბოსკამპს, რომელიც ახლა ბელგიურ „გენკს" წვრთნის, საგანგებოდ დაურეკია გია გეგუჩაძისთვის და თავის კლუბში დაახლოებით ერთთვიან სტაჟირებაზე მიუწვევია. გია გეგუჩაძე იოჰან ბოსკამპის „გენკში" 10 ნოემბრამდე დარჩება.

დავით თავართქილაძე



გია გეგუჩაძე

დღევანდელ „სარბიელში" საფეხბურთო გვერდებია 2, 3, 4, 13, 14, 15, 16

საქართველოს 12 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე

# 7 ტური

30 სექტემბერი, შაბათი

**ზუგდიდი 3:0 თორი**
**ცხინვალი 5:0 თბილისი**
**იბერია 1:2 გურია**
**მილანი 2:1 მეტალურგი**
**ოკეანე 0:1 შუქურა**
**ხობი 0:0 სამგურალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 7 | 5 | 1 | 1 | 20:5 | 16 |
| შუქურა | 7 | 5 | 1 | 1 | 9:1 | 16 |
| ზუგდიდი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:7 | 13 |
| სამგურალი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:6 | 11 |
| მეტალურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 6:7 | 11 |
| გურია | 6 | 3 | 1 | 2 | 6:10 | 10 |
| თორი | 7 | 3 | 0 | 4 | 7:9 | 9 |
| მილანი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ოკეანე | 7 | 1 | 3 | 3 | 7:9 | 6 |
| ხობი | 7 | 1 | 3 | 3 | 2:5 | 6 |
| თბილისი | 7 | 2 | 0 | 5 | 3:15 | 6 |
| იბერია | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | 1 |

პირველი ლიგის მიმოხილვა იხილეთ ხუთშაბათის „სარბიელში"

## ინგლისი

# ლესტერიდან და დერბიმდე

VIII ტური

### ასტონ ვილა 4:1 დერბი ქაუნთი

1:0 ჯოუჩიმი (28), 2:0 მერსონი (37), 3:0 რაიტი (54), 3:1 რიგოტი (61), 4:1 ჯოუჩიმი (87)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ბერი, ალფაი, ტეილორი, ლ. ჰენდრი (ბოატენგი 68), სტოუნი, მერსონი, დაბლინი, ჟინოლა (ჯოუჩიმი 19; ვასელი 89)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
დერბი ქაუნთი: პოომი, შნური (დელაპი 46), ბრაგსტადი, ჰიგინბოთემი, რიგოტი, პაუელი, ჯონსონი, ერანიო, ბარლი, კრისტი (სტარიჯი 46), დ. ბარტონი (ძინძლაძე 46)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: ბარლი
26 534 მაყურებელი

### არსენალი 1:0 მანჩესტერი

1:0 ანრი (30)
არსენალი: სიმენი, ლუჟინი, კიოუნი, ადამსი, სილვინიო, ბერხკამპი (ვილტორდი 78), გრიმანდი, პარლოუ, ლიუნგბერგი, ანრი, კანუ (ვიეასი 57)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მანჩესტერი: ბარტეზი, ირვინი, გ. ნევილი, იონსენი, სილვესტრი, ბექემი, სქოულზი, კინი, გიგზი (სოლსკიაერი 85), ე. კოული, შერინგემი (იორკი 68)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ადამსი, ბერხკამპი, ირვინი, ბექემი, ნევილი
38 146 მაყურებელი

### ჩელსი 3:0 ლივერპული

1:0 ვესტერფელდი (10ს.კ.), 2:0 ჰასელბაინკი (11), 3:0 გუდიონსენი (71)
ჩელსი: დე გუი, ლებეფი, დესაი, ჰასელბაინკი (ფლო 80), უაიზი, ლე სო, მელხიოტი, ფერერი (ბაბაიარო 72), გუდიონსენი, დალა ბონა (მორისი 76), ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ლივერპული: ვესტერფელდი, ენჩოსი, ციგე, ბაბელი, ჰესკი, ოუენი, ჰიიპია, ჰამანი, ჯერარდი, ბარმბი (ფაულერი 67), კარაგერი (მეგემი 67)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: უაიზი, ჯერარდი
34 966 მაყურებელი

### სანდერლენდი 0:0 ლესტერი

სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, გრეი, ტომე, კრადოკი, ჰათჩისონი, უილიამსი, კილბეინი, არკა (ოსტერი 71), ფილიპსი, ნ. ქუინი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ლესტერი: ფლაუერსი, როუეტი, მ. ელიოტი, ტაგარტი, იმპი, დავიდსონი, სევიჯი, ლენონი, იდი (გაპი 90), აკინბი (ბენჯამინი 75), კროსველი (ოუქსი 79)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: ქუინი, გრეი, ტომე, ტაგარტი
45 338 მაყურებელი

### ჩარლტონი 2:2 ქოვენთრი

0:1 ალოიზი (41), 1:1 ჰანტი (60), 1:2 ბელამი (71პ), 2:2 იოჰანსონი (88)
ჩარლტონი: კიელი, პაუელი, ბრაუნი, რუფუსი, კონჩესკი (შილდსი 78), იოჰანსონი, რობინსონი (სალაკო 48), იენსენი, კინსელა, ჰანტი (ლისბი 61), სტიუარტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ქოვენთრი: ჰედმანი, ედვორთი, უილიამსი, შოუ, ჩიპო, ტელფერი, პალმერი, ოსტიჩი, ალოიზი (რუსელი 86), ბელამი, ჰალი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: რუფუსი, ჩიპო, ბელამი
20 043 მაყურებელი

### ევერტონი 0:3 იფსვიჩი

0:1 მაკგრელი (19), 0:2, 0:3 სტიუარტი (49, 60)
ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, ვეირი, ანსუორთი (მ. ჰიუზი 67), ალექსანდერსონი (მაკლეოლდი 75), ნიარკო, გრავესენი, გესქოინი, ჯემილი, ჯ. კემპბელი, მური (ს. ჰიუზი 67)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, კლაპამი, მაკგრელი, მეჯილტონი, ჰოლანდი, სტიუარტი (ჯონსონი 77), ნეილორი (შოუკროფტი 62), ჯ. რაიტი, ბრემბლი, ჰრეიდარსონი
მწვრთნელი: კრის ჰაჩინგსი
გაფრთხილება: ნიარკო
32 597 მაყურებელი

### ლიდსი 4:3 ტოტენჰემი

0:1 რებროვი (37), 1:1, 2:1 ვიდუკა (52, 55), 3:1 სმიტი (59), 3:2 პერი (60), 4:2 სმიტი (64), 4:3 რებროვი (74)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ჰარტი, რადებე (ჰეი 46), მილსი, ბოიერი, დაკური (მაკფაილი 76), ბაკე, მატეო, ვიდუკა (ბრიჯისი 80), ა. სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ტოტენჰემი: სალივანი, კარი, ტეტჩერი, პერი, ვეგა, შერვუდი, ლეონარდსენი, ფრიინდი, ლ. ფერდინანდი (ანდერტონი 30), ივერსენი, რებროვი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: ივერსენი, ვეგა
37 562 მაყურებელი

### მანჩესტერ სიტი 0:1 ნიუკასლი

0:1 შირერი (74)
მანჩესტერ სიტი: ნ. რაიტი, უიტლი, რიჩი, პრიორი, ჰაალანდი (კრუქსი 77), ვიკენსი, ჰორლოკი (კენედი 46), ტიატო, დიკოვი, ვანჩოპე, ვეა (ბიშოპი 70)
მწვრთნელი: ჯო როილი
ნიუკასლი: გივენი, დომი, ლი, სპიდი, გრიფინი (კოლდუელი 46), ა. ჰიუზი, შარვე, კორდონე (ლუა ლუა 63), გალაჰერი, დაიერი (სოლანო 73), შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: გრიფინი
34 497 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 1:3 მიდლსბრო

0:1 ბოკშიჩი (17), 0:2 ფესტა (32), 1:2 პახარსი (81), 1:3 ბოკშიჩი (82)
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, ბრიჯი, რიჩარდსი (სოლტვედტი 64), ლუნდეკვამი, ლე ტისიე, პახარსი, ელ ხალეჯი, ოკლი, როსლერი (ბიტი 72), კაჩლული (რიპლი 83)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
მიდლსბრო: უოლში (კროსლი 83), ფლემინგი, ვიკერსი, ფესტა, კუპერი, ინსი, ონილი, ბოკშიჩი, რიკარდი (ველანი 87), კარამბუ (სამერბელი 76), მასტო
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: კაჩლული, ბიტი, ონილი, კარამბუ
14 903 მაყურებელი

### ვესტ ჰემი 1:1 ბრედფორდი

1:0 კოული (26), 1:1 პეტრესკუ (90)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პირსი, შტიმაცი, რ. ფერდინანდი, ტ. სინკლერი, უინტერბერნი, ლომასი, კარიკი, ჯ. კოული, დი კანიო, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ბრედფორდი: კლარკი, იაკობსი (ბიგრი 63), პეტრესკუ, აზერტონი, ვეზეროლი, ლოურენსი, უინდასი, მაკკოლი, უოლი (ჰალე 46), უორდი, კარბონე, შარპი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: პირსი, დი კანიო, შტიმაცი, უინდასი, ვეზეროლი
25 407 მაყურებელი




არსენალი — მანჩესტერი 1:0. „ნუ ნაღვლობ, ამისთანა დარტყმულს ვერავინ აიღებდა“ — ამშვიდებს ანრი ბარტეზს.

**სამშაბათს** თუ კიდევ ეჭვი გვეპარებოდა, გუშინწინ საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ნახევარი ძალით ორი კურდღლის დაჭერის მცდელობა თვით ალექს ფერგიუსონისთვისაც ისევე მთავრდება, როგორც სხვებისთვის. „არსენალისთვის“ ხალხი დავასვენოო, გადაწყვიტა სქოთმა და პრემიერლიგაშიც იგივე მოიმკო, რაც ჩემპიონთა ლიგაში — ნოლი ქულა.

„ჩვენს დასამარცხებლად მეტოქეს რაიმე საგანგებოს მოფიქრება მოუწევს“ — ამბობდა „იუნაიტედის“ თავკაცი. პასუხად ტიერი ანრის მართლაც საგანგებო, ულამაზესი გოლი მიილო: სტუმართა კარიდან ოციოდ მეტრში ზურგით მდგარმა ფრანგმა თანამემამულე ჟილ გრიმანდის ჩვეულებრივი პასი მიიღო, წამში ბურთი ოდნავ აიგდო და მეორე წამს ისეთი დაჰკრა, ასევე თანამემამულე ფაბიენ ბარტეზი სახტად დატოვა. „ექვსი თამაში ანრის გოლი ვერ გაეტანა. ეს, ცხადია, მასზე დიდად მოქმედებდა, მაგრამ დღეს წარმოუდგენელი რამ შეძლო და გვიშველა“ — ხარობდა ნამატჩევს არსენ ვენგერი. ფერგიუსონმა კი — ჩვენ უკეთესი გუნდი ვართ, მაგრამ „არსენალი“ ჩვენზე უფრო ძნელად გასატეხიაო — თავი ასე იმართლა. მართლაც, მეორე ტაიმში მანჩესტერელებმა გარდატეხის შეტანა სცადეს, მაგრამ ლონდონელთა დაცვა ისევე მედგრად იდგა, როგორც ოთხიოდ დღით ადრე „ლაციოსთან“.

ეს მატჩი „ჰაიბერიზე“ კვირას შუადღეზე შედგა, ორიოდ საათში კი 1963 წლიდან პირველად ქვეყნის უმაღლესი დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერი „ლესტერი“ გახდა. პიტერ ტეილორის გუნდმა ამჯერადაც არ გაუშვა და მიუხედავად იმისა, რომ არც თავად გაუტანია, „ა ლა იტალიანო“ ბურთების სხვაობით (რვა ორზე) და 16 ქულით პირველ ადგილზე წამოსკუპდა.

ამასობაში „ჩელსიმ“ ლივერპულელი მომხვდურები გაანადგურა და სენტ გალენში ლამის საბოლოოდ დაკარგული რეპუტაცია აღიდგინა. მასპინძელთა გამარჯვებას სათავე ჰოლანდიელმა სანდერ ვესტერფელდმა დაუდო. დიახ, სწორედ „ლივერპულის“ მეკარეა პირველი გოლის ავტორი — ძოლას კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი პირდაპირ თავის კარში მოიგერია. 90 წამის მერე იმავე კარში კიდევ ერთი ბურთი შევარდა, ისიც ჰოლანდიური „წარმოშობის“, ოღონდ ამჯერად გოლის ავტორი ჰასელბაინკი გახლდათ. „ის მივიღეთ, რასაც ვიმსახურებდით. მეტოქეს ორი გოლი ვაჩუქეთ, ამის მერე კი, რაც უნდა ძლიერი თავდასხმა გყავდეს, მატჩის შემოტრიალება ყოველთვის ძნელია“ — აღიარა ჟერარ ულიემ. ასეც იყო: 0:2-ზე ოუენს და კომპანიას ხელები არ ჩამოუშვია, მაგრამ გოლი ისევ მათ კარში გავიდა, ამჯერად ისლანდიელი სიგურიონსონისგან. რაღა გასაკვირია, რომ „ჩელსის“ ახალი თავკაცი კლაუდიო რანიერი მეცხრე ცაზე იყო: „სწორედ ეს გვჭირდებოდა მე და ჩემს ფეხბურთელებს. განსხვავება ამ და შვეიცარიულ მატჩს შორის მოთამაშეთა საქმისადმი მიდგომაში გამოიხატა“. აღსანიშნავია, რომ რანიერიმ რატი ალექსიძე კვლავ შეიყვანა მატჩის განაცხადში, თუმცა ამჯერად ქართველი თამაშის ბოლომდე სათადარიგოთა სკამს შემორჩა.

და ვესტერფელდი? „ძალიან ძნელია მოთამაშეს ასეთი რამ აპატიო, მაგრამ ამჯერად ვპატიობ. მომავალ მატჩში მან უნდა დაგვიმტკიცოს, რომ ეს შემთხვევით მოხდა“ — ულიემ მეკარეს უკანასკნელი გაფრთხილება აკმარა.

მოკლედ, „ჩელსი“ ოდნავ დაშორდა ცხრილის მისთვის უჩვეულო ნაწილს. სამაგიეროდ, მთლად ფსკერზე დაეშვა „დერბი ქაუნთი“, რომელიც ერთადერთია ლიგაში, გამარჯვება თვალით რომ არ უნახავს. ბირმინგემში სტუმრებმა მართლაც ცხვრებივით ითამაშეს და 1:4 წააგეს. ქინქლაძის გარეშე მყოფთ სულ თავიდან დავიდ ჟინოლამ შეუტია, თუმცა მატჩის გმირი სწორედ ფრანგის 19-ე წუთზევე შემცვლელი ჯულიან ჯოუჩიმი გახდა წყვილი გოლით. გაიტანა ბებერმა მერსონმაც... ქინქლაძე მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე, თუმცა სტუმართათვის სახეირო ამ 45 წუთში ისღა მოხდა, რომ ნორჩმა კრის რიგოტმა კარიერაში მეორე მატჩი მეორე გოლით აღნიშნა. ერთი სიტყვით, „ვილამ“ გაიხარა და თეორიულად მეორე-მესამე, პრაქტიკულად კი მეხუთე ადგილისკენ წაიწია.

საწყალი „დერბი“ კი სულ მცირე ორი კვირა „დაამშვენებს“ ცხრილის ბოლო სტრიქონს, მერე კი „პრაიდ პარკს“ ასევე გაგულისებული „ლივერპული“ ეწვევა... დიდი შანსია, „დერბი“ ამის მერეც 5 ქულით დარჩეს.

ამდენივე იყო „ბრედფორდის“ მონაგარი „აპტონ პარკზე“ მიმდინარე შეხვედრის ბოლო წუთამდე „ვესტ ჰემი“ ერთპიროვნულ გუნდში მიწვევით აღფრთოვანებული ჯო კოულის გოლით ლიდერობდა, მაგრამ დან პეტრესკუმ იმარჯვა, რითაც თავის გუნდი ბოლო ადგილს ოდნავ დააცილა, თან ჰარი რედნაპის ბიჭებიც შორს არ გაუშვა.

გასული კვირა უიღბლო გამოდგა „ევერტონისთვის“, რომელმაც ჯერ ლიგის თასიდან გამოვარდნა მოახერხა (მეორედივიზიონელ „ბრისტოლ როვერსთან“), შაბათს კი შინ პრემიერლიგის ახალწვეულ „იფსვიჩთან“ წააგო დიდი ანგარიშით. სამაგიეროდ, ლიდსელ მაყურებელს გაუგრძელდა „თაფლობისთვე“: მიუხედავად იმისა, რომ თურქებთან ნაიჯელ მარტინის მშრალად შენახულ კარში ამჯერად ერთბაშად სამი ბურთი შევარდა, დევიდ ოლირის გუნდმა კვლავ იმარჯვა. ამ თამაშის ყველაზე სახეირო ამბები მეტად მცირე მონაკვეთში (5 გოლი 12 წუთში) მოხდა. თუმცა იყო უსიამოც — ლეს ფერდინანდთან შეტაკებისას კვლავ მძიმედ დაშავდა მასპინძელთა კაპიტანი ლუკას რადებე, ვისაც მატჩის დასასრულმა ჰოსპიტალში მიუსწრო.

**გიგა ძოზახიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლესტერი | 8 | 4 | 4 | 0 | 7:2 | 5 | 16 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 3:0 | 3 | 8 |
| 2 | მანჩესტერი | 8 | 4 | 3 | 1 | 20:8 | 12 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 14:3 | 11 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 |
| 3 | არსენალი | 8 | 4 | 3 | 1 | 14:9 | 5 | 15 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:4 | 6 | 12 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 |
| 4 | ნიუკასლი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:7 | 1 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 5 | ასტონ ვილა | 7 | 3 | 3 | 1 | 11:7 | 4 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 5 |
| 6 | ჩარლტონი | 8 | 3 | 3 | 2 | 14:13 | 1 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 5 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:10 | -4 | 4 |
| 7 | ლივერპული | 8 | 3 | 3 | 2 | 12:13 | -1 | 12 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 10 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:9 | -5 | 2 |
| 8 | ლიდსი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | 2 | 11 | 4 | 2 | 0 | 2 | 8:7 | 1 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 |
| 9 | იფსვიჩი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 11 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 1 | 6 |
| 10 | ტოტენჰემი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 10 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 1 |
| 11 | მიდლსბრო | 8 | 2 | 4 | 2 | 14:12 | 2 | 10 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 4 | 8 |
| 12 | ჩელსი | 8 | 2 | 4 | 2 | 13:12 | 1 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 7 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:6 | -2 | 3 |
| 13 | საუთჰემპტონი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:12 | -1 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | -1 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 |
| 14 | სანდერლენდი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:11 | -4 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 |
| 15 | ევერტონი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | -4 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 4 |
| 16 | სიტი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:14 | -4 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 4 |
| 17 | ქოვენთრი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:14 | -6 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:8 | -7 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 7 |
| 18 | ვესტ ჰემი | 8 | 1 | 4 | 3 | 10:11 | -1 | 7 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 4 |
| 19 | ბრედფორდი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:12 | -8 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 1 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:10 | -9 | 1 |
| 20 | დერბი ქაუნთი | 8 | 0 | 5 | 3 | 14:19 | -5 | 5 | 4 | 0 | 4 | 0 | 8:8 | 0 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 6:11 | -5 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 7 |
| პახარსი (საუთჰემპტონი) | 6 |
| ჯეფერსი (ევერტონი) | 5 |
| სმიტი (ლიდსი) | 5 |
| ბოკშიჩი (მიდლსბრო) | 5 |
| ანრი (არსენალი) | 5 |

### IX ტური

14 ოქტომბერი
არსენალი — ასტონ ვილა
ქოვენთრი — ტოტენჰემი
ევერტონი — საუთჰემპტონი
იფსვიჩი — ვესტ ჰემი
ლიდსი — ჩარლტონი
ლესტერი — მანჩესტერი
სიტი — ბრედფორდი
სანდერლენდი — ჩელსი
15 ოქტომბერი
დერბი — ლივერპული
16 ოქტომბერი
მიდლსბრო — ნიუკასლი

## პირველი დივიზიონი

X ტური

### ნოტინგემი 0:0 ვულვერჰემპტონი

ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, დინინგი, ლესკოტი, გრინი, სინტონი, რობინსონი, ბაზელი, ბრენჩი (ალჯაბერი 63), პრუდლოკი
მწვრთნელი: კოლინ ლი
19 110 მაყურებელი

### უოტფორდი 2:0 ბირმინგემი

1:0 ნილსენი (58), 2:0 კოქსი (76)

### ბარნსლი 2:0 გრიმსბი

1:0 ჩეტლი (32), 2:0 შიპერლი (50)

### ბოლტონი 0:2 ფულემი

0:1, 0:2 ბოა მორტე (1, 85)

### ბარნლი 1:1 პორტსმუთი

0:1 კლარიჯი (74), 1:1 ველერი (88)

### ჯილინგემი 2:0 უენსდი

1:0 ბატერსი (45), 2:0 ტომსონი (83)

### ნორვიჩი 1:1 ჰადერსფილდი

0:1 გალენი (58), 1:1 ჯალანცა (80)

### პრესტონი 2:0 კრ. პალასი

1:0 მაკენი (15), 2:0 მაკკენა (61)

### შეფილდი 1:1 ქუინზ პარკი

1:0 მერფი (36), 1:1 კოეიო (52)

### ტრანმერი 1:3 კრიუ

0:1 ჰალსი (28), 0:2 ლიტლი (40), 0:3 ჰალსი (46), 1:3 პარკინსონი (82)

### ვესტ ბრომვიჩი 1:0 ბლექბერნი

1:0 ჰიუზი (57)

### უიმბლდონი 2:0 სტოკპორტი

1:0 ერდლი (40პ), 2:0 ფრანცისი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 9 | 9 | 0 | 0 | 26:4 | 27 |
| უოტფორდი | 9 | 8 | 1 | 0 | 22:8 | 25 |
| ბოლტონი | 9 | 6 | 2 | 1 | 13:6 | 20 |
| პრესტონი | 10 | 5 | 3 | 2 | 14:9 | 18 |
| ბირმინგემი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:9 | 17 |
| ვესტ ბრომვიჩი | 10 | 5 | 2 | 3 | 8:9 | 17 |
| შეფილდ იუნ. | 9 | 4 | 2 | 3 | 9:9 | 14 |
| ნოტინგემი | 9 | 4 | 2 | 3 | 8:10 | 14 |
| უიმბლდონი | 9 | 3 | 4 | 2 | 12:5 | 13 |
| ბარნლი | 9 | 3 | 4 | 2 | 8:8 | 13 |
| ბარნსლი | 9 | 4 | 1 | 4 | 15:16 | 13 |
| ტრანმერი | 10 | 4 | 1 | 5 | 10:14 | 13 |
| ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:11 | 12 |
| ჯილინგემი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:15 | 12 |
| ვულვზი | 10 | 2 | 5 | 3 | 10:9 | 11 |
| ქუინზ პარკი | 9 | 2 | 5 | 2 | 10:11 | 11 |
| კრიუ | 9 | 2 | 3 | 4 | 7:10 | 9 |
| პორტსმუთი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:13 | 9 |
| კრ. პალასი | 10 | 2 | 2 | 6 | 6:12 | 8 |
| ნორვიჩი | 9 | 1 | 4 | 4 | 6:11 | 7 |
| სტოკპორტი | 10 | 1 | 4 | 5 | 10:17 | 7 |
| ჰადერსფილდი | 9 | 1 | 2 | 6 | 9:15 | 5 |
| გრიმსბი | 9 | 1 | 2 | 6 | 4:12 | 5 |
| უენსდი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:18 | 5 |

## მეორე დივიზიონი

მე-10 ტური: ბრენტფორდი — ბორნმუთი 3:2; როვერსი — ლუტონი 3:3; კოლჩესტერი — სტოკი 0:1; ნორთჰემპტონი — რექსჰემი 2:2; ოლდემი — კემბრიჯი 1:3; ოქსფორდი — ბრისტოლი 0:1; პიტერბრო — მილუოლი 1:4; პორტვეილი — უიკომბი 0:1; როტერჰემი — რედინგი 1:3; სუონსი — ბერი 0:2; სუინდონი — უიგანი 2:2; უოლსოლი — ნოტსი 5:1

## მესამე დივიზიონი

მე-10 ტური: ბრაიტონი — ლეიტონი 2:0; ჩესტერფილდი — მაკლსფილდი 4:1; დარლინგტონი — კარლაილი 1:0; ექსეტერი — ჩელტენემი 0:2; ჰალიფაქსი — შრიუსბერი 0:0; ჰარტლპული — იორკი 1:0; ჰალი — კარდიფი 2:0; ლინკოლნი — მენსფილდი 0:2; პლიმუთი — ბარნეტი 2:3; როჩდეილი — საუთენდი 0:1; სკანთორპი — ტორკი 3:0; კიდერმინსტერი — ბლექპული 1:4

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე



**თავისუფალი ჭიდაობა: ელდარ კურტანიძე (97 კგ) — მე-3 ადგილი; დავით პოღოსიანი (58 კგ) — მე-6 ადგილი; ალექსი მოდებაძე (130 კგ) — ჯგუფიდან ვერ გავიდა.**

# ელდარ კურტანიძემ ოცნება ოთხი წლით გადადო

## მურთაზალიევი ხელის ჩამოსართმევი კაცი არ არის

დასაწყისი პირველ გვერდზე

კენჭისყრას ვერ დაემდურები. ქვემძიმე წონის ფავორიტები ჯგუფებში გადანაწილდნენ. კურტანიძე — პირველში, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი ალირეზა ჰეიდარი (ირანი) — მეორეში, იმავე ჩემპიონატში გამარჯვებული საგიდ მურთაზალიევი (რუსეთი) — მესამეში, ბრინჯაოს მედალოსანი მარეკ გარმულევიჩი (პოლონეთი) — მეექვსეში. კურტანიძისა და ჰეიდარის გზები ჯგუფში მოგების შემდეგ, მეოთხედფინალში შეიყარა. კურტანიძის მიერ აღებული ქულა ერთადერთი აღმოჩნდა, თუმცა შერკინება ფრიად საინტერესო გამოდგა, ჩვენი ფალავნის ტაქტიკური ჩანაფიქრი კი — წარმატებული. ძირითად და დამატებით დროში მეტოქეს შანსი არ დაუტოვა, მსაჯებს — ახირების საბაბი. ბოლომდე შეუპოვარი და აქტიური იყო.

ნახევარფინალში მურთაზალიევს ეჭიდავა, მაგრამ ამას ჭიდაობა არ ეთქმის, უფრო ჩხუბს ჰგავდა. ეტყობა, მურთაზალიევმა ასე გადაწყვიტა, რაკი მიზანი ამართლებს საშუალებას, მე ვიცი და ჩემმა „კაცობამ". ადგა და ჭიდაობის ნაცვლად ხელების ქნევა დაიწყო, თანაც ამას დემონსტრაციულად აკეთებდა. ჩვენებურს ლამის თვალები ამოთხარა. საერთოდ, თავგასული უხეშობა და მეტოქის უპატივცემულობა გაფრთხილებით და საჯარიმო ქულებით ისჯება, მსაჯები კი ოლიმპიური სიმშვიდით აგრძელებდნენ „საქმეს", არად დაგიდევდნენ ქართველთა პროტესტს და მაყურებლის მწვავე რეაქციას. სამწუხაროდ, კურტანიძეს ნერვებმა უმტყუნა, ამის გამო დავთრები აერია, საბრძოლველად ვერ განეწყო და დამარცხდა — 1:3.

მეორე დღეს ბრინჯაოსთვის შეხვედრა ადვილად მოუგო პოლონელ გარმულევიჩს და თუმც პრიზიორი გახდა, აშკარად უკმაყოფილო ჩანდა:

— მურთაზალიევს მოგების სხვა შანსი არ ჰქონდა და ამიტომაც იხმარა ბინძური ხერხი. აქამდე, თუ არ ვცდები, შვიდჯერ შევხვდი და დავამარცხე. ბოლოს შარშან ანკარაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვაჯობე. ის ტურნირი სხვა წესებით იმართებოდა და იმდენი მოახერხა, ჩემპიონი გახდა. ჩვენს წონაში უკეთესად რამდენიმე კაცი ჭიდაობს, პირველ ყოვლისა ჰეიდარი. ყველაზე ძნელ ბრძოლას სწორედ ირანელთან ველოდი და როცა ყველაფერი კარგად დასრულდა, იმედი გამიათკეცდა. სიდნეიში სერიოზული მიზნით ჩამოვედი და საამისოდ ოფლი ბლომად დავღვარე. როგორ ვიფიქრებდი, რომ ოლიმპიურ თამაშებზე, მთელი მსოფლიოს თვალწინ, ვინმე ასეთ რამეს იკადრებდა. მურთაზალიევისთვის, ეტყობა, ეს ჩვეულებრივი ამბავია — აქ სხვებმაც გაიხსენეს მისი „საგმირო" ამბები...

**— ჯობდა, არ აყოლოდი პროვოკაციას.**

— რასაკვირველია, ჯობდა, ნერვებზე მომშალა, თავი ვერ მოვთოკე, კონტროლი დავკარგე. მსაჯებს მაინც რომ გაეფრთხილებინათ, თუნდაც სიტყვიერი შენიშვნა მიეცათ, ამდენს ვერ გაბედავდა. სწორედ მსაჯების განწყობის იმედი ჰქონდა და ამიტომაც გათამამდა. მეც იგივეთი რომ მეპასუხა, მომხსნიდნენ და მერე ბრინჯაოს შანსსაც დავკარგავდი.

**— სად უფრო გაგიჭირდა: აქ თუ ატლანტაში?**

— ოლიმპიადა გამორჩეული შეჯიბრებაა და სპორტსმენს დამატებითი ტვირთი აწვება. ასე იყო ატლანტაშიც, მაგრამ აქ გაცილებით ძლიერი მეტოქეები მყავდა: ოთხ მსოფლიოს ჩემპიონსა და პრიზიორს ვეჭიდავე, კარგად მოვემზადე, განწყობაც არ მაკლდა. ატლანტის შემდეგ ვთქვი, ოთხი წლის შემდეგ, სიდნეიში ჩემპიონი უნდა გავხდე-მეთქი, მაგრამ თავად ნახეთ, რაც მოხდა.

**— შარშან და წლეულს მაინცდამაინც სახარბიელო შედეგები არ გქონია...**

— ალბათ ამის გამოც ბევრს არ ჰქონდა ჩემი იმედი. არ უთქვამთ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ასე იყო. საფუძვლიანად და ხანგრძლივად ვემზადებოდი. მთავარი მიზანი სწორედ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება იყო. როგორც ყოველთვის, გვერდში დამიდგა შოთა კიკაბიძე, ყველა საქმე გადადო და თბილისში ჩამოვიდა. თუ სპორტში რამე გამიკეთებია, უპირველესად მისი დამსახურებაა. დიდად დამეხმარა ცნობილი წყალბურთელი ნოდარ კურტანიძე, სწორედ მან დააფინანსა ჩვენი რამდენიმე საწვრთნელი შეკრება და შეჯიბრებებზე მივლინება. ოქროს მედალს ვპირდებოდი, ბრინჯაო კი გამოვიდა.

**— არადა, ოლიმპიადა ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება.**

— ჩემი ოცნება კიდევ ოთხი წლით გადაიდო. იმედი მაქვს, ათენში მაინც ავისრულებ მიზანს. თუ ხელშეწყობა იქნა, მიუღწეველი არაფერია.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთაგან ელდარ კურტანიძე ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ამაღლება შეძლო. მიზანთან ახლოს იყო დავით პოლოსიანი (58 კგ), მაგრამ მეოთხედფინალში ამერიკელ ტერი ბრანდსთან დამარცხდა (2:4) და საბოლოოდ მე-6 ადგილი დაიკავა. დანარჩენთა შედეგები ასეთია: ოთარ თუშიშვილი (63 კგ) — მე-15, ემზარ ბედინეიშვილი (69 კგ) — მე-17, გურამ მჭედლიძე (76 კგ) — მე-14, ალექსი მოდებაძე (130 კგ) — მე-10.

ზაზა თურმანიძე (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „დასამალი არაფერი მაქვს — რასაც ველოდი, არ გამოვიდა. ორი მედალი მაინც უნდა აგვეღო. კურტანიძეს ოქროსთვის ვამზადებდით, კარგ ფორმაში იყო. არ მინდა, ყველაფერი ტენდენციურ მსაჯობას დავაბრალო, ჩვენც შევცდით, ელდარიცპოლოსიანს წონა შევუცვალეთ, ისევ 58-ში დავაბრუნეთ. ორი წელი მაღალში გამოდიოდა და ამის გამოც გაუჭირდა. წონის პრობლემა გახდა ბედინეიშვილის წარუმატებლობის მიზეზი. მისთვის საპრიზო ადგილს ვვარაუდობდით. კენჭისყრამაც არ გაუმართლა, ჯგუფში შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონთან, კანადელ დანიელ იგალისთან მოხვდა. დანარჩენებისგანაც მეტს ველოდით. ამას ბევრი მიზეზი აქვს. თბილისში რომ ჩავალთ, ამაზე მერე ვისაუბრებ."

თბილისში 5 ოქტომბერს ჩამოვალთ.

სათქმელი მეც დამიგროვდა და, ცხადია, უწინარესად ქართველ სპორტსმენთა ოლიმპიადაზე გამოსვლასთან დაკავშირებით. ზოგადად თამაშებზე და ოლიმპიადის დედაქალაქზე ერთს მოგახსენებთ: მართლაც ბრწყინვალე ოლიმპიადა იყო.

თამაშების დახურვისას სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა სიდნეის ოლიმპიადას ისტორიაში საუკეთესო უწოდა.

სამარანჩი ამჯერად ნამდვილად არ ტყუოდა.

REUTERS სურათები



დაჯილდოებისას ელდარ კურტანიძემ საგიდ მურთაზალიევის (შუაში) გვერდით დადგომა არ იკადრა

**ქვეყანათა მონაგარი**

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 39 | 25 | 33 |
| რუსეთი | 32 | 28 | 28 |
| ჩინეთი | 28 | 16 | 15 |
| ავსტრალია | 16 | 25 | 17 |
| გერმანია | 14 | 17 | 26 |
| საფრანგეთი | 13 | 14 | 11 |
| იტალია | 13 | 8 | 13 |
| ჰოლანდია | 12 | 9 | 4 |
| კუბა | 11 | 11 | 7 |
| დიდი ბრიტანეთი | 11 | 10 | 7 |
| რუმინეთი | 11 | 6 | 9 |
| კორეა | 8 | 9 | 11 |
| უნგრეთი | 8 | 6 | 3 |
| პოლონეთი | 6 | 5 | 3 |
| იაპონია | 5 | 8 | 5 |
| ბულგარეთი | 5 | 6 | 2 |
| საბერძნეთი | 4 | 6 | 3 |
| შვედეთი | 4 | 5 | 3 |
| ნორვეგია | 4 | 3 | 3 |
| ეთიოპია | 4 | 1 | 3 |
| უკრაინა | 3 | 10 | 10 |
| ყაზახეთი | 3 | 4 | 0 |
| ბელარუსი | 3 | 3 | 11 |
| კანადა | 3 | 3 | 8 |
| ესპანეთი | 3 | 3 | 5 |
| თურქეთი | 3 | 0 | 1 |
| ირანი | 3 | 0 | 1 |
| ჩეხეთი | 2 | 3 | 3 |
| კენია | 2 | 3 | 2 |
| დანია | 2 | 3 | 1 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 |
| ლიტვა | 2 | 0 | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 1 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 |
| შვეიცარია | 1 | 6 | 2 |
| ინდონეზია | 1 | 3 | 2 |
| სლოვაკეთი | 1 | 3 | 1 |
| მექსიკა | 1 | 2 | 3 |
| ალჟირი | 1 | 1 | 3 |
| უზბეკეთი | 1 | 1 | 2 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 1 |
| ლატვია | 1 | 1 | 1 |
| ბაჰამები | 1 | 1 | 0 |
| ახალი ზელანდია | 1 | 0 | 3 |
| ტაილანდი | 1 | 0 | 2 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 2 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 |
| მოზამბიკი | 1 | 0 | 0 |
| კოლუმბია | 1 | 0 | 0 |
| კამერუნი | 1 | 0 | 0 |
| ბრაზილია | 0 | 6 | 6 |
| იამაიკა | 0 | 4 | 3 |
| ნიგერია | 0 | 3 | 0 |
| სამხრეთ აფრიკა | 0 | 2 | 3 |
| ბელგია | 0 | 2 | 3 |
| არგენტინა | 0 | 2 | 2 |
| ტაივანი | 0 | 1 | 4 |
| მაროკო | 0 | 1 | 4 |
| ჩრდილოეთ კორეა | 0 | 1 | 3 |
| ტრინიდადი | 0 | 1 | 1 |
| საუდეთი | 0 | 1 | 1 |
| მოლდოვა | 0 | 1 | 1 |
| ვიეტნამი | 0 | 1 | 0 |
| ურუგვაი | 0 | 1 | 0 |
| ირლანდია | 0 | 1 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 6 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 2 |
| კოსტა რიკა | 0 | 0 | 2 |
| ყატარი | 0 | 0 | 1 |
| მაკედონია | 0 | 0 | 1 |
| შრი ლანკა | 0 | 0 | 1 |
| ქუვეითი | 0 | 0 | 1 |
| ყირგიზეთი | 0 | 0 | 1 |
| ისრაელი | 0 | 0 | 1 |
| ისლანდია | 0 | 0 | 1 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 1 |
| ჩილე | 0 | 0 | 1 |
| ბარბადოსი | 0 | 0 | 1 |
| სომხეთი | 0 | 0 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფეხბურთი

# ლომების სიცოცხლე!

ვაჟები

ფინალი

**კამერუნი 2:2 (5:3პ) ესპანეთი**

0:1 ხავი (2), 0:2 გაბრი (45), 1:2 ამაია (53ა.გ.), 2:2 ეტოო (58)

კამერუნი: კამენი, ვომე, აბანდა, ნგიმბატი (კომე 46), ბრანკო (ეპალე 91), ლორენი, ნჯიტაპი, ალონუდჯი (ზე 111), მიმპო, მბომა, ეტოო

ესპანეთი: არანსუბია, პუიოლი, ლაკრუსი, მარკენა, ამაია, ხავი, ველამასანი (გაბრი 26), ანგულო (კაპდევილა 75), ხოსე მარი, ტამუდო (ფერონი 49)

მსაჯი: ფ. რ. რისო (მექსიკა)

**რომ** არა რამდენიმე სანტიმეტრი, საქმე პენალტებამდე არ მივიდოდა — დამატებითი დრო იყო, როდესაც მადრიდის „რეალის" კამერუნელმა ფეხბურთელმა სამუელ ეტოომ ესპანელებს გოლი გაუტანა, მაგრამ თანამსაჯის ალამი გახარებულ გულში დაშნასავით ემგერა...

... შეხვედრის დაწყებიდან 75-ე წამი იდგა, როდესაც აფრიკელთა კართან დანიშნული ჯარიმა ესპანელების პირველი ზეიმით დასრულდა: ბარსელონელმა ხავიმ დაახლოებით 18 მეტრიდან ბურთი 16 წლის მეკარის კარლოს იდრის კამენის კარის დაბალ კუთხეში ჩაახვია. მეორედ ევროპელებმა 45-ე წუთზე იზეიმეს. გოლი კვლავ ბარსელონელმა, ოღონდ, ამჯერად გაბრიმ (რომელიც კაპიტნის, ტონი ველამასანის ტრავმა რომ არა, მოედანზე სულაც ვერ მოხვდებოდა) გაიტანა. გაბრის დაცვიდან მიუვიდა გრძელი პასი, მაგრამ ამან ვერ შეაშინა, შესაძლებლობით ისარგებლა და ესპანეთის ნაკრები წინ, რვა წლის წინანდელისკენ, ოლიმპიური ოქროსკენ წაიყვანა.

მაშ რაღა მოხდა? რატომ გაუშვა ესპანეთმა ხელიდან ორგოლიანი უპირატესობა? იმიტომ, რომ გაზეთებს არ კითხულობდა და არ იცოდა, რომ კამერუნის გუნდის მეტსახელი „მოუთვინიერებელი ლომებია". მოთვინიერებული ლომები, ბატონებო, ცირკში მოიკითხეთ — დაალებენ ხახას, ჩაუდებთ თავს და არ მოგაკვნეტენ, ფეხბურთის მოედანზე, მითუმეტეს ოლიმპიადის ფინალში კი ლომები ყველაფერს ბრღვნიან.

და აი, უწყინარი ცხოველების, კენგურუს, იქედნესა და ამდაგვართა ქვეყანაში ჩასულმა მტაცებლებმა ესპანელთა იმედების კვნეტა მეორე ტაიმის მე-8 წუთიდან დაიწყეს, როდესაც პატრიკ მბომას ჩაწოდებული ბურთი მცველს ამაიას მოხვდა და მისავე საკუთარ კარში შევარდა.

მბომამ რომ შეატყო საგოლე პასი კარგად გამომივიდაო, კიდევ სცადა და ხუთ წუთში ეტოოს გაათანაბრებინა კიდეც.

აქვე აღსანიშნავია, რომ ესპანელთა დანაკარგს, კაპიტან ველამასანს ერთობ მნიშვნელოვანი კაცი, ტამუდოც დაემატა. მან პირველ ტაიმში ნატკენი ფეხი შესვენებისას ხეირიანად ვერ მოიშუშა და მეორე ნახევრის მეოთხე წუთზე იძულებული შეიქნა მოედანი დაეტოვებინა.

შემდეგ, 70-ე წუთზე ნიკოლა ალნოუდჯისთან უხეშობისთვის გაბრი გააძევეს.

შემდეგ, 90-ე წუთზე მოწინააღმდეგის საჯარიმოში ყალბად წაქცევისთვის ხოსე მარის აჩვენეს წითელი ბარათი.

ამის შემდეგ ესპანელებს დაცვაში ჩაკეტვა და თავგანწირული წინააღმდეგობის გაწევა მოუხდათ. უნდა ითქვას, რომ დამატებით დროში გოლის გატანის შესაძლებლობა ორივე მხარეს ჰქონდა, მაგრამ საქმე მაინც პენალტებამდე მივიდა.

პენალტებში კი ერთხელაც გამოჩნდა, რომ თუ კაცს თარსი დღე აქვს, მორჩა და გათავდა: ამაიამ, ესპანელთა ავტოგოლის ავტორმა თავის წილი თერთმეტმეტრიანიდან ბურთი ძელს გაარტყა.

— ჯადოსნური რამ მოხდა — განაცხადა მატჩის შემდეგ გამარჯვებულთა მწვრთნელმა ჟან-პოლ აკონომ — ჩვენ ფანტასტიკური სულისკვეთება გამოვავლინეთ. მაშინაც კი, როდესაც 0:2-ს ვაგებდით, ფეხბურთელები თავს დამარცხებულად არ გრძნობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ამ წარმატებამ ლომთა სამშობლოს ისტორიაში პირველი ოლიმპიური ოქრო მოუტანა. ბოლოს, 1984 წელს, ლოს ანჯელესში მოკრივეებს ჰქონდათ მოპოვებული ვერცხლი და ბრინჯაო.

დაბოლოს, ფინალს, რომელიც ზემოთ აღვწერეთ, 98 212 მაყურებელი დაესწრო, რაც მთელი ოლიმპიური ტურნირის დასწრებას რომ დაამატეს 1 069 250 მიიღეს.

**ბაჩუნა ძიდია**

REUTERS სიდნეიდან



ესპანელები ანგულო (№7) და ალბელდა პატრიკ მბომას სიმარჯვეს შეჰყურებენ

ბაიდარა და კანოე

REUTERS სიდნეიდან



ნორვეგიელმა მებაიდარე კნუტ ჰოლმანმა სიდნეიში ორი ოქრო მოიპოვა

ვაჟები. 1000მ.

ერთადგილიანი ბაიდარა

1. კნუტ ჰოლმანი (ნორვეგია) 3.33,26; 2. პეტარ მერკოვი (ბულგარეთი) 3.34,64; 3. ტიმ ბრაბანტსი (დიდი ბრიტანეთი) 3.35,05

ვაჟები. 1000მ.

ერთადგილიანი კანოე

1. ანდრეას დიტმერი (გერმანია) 3.54,37; 2. ლედის ფრანკ ბალსეირო (კუბა) 3.56,07; 3. სტივ ჟილი (კანადა) 3.56,43

ვაჟები. 1000მ.

ორადგილიანი ბაიდარა

1. ბენიამინო ბონომი — ანტონიო როსი (იტალია) 3.14,46; 2. მარკუს ოსკარსონი — ჰენრიკ ნილსონი (შვედეთი) 3.16,07; 3. კრისტიან ბარფაი — კრისტიან ვერები (უნგრეთი) 3.16,35

ვაჟები. 1000მ.

ორადგილიანი კანოე

1. ფლორინ პოპესკუ — მიტიცა პრიკოპი (რუმინეთი) 3.37,35; 2. იბრაჰინ როხასი — ლეობალდო პერეირა (კუბა) 3.38,75; 3. ლარს კობერი — შტეფან უტესი (გერმანია) 3.41,12

ვაჟები. 1000მ.

ოთხადგილიანი ბაიდარა

1. უნგრეთი (აკოშ ვერეჩკეი, გაბორ ჰორვატი, ზოლტან კამერერი, ბოტონდ შტორცი) 2.55,18; 2. გერმანია (იან შეფერი, მარკ ცაბელი, ბიორნ ბახი, შტეფან ულმი) 2.55,70; 3. პოლონეთი (გჟეგოჟ კოტოვიცი, ადამ შეროცინსკი, დარიუშ ბიალკოვსკი, მარეკ ვიტკოვსკი) 2.57,19

ქალები. 500მ.

ოთხადგილიანი ბაიდარა

1. გერმანია (ბირგიტ ფიშერი, ანეტ შუკი, მანუელა მუკე, კატრინ ვაგნერი) 1.34,53; 2. უნგრეთი (სილვია საბო, რიტა კობანი, კატალინ კოვაჩი, ერჟებეტ ვიშკი) 1.34,94; 3. რუმინეთი (მარიანა ლიმბაუ, რალუკა ანდრეია იონიცა, ელენა რადუ, სანდრა ტომა) 1.37,01

ვაჟები. 500მ.

ერთადგილიანი ბაიდარა

1. კნუტ ჰოლმანი (ნორვეგია) 1.57,84; 2. პეტარ მერკოვი (ბულგარეთი) 1.58,39; 3. მიხაელ კოლგანოვი (ისრაელი) 1.59,563

ვაჟები. 500მ.

ერთადგილიანი კანოე

1. დიერდი კოლონიჩი (უნგრეთი) 2.24,81; 2. მაქსიმ ოპალევი (რუსეთი) 2.25,80; 3. ანდრეას დიტმერი (გერმანია) 2.27,59

ვაჟები. 500მ.

ორადგილიანი ბაიდარა

1. ზოლტან კამერერი — ბოტონდ შტორცი (უნგრეთი) 1.47,05; 2. დანიელ კოლინზი — ენდრიუ ტრიმი (ავსტრალია) 1.47,89; 3. რონალდ რაუჰე — ტიმ ვისკოტერი (გერმანია) 1.48,77

ვაჟები. 500მ.

ორადგილიანი კანოე

1. ფერენც ნოვაკი — იმრე პულაი (უნგრეთი) 1.51,28; 2. დანიელ იედრაშკო — პაველ ბარაშკევიჩი (პოლონეთი) 1.51,53; 3. ფლორინ პოპესკუ — მიტიცა პრიკოპი (რუმინეთი) 1.54,26

ქალები. 500მ.

ორადგილიანი ბაიდარა

1. ბირგიტ ფიშერი — კატრინ ვაგნერი (გერმანია) 1.56,99; 2. კატალინ კოვაჩი — სილვია საბო (უნგრეთი) 1.58,58; 3. ანეტა პატუშკა — ბეატა სოკოლოვსკა (პოლონეთი) 1.58,78

ქალები. 500მ.

ერთადგილიანი ბაიდარა

1. იოზეფა იდემ გუერინი (იტალია) 2.13,84; 2. კაროლინ ბრიუნე (კანადა) 2.14,64; 3. კეტრინ ბორჩერტი (ავსტრალია) 2.15,13

თავისუფალი ჭიდაობა

54 კგ

ფინალი

ნამიგ აბდულაევი (აზერბაიჯანი) — სამუელ ჰენსონი (აშშ) 4:3

მესამე ადგილისთვის

ამირან კარნტანოვი (საბერძნეთი) — გერმან კონტოევი (ბელარუსი) 5:4

58 კგ

ფინალი

ალირეზა დაბირი (ირანი) — ევგენი ბუსლოვიჩი (უკრაინა) 3:0

მესამე ადგილისთვის

ტერი ბრანდსი (აშშ) — დამირ ზახარტდინოვი (უზბეკეთი) 3:2

მეხუთე ადგილისთვის

იოუნგბილეგ პურევბაატარი (მონღოლეთი) — ᲓᲐᲕᲘᲗ ᲞᲝᲚᲝᲡᲘᲐᲜᲘ (საქართველო) 6:0

მეოთხედფინალი

ტერი ბრანდსი (აშშ) — ᲓᲐᲕᲘᲗ ᲞᲝᲚᲝᲡᲘᲐᲜᲘ (საქართველო) 4:2

ჯგუფური ეტაპი. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲞᲝᲚᲝᲡᲘᲐᲜᲘ (საქართველო) — ანდრეი ფაშანეკი (სლოვაკეთი) 5:1

63 კგ

ფინალი

მურად უმახანოვი (რუსეთი) — სერაფიმ ბარზაკოვი (ბულგარეთი) 3:2

მესამე ადგილისთვის

ჯაე სუნგ იანგი (კორეა) — მოჰამად ტალაეი (ირანი) 12:2

69 კგ

ფინალი

დანიელ იგალი (კანადა) — არსენ გიტინოვი (რუსეთი) 7:4

მესამე ადგილისთვის

ლინკოლნ მაკილრავი (აშშ) — სერგეი დემჩენკო (ბელარუსი) 3:1

76 კგ

ფინალი

ალექსანდ ლაიპოლდი (გერმანია) — ბრენდონ სლეი (აშშ) 4:0

მესამე ადგილისთვის

ეუი ჯაე მუნი (კორეა) — ადემ ბერეკეტი (თურქეთი) წმინდა გამარჯვება

85 კგ

ფინალი

ადამ საიტიევი (რუსეთი) — იოელ რომერო (კუბა) წმინდა გამარჯვება

მესამე ადგილისთვის

მაგომედ იბრაგიმოვი (მაკედონია) — ამირ რეზა ხადემი (ირანი) 4:1

97 კგ

ფინალი

საგიდ მურთაზალიევი (რუსეთი) — ისლამ ბაირამუკოვი (ყაზახეთი) 6:0

მესამე ადგილისთვის

ᲔᲚᲓᲐᲠ ᲙᲣᲠᲢᲐᲜᲘᲫᲔ (საქართველო) — მარეკ გარმულევიჩი (პოლონეთი) 4:1

130 კგ

ფინალი

დავიდ მუსულბესი (რუსეთი) — არტურ თაიმაზოვი (უზბეკეთი) 5:2

მესამე ადგილისთვის

ალექსის როდრიგესი (კუბა) — აბას ჯადიდი (ირანი) 1:0

ჯგუფური ეტაპი. აბას ჯადიდი (ირანი) — ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲫᲔ (საქართველო) 4:0

მოდებაძე ჯგუფიდან ვერ გავიდა

წყალში ხტომა

ვაჟები. 10მ. კოშკი

1. ტიან ლიანგი (ჩინეთი) 724,53; 2. ჰუ ჟია (ჩინეთი) 713,55; 3. დმიტრი საუტინი (რუსეთი) 679,26

კრივი

# მილიონი დოლარი ჩემპიონისთვის



ტაილანდელმა ვიჯან პონლიდმა მადლიერების ნიშნად უხვად დამაჩუქრებელი მეფის ბჰუმიბოლ ადულიადეის პორტრეტი აღმართა

**ოლიმპიური** კრივი ფინალებით დასრულდა და უკვე შეიძლება გუნდური შედეგების შეჯამება — 12 წონითი კატეგორიიდან მესამედი კუბელებმა მოიგეს და 2 ბრინჯაო სართად წაიღეს. რუსეთს ოთხი ფინალისტი ჰყავდა და ორმა მოიგო, ხოლო ამერიკული სამოყვარულო კრივი 1948 წლის შემდეგ ასე არ შერცხვენილა: იანკები სამშობლოში ოქროს მედლის გარეშე, 2 ვერცხლითა და 2 ბრინჯაოთი დაბრუნდნენ. სამაგიეროდ, უფრო ხნიერი, ოღონდ უხეირო ტრადიცია ფრანგებმა დაარღვიეს. მათი კაცი, ბრაჰიმ ასლუმი 48 კილოგრამამდე კატეგორიაში პირველი ფრანგი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა 1936 წლის შემდეგ. თუმცა ადვილი მისახვედრია, რა ფრანგიცაა ასლუმი — არაბ ემიგრანტთა დაახლოებით იმავე ნაკადის შვილია, რომელსაც ზინედინ ზიდანი ეკუთვნის. ასლუმმა ფინალში ესპანელი რაფაელ ლოსანო მუნიოსი დაამარცხა. არაბმა ჩვეულებისამებრ მეტოქის შეცდომებზე ითამაშა და რადგან ძალიან ტანმაღალია, ხეირიანი კონტრშეტევები გამოუვიდა. იქით, ერთი კატეგორიით მაღლა (51 კგ), ტაილანდის პოლიციის ოფიცერმა გალახა ყაზახი ბულატ ჯუმადილოვი და თავისი მთავრობისგან არნახული პრემია — მილიონი დოლარი მიიღო. ვიჯან პონლიდის გამილიონერება პირველი შემთხვევა არ გახლავთ, ტაილანდის ხელისუფლებამ ასეთივე გულუხვობა გამოიჩინა ოთხი წლის წინ, როცა ატლანტაში სომლუკ კამსინგის ოქრო გამოდნა. პონლიდი სიხარულით ამ ქვეყანას აღარ იყო, როცა მსაჯებმა ჯუმადილოვის 19:12 დაჯაბნა ამცნეს, კოცნა და კოცნა თოკები, ტაილანდის მეფე ბჰუმიბოლ ადულიადეიც ხომ იქვე იყო და დროშაშემოხვეული ერთხანს მონარქის გვერდით ხარობდა. თავად ბრძოლა კი ფიცხელი გახლდათ. მეტოქეებმა თოკებშიც ერთი-ორჯერ გაახვიეს ერთმანეთი.

ბეკზატ სატარხანოვმა და იერმახან იბრაიმოვმა ყაზახეთი ასახელეს, მაჰამადკადიზ აბდულაევმა — უზბეკეთი, ბოლოს ამ რთული გვარ-სახელების წარმოთქმით ენამოტეხილნი ფელიქს სავონს ვახსენებთ, რომელიც „თეოფილიტო“ უკვე აღარ არის, თეოფილო სტივენსონ მეორეა ნამდვილი, რადგანაც მისი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონობა გაიმეორა. სავონი ფინალში მასზე ტანდაბალ და ქართველ ჭანტურიას მძლევ სულთანახმედ იბრაგიმოვს ეჩხუბა. რუსი ბრძოლის წერას აეტანა და ბულა კამეჩივით სულ წინ მიიწევდა. გაცხარებისგან პირველი რაუნდის დასრულების ნიშანი ვერ თუ არ შეისმინა და კუბელს ორჯერ უთავაზა, რისთვისაც ორი ქულა წაართვეს. მერე სავონი თავისებურად კიდევ უფრო დაწინაურდა, ხოლო 21:13-სა და ბოლო გონგამდე 14 წამით ადრე რეფერიმ ბრძოლა გააჩერა და სავონს თვალსქვემოთ მიაშვირა თითი, სადაც ჯერ კიდევ ნახევარფინალური ჭრილობა გახსნილიყო. კუბელის საბედნიეროდ, უეინ როუზმა (რეფერის სახელია) ტექნიკური ნოკაუტი არ დაასკვნა და რეკორდის განმეორებას ხელი შეუწყო. იბრაგიმოვს პროტესტი არ გამოუთქვამს, როცა ყველაფერი დასრულდა და ვაჟკაცები ერთმანეთს გადაეხვივნენ, მეტოქეს ყურში უთხრა, შეხვედრამდეო და რინგი დატოვა. ეს ამბავი თავად იბრაგიმოვისგან ვიცით, ოღონდ უწერიათ კი რუსსა და კუბელს კიდევ ერთმანეთის ცემა? საეჭვოა, სავონი 379 გამარჯვებითა და 17 წაგებით (ყველა რანგის ტურნირზე) კრივიდან წასვლას აპირებს.

**დავით გულუა**

ფინალი

**48 კგ. ბრაჰიმ ასლუმი (საფრანგეთი) — რაფაელ ლოსანო მუნიოსი (ესპანეთი) 23:10**
**51 კგ. ვიჯან პონლიდი (ტაილანდი) — ბულატ ჯუმადილოვი (ყაზახეთი) 19:12**
**54 კგ. გილერმო რიგონდო (კუბა) — რაიმკულ მალახბეკოვი (რუსეთი) 18:12**
**57 კგ. ბეკზატ სატარხანოვი (ყაზახეთი) — რიკარდო ხუარესი (აშშ) 22:14**
**60 კგ. მარიო კინდელანი (კუბა) — ანდრიი კოტელნიკი (უკრაინა) 14:4**
**63,5 კგ. მაჰამადკადიზ აბდულაევი (უზბეკეთი) — რიკარდო უილიამსი (აშშ) 27:20**
**67 კგ. ოლეგ საიტოვი (რუსეთი) — სერგეი დოცენკო (უკრაინა) 24:16**
**71 კგ. იერმახან იბრაიმოვი (ყაზახეთი) — მარინ სიმიონი (რუმინეთი) 25:23**
**75 კგ. ხორხე გუტიერესი (კუბა) — გაიდარბეკ გაიდარბეკოვი (რუსეთი) 17:15**
**81 კგ. ალექსანდრ ლებზიაკი (რუსეთი) — რუდოლფ კრაი (ჩეხეთი) 20:6**
**91 კგ. ფელიქს სავონი (კუბა) — სულთანახმედ იბრაგიმოვი (რუსეთი) 21:13**
**+91 კგ. ოდლი ჰარისონი (დიდი ბრიტანეთი) — მუხტარხან დილდაბეკოვი (ყაზახეთი) 30:16**

## დღის გმირი

### ფელიქს სავონი

კუბა, კრივი



ფელიქს სავონმა ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე გაიმარჯვა და სოციალისტური სამშობლოს, კუბის უდიდეს სპორტსმენს, თეოფილო სტივენსონს გაუტოლდა.

დაუმარცხებელი მოკრივე გუანტანამოს რაიონის ქალაქ სან ვისენტეში 1967 წლის 22 აპრილს დაბადებულა, 198 სანტიმეტრი გაზრდილა და 91 კილოგრამამდე დამძიმებულა. ამბობენ ფიდელ კასტროს ენათესავებაო, თუმცა თავს ვერ დავდებთ, რომ ასეა. ჰყავს მეუღლე, ხუთი შვილი, ჰავანაში „მანუელ ფახარდოს“ სასწავლებელი დაამთავრა და მწვრთნელია, ოღონდ ამბობს, ამ საქმეს ხელს სერიოზულად სპორტიდან წასვლის შემდეგ მოვკიდებო. ძალიან უყვარს მუსიკა, ცეკვა და ბეისბოლი. გიჟდება სავონების გვარზე, ყველა სავონი კარგიაო, ამტკიცებს.

კუბელი რომ არ ყოფილიყო, უთუოდ პროფესიონალი გახდებოდა, მაგრამ ამას თვითონ როგორ იტყვის, ჩვენი ვარაუდია.

წყალბურთი

# ისტორია განმეორდა

**ვაჟები**

**ნახევარფინალი**

**რუსეთი 8:7 ესპანეთი**
**უნგრეთი 8:7 იუგოსლავია**
**აშშ 9:8 ხორვატია**
**იტალია 8:4 ავსტრალია**

**ფინალი**

**უნგრეთი 13:6 რუსეთი**

**მესამე ადგილისათვის**

**იუგოსლავია 8:3 ესპანეთი**

**ხანდახან** ისე ხდება, რომ ამა თუ იმ სახეობის ფინალისადმი ინტერესს მისი პოპულარობა კი არა, ფინალში გასული ესა თუ ის ქვეყანა განაპირობებს. ამის დასტურად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. თუ უახლოეს წარსულს გადავხედავთ, გავიხსენებთ, როგორი გაათკეცებული ენერგიით, ბოღმით და შეუპოვრობით გამოირჩეოდა საბჭოეთისა და დასავლეთის ურთიერთპაექრობები. მათ მეტოქეობას პირობითად თუ შეგვიძლია ვუწოდოთ სპორტული ჟინი, რადგან სარბიელი რომის კოლიზეუმს უფრო მოგაგონებდათ, სადაც ყველაფერი დასაშვები იყო, ოღონდ თავი არ შეგერცხვინა და გამარჯვება მოგეპოვებინა.

გარდა იმისა, რომ წყალბურთის მოყვარულები საკმაოდ მოიძებნებიან, სიდნეის ოლიმპიურ აუზში გამართული ფინალისადმი ინტერესი ერთიორად გაზარდა ძველი მეტოქეების — უნგრეთისა და რუსეთის დაპირისპირებამ. მართალია, დღეს საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ რუსეთს დღესაც ისე აღიქვამენ, როგორც მის სამართალმემკვიდრეს, ამას კი ნაწილობრივ წარსული განაპირობებს. თუ რატომ, ამისთვის 1956 წლის, გახსენებაც კმარა. მაშინ, მელბურნის ოლიმპიადამდე ერთი კვირით ადრე უნგრეთში მიმდინარე ანტისაბჭოთა გამოსვლები წითელმა არმიამ ჩაახშო, თუმცა ქვეყნებს შორის ომი ამით როდი დასრულდა. მათ ამისათვის მელბურნის ოლიმპიური თამაშები აირჩიეს. კერძოდ, საცურაო აუზი. თვითმხილველთა თქმით, წყალბურთელთა ასპარეზობისას საცურაო აუზი ბრძოლის ველს უფრო ჰგავდა, ვიდრე სარბიელს, რადგან დასახიჩრებული სპორტსმენების სისხლისგან იქაურობა წითლად შეღებილიყო. მატჩი იმდენად საზარელ სანახაობად იქცა, რომ გლადიატორთა ბრძოლას დაემსგავსა, ამიტომაც იყო, რომ მატჩი შეწყდა. ეს მაშინ, როდესაც უნგრეთი უკვე 4:0 იგებდა, რუსებს კი აუზი პოლიციელთა თანხლებით დაატოვებინეს. გამარჯვება უნგრეთს დარჩა.

ისტორია ახლაც განმეორდა. სიდნეის ოლიმპიადაზე, ისევე როგორც 44 წლის წინ, ერთმანეთის წინაშე უნგრეთისა და რუსეთის წყალბურთელები წარსდგნენ. ადრინდელთან შედარებით, ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. უნგრელმა წყალბურთელებმა რუსთა ნაკრები, ასე ვთქვათ, ცალი ხელით დაამარცხეს — 13:6 და ლოს ანჯელესის (1932), ბერლინის (1936), ჰელსინკის (1952), მელბურნის (1956), ტოკიოს (1964) და მონრეალის (1976) ოლიმპიურ ჩემპიონობას სიდნეური ოქროც შემატეს. შვიდგზის ჩემპიონობით კი თავისებური რეკორდიც დაამყარეს.



ბედნიერთა ანუ ჩემპიონთა წესი: უნგრელმა წყალბურთელებმა მწვრთნელი დენეშ კემენი აუზში ჩააგდეს

საინტერესოა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში რუსეთის ნაკრები მდევრის როლში იყო, თუმცა ამასაც თავისი ახსნა მოეძებნება. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ფინალში რუსების უხეიროდ გამოსვლა ნახევარფინალში ესპანეთთან მატჩში დამატებითმა დრომ განაპირობა. მოგეხსენებათ, მაშინ პირენეელებსა და ჩრდილოელებს ფინალისკენ მიმავალი გზისკენ 16 წუთით მეტ ხანს მოუწიათ პაექრობა, სანამ რუსები ოქროს გოლით მოიპოვებდნენ ფინალისტის საგზურს.

დამატებითმა დრომ თავისი კვალი დააჩინა ესპანეთსაც. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონებმა ვერაფერი მოუხერხეს იუგოსლავიელებს. თუ პირველ მეოთხედში ესპანელები ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდნენ იუგებს, დანარჩენ სამში ეს უკანასკნელნი ბატონობდნენ, რაც შედეგზეც აისახა — 8:3. ესპანელთა და იუგოსლავიელთა შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ ამ მატჩით თავისი ოლიმპიური კარიერა დაასრულა ლეგენდარულმა ესპანელთა კაპიტანმა მანუელ ესტიარტემ, რომელიც არა ერთ თუ ორ, არამედ ექვს ოლიმპიადაზე მონაწილეობდა და არაერთხელ საუკეთესო ბომბარდირიც ყოფილა. მას თავი გამოუჩენია 1980, 1984 და 1988 წლების ოლიმპიადებზე, ხოლო 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიადაზე თანაბომბარდირი იყო. გარდა ამისა, ესტიარტეს სარეკორდო, 127 ოლიმპიური გოლიც გაუტანია მეტოქეებისთვის.

მართალია, სახელოვანმა ესპანელმა წყალბურთელმა თავისი ოლიმპიური კარიერა დაასრულა, მაგრამ ოლიმპიურ მოძრაობას არ ჩამოშორებია. იგი ახლახან ოლიმპიზმის ეპიცენტრში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

**გიგა გურასპიშვილი**

# ჩემპიონები და პრიზიორები

## 30 სექტემბერი

### მძლეოსნობა

ქალები. 10 000მ.

1. დერარტუ ტულუ (ეთიოპია)
2. გეტე ვამი (ეთიოპია)
3. ფერნანდა რიბეირუ (პორტუგალია)

ქალები. 1 500მ.

1. ნურია მერაჰ-ბენიდა (ალჟირი)
2. ვიოლეტა სეკელი (რუმინეთი)
3. გაბრიელა საბო (რუმინეთი)

ქალები. სიმაღლეზე ხტომა

1. ელენა ელესინა (რუსეთი)
2. ჰესტრი კლუტე (სამხრეთ აფრიკა)
3. ოანა პანტელიმონი (რუმინეთი) და კაისა ბერგკვისტი (შვედეთი)

ქალები. შუბი

1. ტრინე ჰატესტადი (ნორვეგია)
2. მირელა მანიანი-ცელილი (საბერძნეთი)
3. ოლსეიდის მენენდესი (კუბა)

ვაჟები. 5 000მ.

1. მილიონ ვოლდე (ეთიოპია)
2. ალი საიდი-სიეფი (ალჟირი)
3. ბრაჰიმ ლაჰლაფი (მაროკო)

ვაჟები. ესტაფეტა 4X100მ.

1. აშშ (ჯონათან დრამონდი, ბერნარდ უილიამსი, ბრაიან ლუისი, მორის გრინი)
2. ბრაზილია
3. კუბა

ქალები. ესტაფეტა 4X100მ.

1. ბაჰამები (სავათედა ფაინსი, ჩანდრა სტარაპი, პოლინ დევის-ტომპსონი, დები ფერგიუსონი)
2. იამაიკა
3. აშშ

ვაჟები. ესტაფეტა 4X400მ.

1. აშშ (ელვინ ჰარისონი, ანტონიო პეტიგრიუ, კელვინ ჰარისონი, მაიკლ ჯონსონი)
2. ნიგერია
3. იამაიკა

ქალები. ესტაფეტა 4X400მ.

1. აშშ (ჯერლ მაილს-კლარკი, მონიკ ჰენაგანი, მარიონ ჯონსი, ლატაშა კოლანდერ-რიჩარდსონი)

### კალათბურთი

ქალები

1. აშშ (რუთი ბოლტონ-ჰოლიფილდი, ტერეზა ედუარდსი, იოლანდა გრიფიტი, ჩამიკ ჰოლდსკლოუ, ლისა ლესლი, ნიკი მაკკრეი, დელიშა მილტონი, კეტი სმიტი, დაუნ სტეილი, შერილ სვუპსი, ნატალი უილიამსი, კარა უოლტერსი)
2. ავსტრალია
3. ბრაზილია

### კრივი

48 კგ

1. ბრაჰიმ ასლუმი (საფრანგეთი)
2. რაფაელ ლოსანო მუნიოსი (ესპანეთი)
3. მაიკრო რომერო (კუბა)
3. კიმ უნ ჩოლი (ჩრდილოეთ კორეა)

54კგ

1. გილერმო რიგონდო (კუბა)
2. რაიმკულ მალახბეკოვი (რუსეთი)
3. სერგეი დანილჩენკო (უკრაინა)
3. კლარენს ვინსონი (აშშ)

60კგ

1. მარიო კინდელანი (კუბა)
2. ანდრიი კოტელნიკი (უკრაინა)
3. კრისტიან ბენიტესი (მექსიკა)
3. ალექსანდრ მალეტინი (რუსეთი)

67კგ

1. ოლეგ საიტოვი (რუსეთი)
2. სერგეი დოცენკო (უკრაინა)
3. ვიტალი გრუზაჩი (მოლდოვა)
3. დორელ სიმიონი (რუმინეთი)

75კგ

1. ხორხე გუტიერესი (კუბა)
2. გაიდარბეკ გაიდარბეკოვი (რუსეთი)
3. ვულარ ალეკპეროვი (აზერბაიჯანი)
3. ჟოლტ ერდეი (უნგრეთი)

91კგ

1. ფელიქს სავონი (კუბა)
2. სულთანახმედ იბრაგიმოვი (რუსეთი)
3. ვლადიმერ ჭანტურია (საქართველო)
3. სებასტიან კობერი (გერმანია)

### ბაიდარა და კანოე

ვაჟები. 1 000მ.

ერთადგილიანი ბაიდარა

1. კნუტ ჰოლმანი (ნორვეგია)
2. პეტარ მერკოვი (ბულგარეთი)
3. ტიმ ბრაბანტსი (დიდი ბრიტანეთი)

ვაჟები. 1 000მ.

ერთადგილიანი კანოე

1. ანდრეას დიტმერი (გერმანია)
2. ლედის ფრანკ ბალსეირო (კუბა)
3. სტივ ჟილი (კანადა)

ვაჟები. 1 000მ.

ორადგილიანი ბაიდარა

1. ბენიამინო ბონომი — ანტონიო როსი (იტალია)
2. მარკუს ოსკარსონი — ჰენრიკ ნილსონი (შვედეთი)
3. კრისტიან ბარტფაი — კრისტიან ვერები (უნგრეთი)

ვაჟები. 1 000მ.

ორადგილიანი კანოე

1. ფლორინ პოპესკუ — მიტიცა პრიკოპი (რუმინეთი)
2. იბრაჰინ როხასი — ლეობალდო პერეირა (კუბა)
3. ლარს კობერი — შტეფან უტესი (გერმანია)

ვაჟები. 1 000მ.

ოთხადგილიანი ბაიდარა

1. უნგრეთი (აკოშ ვერეჩკეი, გაბორ ჰორვატი, ზოლტან კამერერი, ბოტონდ შტორცი)
2. გერმანია
3. პოლონეთი

ქალები. 500მ.

ოთხადგილიანი ბაიდარა

1. გერმანია (ბირგიტ ფიშერი, ანეტ შუკი, მანუელა მუკე, კატრინ ვაგნერი)
2. უნგრეთი
3. რუმინეთი

### ველორბოლა

ქალები. ინდივიდუალური რბოლა

1. ლეონტიენ ზაილაარდი (ჰოლანდია)
2. მარი ჰოლდენი (აშშ)
3. ჟანი ლონგო (საფრანგეთი)

ვაჟები. ინდივიდუალური რბოლა

1. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი)
2. იან ულრიხი (გერმანია)
3. ლენს არმსტრონგი (აშშ)

### წყალში ხტომა

ვაჟები. 10მ. კოშკი

1. ტიან ლიანგი (ჩინეთი)
2. ჰუ ჟია (ჩინეთი)
3. დმიტრი საუტინი (რუსეთი)

### ცხენოსნობა

გაწვრთნა

1. ანკი ვან გრუნსვენი (ჰოლანდია)
2. იზაბელ ვერტი (გერმანია)
3. ულა ზალცგებერი (გერმანია)

### ხელბურთი

ვაჟები

1. რუსეთი (დმიტრი ფილიპოვი, ვიაჩესლავ გორპიშინი, ოლეგ ხოდკოვი, ედუარდ კოკშაროვი, ვასილი კუდინოვი, სტანისლავ კულიჩენკო, დმიტრი კუჟელევი, დენის კრივოშლიკოვი, ანდრეი ლავროვი, იგორ ლავროვი, სერგეი პოგორელოვი, პაველ სუკოსიანი, დმიტრი ტორგოვანოვი, ალექსანდრ ტუჩკინი, ლევ ვორონინი)
2. შვედეთი
3. ესპანეთი

### ბალახის ჰოკეი

ვაჟები

1. ჰოლანდია (ჟაკ ბრინკმანი, იააპ დერკ ბუმა, იეროენ დელმეე, მარტენ ეიკელბოომი, პიტ-ჰეინ გეერისი, რონალდ იანსენი, ერიკ იაზეტი, სანდერ ვან დერ ვეიდე, ვოუტერ ვან პელტი, დიდერიკ ვან ვეელი, რემკო ვან ვაიკი, სტეფან ვეენი, გუუს ფოგელსი, პეტერ ვინდი, ტიუნ დე ნუაიერი)
2. კორეა
3. ავსტრალია

### თანამედროვე ხუთჭიდი

ვაჟები

1. დმიტრი სვატკოვსკი (რუსეთი)
2. გაბორ ბალოგი (უნგრეთი)
3. პაველ დოვგალი (ბელარუსი)

### მხატვრული ტანვარჯიში

გუნდური

1. რუსეთი (ირინა ბელოვა, ელენა შალამოვა, ნატალია ლავროვა, მარია ნეტიოსოვა, ვერა შიმანსკაია, ირინა ზილბერი)
2. ბელარუსი
3. საბერძნეთი

### აფროსნობა

ფინი

1. იენ პერსი (დიდი ბრიტანეთი)
2. ლუკა დევოტი (იტალია)
3. ფრედრიკ ლუფი (შვედეთი)

ვარსკვლავი

1. მარკ რეინოლდსი — მაგნუს ლილიენდალი (აშშ)
2. იან უოლკერი — მარკ კოველი (დიდი ბრიტანეთი)
3. ტორბენ გრაელი — მარსელო ფერეირა (ბრაზილია)

სოლინგი

1. დანია (იესპერ ბანკი, ჰენრიკ ბლაკსკაიერი, ტომას იაკობსენი)
2. გერმანია (იოხენ შუმანი, გუნარ ბაჰრი, ინგო ბორკოვსკი)
3. ნორვეგია (ჰერმან ჰორნ იოჰანესენი, პოლ დევისი, ესპენ სტოკელანდი)

### ფეხბურთი

ვაჟები

1. კამერუნი (პატრის აბანდა, ნიკოლა ალნუჯი, კლემენტ ბოდი, დანიელ ბეკონო, სერჟ ბრანკო, ჟოელ ეპალე, ლორენ ეტამე მაიერი, სამუელ ეტოო, იდრის კარლოს კამენი, მოდესტ მბამი, პატრიკ მბომა, ალბერტ ზე მეიონგი, სერჟ მიმპო, დანიელ ნგომი, აარონ ნგუიმბატი, ჯერემი ნჯიტაპი, პატრიკ სუფო, პიერ ვომე)
2. ესპანეთი
3. ჩინეთი

### ტაეკვონდო

ქალები. მძიმე წონა

1. ჟონგ ჩენი (ჩინეთი)
2. ნატალია ივანოვა (რუსეთი)
3. დომინიკ ბოსშარი (კანადა)

ვაჟები. მძიმე წონა

1. კიმ კიონგ ჰუნი (კორეა)
2. დანიელ ტრენტონი (ავსტრალია)
3. პასკალ ჟენტილი (საფრანგეთი)

### ფრენბურთი

ქალები

1. კუბა (ტაიმარის აგუერო, ზოილა ბაროსი, რეგლა ბელი, მარლენის კოსტა, ანა ივის ფერნანდესი, მირკა ფრანსია, იდალმის გატო, ლილია ისკუიერო, მირეა ლუისი, იუმიკა რუისი, მარტა სანჩესი, რეგლა ტორესი)
2. რუსეთი
3. ბრაზილია

### თავისუფალი ჭიდაობა

54კგ

1. ნამიგ აბდულაევი (აზერბაიჯანი)
2. სამუელ ჰენსონი (აშშ)
3. ამირან კარნტანოვი (საბერძნეთი)

63კგ

1. მურად უმახანოვი (რუსეთი)
2. სერაფიმ ბარზაკოვი (ბულგარეთი)
3. ჯაე სუნგ იანგი (კორეა)

76კგ

1. ალექსანდერ ლაიპოლდი (გერმანია)
2. ბრენდონ სლეი (აშშ)
3. ეუი ჯაე მუნი (კორეა)

97კგ

1. საგიდ მურთაზალიევი (რუსეთი)
2. ისლამ ბაირამუკოვი (ყაზახეთი)
3. ელდარ კურტანიძე (საქართველო)

---

ველორბოლა

# ბრინჯაო სასადილოსთვის

## ზაილაარდი ყველაზე კი ვანიც უძლიერესია

ველოსიპედისტებმა სიდნეიში გამოსვლა ოლიმპიადის დახურვამდე ერთი დღით ადრე, შაბათს დაამთავრეს. ქალებიც და ვაჟებიც ინდივიდუალურ რბოლაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს.

ქალებმა 31,2 კილომეტრი გაიარეს, რის შემდეგაც ჰოლანდიელმა ლეონტიენ ზაილაარდმა მესამე ოქროს მედალი მოიპოვა ავსტრალიაში. მანამდე მან ჯგუფურ რბოლაში და ტრეკზე გამოდევნებით რბოლაში იპირველა. ტრეკზევე ქულებზე რბოლაში კი მეორე ადგილს დასჯერდა. მშვენიერ მზიან ამინდში 30 წლის ჰოლანდიელმა ყველას აჯობა და გზის გავლას ზუსტად 42 წუთი მოანდომა. მეორე ადგილზე ამერიკელი მარი ჰოლდენი გავიდა, რომელმაც გამარჯვებულთან 37 წამი დათმო, ოღონდ ამითაც უზომოდ კმაყოფილი იყო. „სამშაბათს ჯგუფურ რბოლაში წავიქეცი, მცირედ დავშავდი და დღეს მედლის მოგებას ნამდვილად აღარ ვგეგმავდი“ — თქვა ჰოლდენმა.

„ბრინჯაოს მედალი ოლიმპიურ თამაშებზე არასოდეს მომეგო. კმაყოფილი ვარ ამ მედლის სასადილო ოთახში ჩამოვკიდებ“ — თქვა 41 წლის ფრანგმა ჟანი ლონგომ, რომლის კარიერაც მისი გვარის შესაბამისად უსაშველოდ „გრძელი“ გამოდგა. ისე, სავსებით შესაძლებელია, 12-გზის მსოფლიოს ჩემპიონი და ერთი ოქროს და ორი ვერცხლის (ოლიმპადაზე) მფლობელი ოთხი წლის შემდეგ ათენშიც ვიხილოთ.

ამ ორივე მრბოლზე მეტი ყურადღების ღირსი კი ნამდვილად ზაილაარდია. გათხოვებამდე ვან მორსელად ცნობილმა ქალმა, რომელმაც 90-იანების დასაწყისში კარიერა ბრწყინვალედ დაიწყო, მერე ლამის მიატოვა სპორტი და ახლა მსოფლიოში აშკარად უძლიერესია, გზა საშუალოდ 44,56 კმ/სთ სიჩქარით გაიარა.

„წარმოუდგენელია. მით უმეტეს, რომ საუკეთესო ფორმაში აღარ ვიყავი, თანაც ყელი მტკიოდა, დაღლაც მემჩნეოდა, მაგრამ სხვები ეტყობა, ჩემზე უფრო ძალაგამოცლილნი იყვნენ. სამი ოქრო და ერთი ვერცხლი. ეს ყველა ოცნებას აჭარბებს“ — გახარებული საუბრობდა ზაილაარდი პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე მესამედ ასვლის შემდეგ.

თუ ზაილაარდის წარმატება მთლიანობაში მაინც ლოგიკური ჩანს, ვაჟებში რუსი ვიაჩესლავ ეკიმოვის გაჩემპიონებას კი ნამდვილად არავინ ელოდა. მთავარი ფავორიტები ისეთი უძლიერესი ინდივიდუალისტები იყვნენ, როგორებიც ამ დისციპლინის შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი გერმანელი იან ულრიხი და ბოლო ორი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული ამერიკელი ლენს არმსტრონგი არიან. „ეკი“, როგორც მას „პოსტალის“ თანაგუნდელი არმსტრონგი ეძახის, ოლიმპიური ჩემპიონი 1988 წელსაც გახდა. სეულში მან ოქრო ტრეკზე გუნდებით გამოდევნებით რბოლაში სსრკ-ს ნაკრების შემადგენლობაში მოიგო.

რბოლა მეტად დაძაბული იყო და მდგომარეობა ლამის ყოველ წამს იცვლებოდა. ეკიმოვი არმსტრონგზე ადრე გაემართა სტარტიდან ფინიშისაკენ. ულრიხი საერთოდ ბოლო იყო და შესაბამისად ყველაზე ხელსაყრელ სიტუაციაშიც იმყოფებოდა. 46,8 კილომეტრის გავლის შემდეგ ეკიმოვი პირველი კი იყო, მაგრამ ულრიხის ფინიშამდე მას დაახლოებით ერთ საათს მოუწია ცდამ და ნერვიულობამ 30 კილომეტრამდე ყველა საშუალედო ფინიშზე საუკეთესო დრო ეკიმოვს ჰქონდა, მაგრამ ბოლო ათი კილომეტრით ადრე მას ულრიხმა გადაასწრო.

თითქოს გერმანელს სამი დღით ადრე ჯგუფური რბოლის მოგების შემდეგ ოლიმპიური დუბლი უნდა შეესრულებინა, მაგრამ „როსტოკელ მანქანას“ ბოლოსკენ ოდნავ დაღლა შეეტყო და საბოლოოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრინჯაო ეკიმოვის თანაგუნდელ არმსტრონგს ერგო მასთან ერთად რესმა რამდენიმე კვირის წინ ედი მერქსის სახელობის გრან პრი მოიგო ორკაციანი გუნდებით რბოლაში.

„ვერ დამიჯერებია. მეგონა, ხუთეულში შევაღწევდი და ბოლო მრბოლებს განევრიულებული ველოდი. გამარჯვებაზე წამითაც არ მიფიქრია“ — განაცხადა ვიაჩესლავ ეკიმოვმა, რომელიც 1990 წელს საბჭოელთაგან ერთ-ერთი უპირველესი გაპროფესიონალდა.

**გაიოზ თალაქვაძე**

ქალები. ინდივიდუალური რბოლა. 31,2კმ

**1. ლეონტინ ზაილაარდი (ჰოლანდია), 42წთ; 2. მარიჰოლდენი (აშშ) — +37წმ; 3. ჟანი ლონგო (საფრანგეთი) — +52წმ**

ვაჟები. ინდივიდუალური რბოლა. 46,8კმ

**1. ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი) 57წთ 40წმ; 2. იან ულრიხი (გერმანია) +8წმ; ლენს არმსტრონგი (აშშ) — +34წმ**

# ეთიოპური ფინიში

**ოლიმპიადის** ბოლო ორი დღე მძლეოსნებს უთანაბროდ გაუნაწილდათ. შაბათი დატვირთული იყო: მედლების ცხრა კომპლექტის პატრონის ვინაობა ირკვეოდა, კვირისათვის კი მხოლოდ ვაჟთა მარათონი დანიშნეს, ოლიმპიური მძლეოსნობის დასკვნით სახეობად ტრადიციულად იგია ხოლმე მიჩნეული.

მარიონ ჯონსი სიდნეის ხუთი მედლით ტოვებს, ოღონდ მათგან სულ სამს დაჰკრავს ოქროს ბრჭყვიალი. ორი ბრინჯაოა — სიგრძეზე ხტომაში პარასკევსა და 4X100-მეტრიან ესტაფეტაში შაბათს მოპოვებული. ესტაფეტაზე ამერიკელები დანაკლისით გავიდნენ, ინგერ მილერს ბარძაყის ტრავმამ მთელი ოლიმპიადა გააცდენინა. ფინალში კონკურსიც არ იყო ხელწამოსაკრავი: ცალკე ბაჰამის კუნძულების ოთხეული, რომლის ყოველი წევრი სამძლეოსნო ელიტას გაშინაურებული გახლავთ, ცალკეც იამაიკელები, რომელთაც მეოთხე ნომრად დიდებული მერლინ ოტი გაემწესებინათ. მოკლედ, მძაფრი რბენა გაჩაღდა. ბაჰამელებმა სხვაზე მეტი სიცქვიტე გამოავლინეს, იამაიკამ — იმათზე ცოტა ნაკლები და მხოლოდ ბოლო საპრიზო ადგილი ერგო ამერიკას, ანუ ჯონსი ხუთს ვინ ჩივის, ოთხი ოქროს გარეშე დარჩა და ქებული თანამემამულეების, ჯესი ოუენსისა და კარლ ლუისის მიღწევათა გამეორებაც ვერ მოახერხა. 4X400-მეტრიანი ესტაფეტა კი უკვე აღარ დათმეს იანკებმა, იამაიკელებს ნახევარ წამზე გვარიანად მეტი მოუგეს, რუსებს — წამამდე.

ჯონსს არა და, ხუთი ოქროს მედალი მაიკლ ჯონსონს დაუგროვდა, ოღონდ სამი ოლიმპიადის ჯამში. თავის ბოლო ოლიმპიადაზე ოლიმპიადებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების 14 ოქროს მედლის ლაურეატმა ორი ჯილდოთი გაიმდიდრა კოლექცია, ადრე 400 მეტრი მოიგო და ახლაც თავისი წილი 400-ის სანაქებო გარბენით ერთობ შეეშველა ესტაფეტურ საერთო საქმეს. ამერიკელთა უპირატესობა თავიდანვე იმდენად აშკარა იყო, რომ დანარჩენებმა მხოლოდ მეორე-მესამე ადგილებისთვის განაგრძეს ბრძოლა. ფინიშამდე მცირედით ადრე ისე ჩანდა, რომ ვერცხლსა და ბრინჯაოს ბაჰამები და იამაიკა მოიპოვებდნენ, მაგრამ აიწყვიტა ნიგერიელმა ენეფიოკ უდო-ობონგმა და ელვასავით ჩაუქროლა კონკურენტებს, ამიტომ ნიგერიას მეორე ადგილი დარჩა, იამაიკას — მესამე და ბაჰამებს არაფერი. ჯონსონი კი მიდის, წასვლის დღე და საათი არ დაუთქვამს, მაგრამ გაისად მსოფლიოს პირველობაზე აღარ გამოვალო, დაადასტურა ადრე ნათქვამი.

შაბათს აგრეთვე ირბინეს: ქალებმა 1500 და 10 000 მეტრებზე, კაცებმა 5000-ზე. სიდნეიში 5000 მეტრზე გამარჯვებული რუმინელი გაბრიელა საბო ახლა 1500-საც თუ მიაყოლებდა, აქამდე მიუღწეველ დუბლს შეასრულებდა. მისდა სამწუხაროდ, დრამატული გარბენი მოულოდნელად ალჟირელმა ნურია მერაჰ-ბენიდამ მოიგო. დრამატულიო, ვამბობთ, რადგან ბოლო მეტრები თითქმის გვერდიგვერდ გაირბინეს მერაჰ-ბენიდამ, საბომ, მისმა თვისტომმა ვიოლეტა სეკელმა და ეთიოპიელმა კუტრე დულეჩამ, ხოლო მოშორებით დარჩნენ ისეთი ცნობილი გვარ-სახელის პატრონები, როგორიც პოლონელი ლიდია ჩოჟესკა, ანაც ამერიკელი სიუზი ფევორ ჰამილტონი გახლავთ. უკანასკნელი დაეცა და ამიტომ ჩამორჩა, თორემ ვინძლო ლიდერთა მარაქაშიც გარეულიყო. ფინალურ სპრინტზე ალჟირელი ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა და მერე პატრიოტული სიტყვებით ილაპარაკა: „როცა ფინიში გადავლახე — თქვა მერაჰ-ბენიდამ ალალი გულით და სველი თვალებით — ჩემს ხალხზე ვფიქრობდი, ალჟირელ ხალხზე". საპრიზო ადგილებზე რუმინელები გავიდნენ, ეთიოპიელი დულეჩა კი მეოთხეზე დარჩა, თუმცა, ეს შაბათს ამ ქვეყნის მორბენალთა ერთადერთი წარუმატებლობა გახლდათ. სხვა ორი გარბენი მათ მოიგეს და მეორე დღეს მარათონიც რომ დაიპყრეს, ამაზე ცოტა მოგვიანებით...

ქალთა 10-ათასმეტრიან გარბენზე თავიდან ბრიტანელი პოლა რედკლიფი დაწინაურდა. უკვე რბენის შემდეგ მან განაცხადა, თავიდანვე საერთო მასისგან მოწყვეტა და წინ გაჭრა განვიზრახე, რადგან მეგონა, რომ მეტოქეს მხოლოდ ამგვარი ტაქტიკით ვაჯობებდიო. სამი კილომეტრი რომ ამოიწურა, რედკლიფმა მიზანს ნაწილობრივ მიაღწია — მორბენალთა ძირითადი ნაწილი ღრმა ზურგში დატოვა, მაგრამ ოთხი მდევარი ვერაფრით ჩამოიშორა. ესენი იყვნენ ეთიოპელები დერარტუ ტულუ და გეტე ვამი, ციცქნა კენიელი ტეგლა ლორუპე და პორტუგალელი ფერნანდა რიბეირუ. გზის ნახევარი რომ გაილია, პირველი ხუთეული უცვლელი დარჩა, ხოლო მეექვსედ და ყველასგან ეულად ირლანდიელი ვეტერანი, სონია ოსალივანი გარბოდა. დაახლოებით ორმოცდაათი მეტრით დაშორებული სულაც არ ცდილობდა ამ ჩამორჩენის აღმოფხვრას. ამის შემდეგ რედკლიფი ერთხანს კიდევ ლიდერობდა, მერე ეთიოპელები წინ გაუშვა, ისევ გაუსწრო და ბოლოს მაინც აფრიკელებმა იძალეს. ტულუ უფრო ჯანზე იყო, ამიტომ ვამიმ მას ხელი შეუწყო და სულ მალე დერარტუ ტულუმ, დისტანციის მომავალმა ჩემპიონმა, კარგა 15 მეტრით ჩამოიტოვა დანარჩენები. ლორუპე ძლიერ ჩამორჩა და ხუთეულის ბოლო პოზიცია ელოდა, რიბეირუმ კი, პირიქით, სიჩქარეს უმატა, გაუსწრო რედკლიფს და მეორე ადგილისთვის ვამის ცხარედ შეებრძოლა, თუმცა ოთხი მეათედი წამით მასზე გვიან გადალახა ფინიშის ხაზი. მთლიანობაში ტემპი საკმაოდ მაღალი იყო, რედკლიფმა, ლორუპემ და ოსალივანმა ეროვნული რეკორდები დაამყარეს, სამაგიეროდ, ძლიერ ზანტად დაიწყო ვაჟთა 5000-მეტრიანი გარბენი. არ იყო გერმანელი დიტერ ბაუმანი, ერთადერთი ევროპელი, ვისგანაც აფრიკელთა ბატონობის შერყევას მოელოდნენ და ამიტომ 5000 მეტრის მონინავე ათეული თითქმის სულ შავკონტინენტელებით შეივსო: 3 ეთიოპიელი, იმდენივე კენიელი, თითოც ალჟირელი და მაროკოელი. ამ კომპანიაში ბებერი კონტინენტიდან მხოლოდ უკრაინელი სერგიი ლებიდი და გერმანელი ირკა არნდტი გაერივნენ.

ასეთი ნელი დასაწყისი იმან განაპირობა, რომ მორბენალები ტაქტიკურ ბრძოლას გეგმავდნენ და მაინცდამაინც წინ გაჭრა არავის დაუპირებია. მხოლოდ ერთხელ მოწყდა ჯგუფს არნდტი და 30 მეტრით დაწინაურდა, მაგრამ ორი წრის შემდეგ მასამ იგი ჩაყლაპა და გზის ნახევარი სტაიერებმა კოლექტიურ ერთიანობაში დაასრულეს. როცა ფინიში მოახლოვდა, ახლა ალჟირელმა ალი საიდი-სიეფმა სცადა მკვეთრად წინ გავარდნა, მაგრამ ჯგუფი არ დაბნეულა, ფეხდაფეხ გაედევნა ონავარს, დასკვნითი ხაზიდან ორასი მეტრის მოშორებით ეთიოპიელმა მილიონ ვოლდემ გადამწყვეტი სპრინტი დაიწყო და დააგვირგვინა კიდეც. ალჟირელი მეორე იყო, თუმცა პირველობას უფრო მას უწინასწარმეტყველებდნენ. „გამაკვირვა ვოლდეს გამარჯვებამ — აღნიშნა მესამე ადგილზე გასულმა მაროკოელმა, ბრაჰიმ ლაჰლაფიმ — ვფიქრობდი, რომ პირველობისთვის მე და ალჟირელი ვიბრძოლებდით". მას არ დაეთანხმა ვოლდეს თვისტომი ფიტა ბაიისა, რომლის აზრითაც, ეთიოპები გეგმაზომიერად გარბოდნენ და სამიდან ერთ-ერთს უნდა მოეგო.

სიდნეის ოლიმპიური სტადიონის შიდა აკვატორია შაბათს ქალმა მეშუბეებმა და სიმაღლეზე მხტომელებმა დაიკავეს. პირველებში ფავორიტი უცხადესი იყო: ნორვეგიელი ტრინე ჰატესტადი თავისი წლევანდელი „ოქროს ლიგის" ათკილოიანი ჯეკ-პოტითა და ორი მსოფლიოს რეკორდით. ჰატესტადს ოლიმპიური იღბალი აქამდე არ სწყალობდა: 18 წლისა იყო, როცა ლოს ანჟელესში შუბი გასტყორცნა და იმის მერე კიდევ სამი ოლიმპიადიდან ერთადერთ ბრინჯაოს გამორჩა. არადა, ქალი, რომელიც ფეხმძიმობისას შუბს 65 მეტრზე გასტყორცნის, მეტის ღირსია, მით უფრო, სავარაუდოდ, თავის ბოლო ოლიმპიადაზე. შეისმინა ეს ამბავი გამარჯვების ქალღმერთმა ნიკემ და ჰატესტადს ოლიმპიური ოქრო უწყალობა. მხოლოდ მეშვიდე იყო მისი უპირველესი კონკურენტი, რუსი ტატიანა შიკოლენკო და მესამე — კუბელი ოსლეიდის მენენდესი. ჰატესტადი კი ოლიმპიური პირველია და მის სპორტულ კარიერაზე ცოტა მეტსაც გეტყვით. დაიბადა ოსლოში, 1966 წლის 18 აპრილს. ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა ქვებისა და თოვლის გუნდების სროლის ნიჭი, ამიტომ პროფესიად ხელბურთელობა აირჩია. ერთხანს ნორვეგიის ლიგაში თამაშობდა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ მის ვიკინგურ სულს უფრო შუბის ტყორცნა სწყუროდა და მძლეოსნობაზე გადაერთო. ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია, ორი შვილი ჰყავს და 1989 წელს დოპინგისთვის დისკვალიფიკაციით დასაჯეს. დოპინგის თემა, მოგეხსენებათ, სიდნეის ოლიმპიადაზეც მწვავედ წამოიჭრა, რამდენიმე ქებული სპორტსმენი დაისაჯა და აგერ ერთი ცინცხალი ამბავიც: დარბაზებში 400 მეტრზე ევროპის რუსი ჩემპიონი სვეტლანა პოსპელოვა სტანოზოლოლის (აკრძალული ნივთიერებაა) ხმარებაშია მხილებული. მისი საქმე, სადაც ჯერ არს, იქ გაირჩევა, ხოლო რაც შეეხება სტანოზოლოლს, დავაზუსტოთ, რომ თორმეტი წლის წინ ბენ ჯონსონიც იმან შეიწირა. გასაკვირია, რად მიიღო პოსპელოვამ ასე გახმაურებული და ძველი პრეპარატი, რისი იმედი ჰქონდა?

და კვირადღე. ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალამდე 98-მა ყველაზე გამძლე ჯიშის სტაიერმა სიდნეისა და მის შემოგარენში 42 კილომეტრისა და 195 მეტრის გარბენა დაიწყო. აქედანვე ითქმის: „ვივა, ეთიოპია!" არ მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ უძლიერესი კენიელი მემარათონენი თავიანთ სპორტულ ჩინოვნიკებთან კონფლიქტს შეეწირნენ და ოლიმპიადა გამოტოვეს. ჩასული კენიელებიც საკმაოზე ძლიერნი იყვნენ. ამათ დავუმატოთ სეზონის რეკორდის ავტორი პორტუგალიიდან, ანტონიო პინტუ და დასკვნა — ეთიოპიელებს ოქრო და ბრინჯაო გასეირნებით არ რგებიათ.

გუშინწინ სიდნეიში ქარი ქროდა, ამიტომ რომელიმე რეკორდის დამხობას არავინ ელოდა, ჯგუფურ სირბილსა და ტაქტიკურ ბრძოლაში უნდა დადგენილიყო გამარჯვებული. ყველაზე ადრე ბოტსვანელმა ტიაუპო მასომ აუჩქარა, იქნებ იმიტომ, რომ ყურადღების ცენტრში ერთხანს მაინც მოხვედრილიყო, ათი კილომეტრი მარტომ ირბინა და მერე ენაგადმოგდებული ხალხში ჩაიკარგა. მასოს დაავიწყდა, რომ ვინც არ ითმენს, ის არ იგებს, ამიტომ საბოლოოდ 77-ე ადგილით დაისაჯა. ნამდვილი ბრძოლა „ანზაკ ბრიჯის" აღმართზე დაიწყო. წინ მხოლოდ ყველაზე გამძლეები გაიჭრნენ: ეთიოპელები გეზაგნე აბერა და ტესფაიე ტოლა, კენიელი ერიკ ვაინაინა და ერთადერთი ევროპელი, ბრიტანელი ჯონ ბრაუნი. პინტუ ჩამორჩა. მე-40 კილომეტრზე აბერამ უცაბედი გარღვევა განახორციელა და 15 მეტრი მოიგო, მერე დაეცა და მუხლი გადაიყვლიფა, თუმცა ამან ვერ შეაკავა, მოუღლელად ირბინა და ოლიმპიური სტადიონის ყურისწამღებ ხმაურში ფინიში პირველმა გადალახა. კენიელი კარგა მოგვიანებით გამოჩნდა სტადიონის სარბენ ბილიკებზე, ტოლაც მისგან რამდენიმე ათეული მეტრით უკან. ბრაუნი საქებია, რაკი მხოლოდ სამ აფრიკელს დაეჩაგვრინა, ხოლო დიდების ღირსი — ეთიოპიის სამძლეოსნო ნაკრები, რომელიც სიდნეის 4 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედლით ტოვებს.

სიდნეის ოლიმპიადის სპორტული ბოლოც ეს იყო.

**დავით გულუა**



დედოფლის დედოფალი: მარიონ ჯონსმა სიდნეიდან სამი ოქრო და ორი ბრინჯაო წაიღო

REUTERS სიდნეიდან




ტრინე ჰატესტადი




გეზაგნე აბერა

REUTERS სიდნეიდან

**ქალები. შუბი**

1. ტრინე ჰატესტადი (ნორვეგია) 68,91; 2. მირელა მანიანი-ცელილი (საბერძნეთი) 67,51; 3. ოსლეიდის მენენდესი (კუბა) 66,18.

**ქალები. სიმაღლეზე ხტომა**

1. ელენა ელესინა (რუსეთი) 2,01; 3. ჰესტრი კლუტე (სამხრეთ აფრიკა) 2,01; 3. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) და ოანა პანტელიმონი (რუმინეთი) 1,99.

**ვაჟები. 5000მ.**

1. მილიონ ვოლდე (ეთიოპია) 13.35,49; 2. ალი საიდი-სიეფი (ალჟირი) 13.36,20; 3. ბრაჰიმ ლაჰლაფი (მაროკო) 13.36,47.

**ქალები. 4X100 ესტაფეტა**

1. ბაჰამის კუნძულები (სავათედა ფაინსი, ჩანდრა სტურაპი, პოლინ დევის-ტომპსონი, დები ფერგიუსონი) 41,95; 2. იამაიკა (ტაინა ლოურენსი, ვერონიკა კემპბელი, ბევერლი მაკდონალდი, მერლინ ოტი) 42,13; 3. აშშ (კრისტი გეინსი, ტორი ედუარდსი, ნენსინ პერი, მარიონ ჯონსი) 42,20.

**ვაჟები. 4X100 ესტაფეტა**

1. აშშ (ჯონათან დრამონდი, ბერნარდ უილიამსი, ბრაიან ლუისი, მორის გრინი) 37,61; 2. ბრაზილია (ვისენტე ლიმა, ედსონ რიბეირუ, ანდრე სილვა, კლოდინეი და სილვა) 37,90; 3. კუბა (ხოსე ანხელ სესარი, ლუის ალბერტო პერესი, ივან გარსია, ფრედი მაიოლა) 38,04.

**ქალები. 4X400 ესტაფეტა**

1. აშშ (ჯერლ მაილს-კლარკი, მონიკ ჰენაგანი, მარიონ ჯონსი, ლატაშა კოლანდერ-რიჩარდსონი) 3.22,62; 2. იამაიკა (სანდი რიჩარდსი, კეტრინ სკოტ-პომელსი, დეონ ჰემინგსი, ლორენ გრემი) 3.23,25; 3. რუსეთი (იულია სოტნიკოვა, სვეტლანა გონჩარენკო, ოლგა კოტლიაროვა, ირინა პრივალოვა) 3.23,46.

**ვაჟები. 4X400 ესტაფეტა**

1. აშშ (ალვინ ჰარისონი, ანტონიო პეტიგრიუ, კელვინ ჰარისონი, მაიკლ ჯონსონი) 2.56,35; 2. ნიგერია (კლემენტ ჩუკვუ, ჯუდე მონიე, სანდი ბადა, ენეფიოკ უდო-ობონგი) 2.58,68; 3. იამაიკა (მაიკლ ბლეკვუდი, გრეგორი ჰოუტონი, კრისტოფერ უილიამსი, დენი მაკფერლანი) 2.58,78.

**ქალები. 10 000მ.**

1. დერარტუ ტულუ (ეთიოპია) 30.17,49; 2. გეტე ვამი (ეთიოპია) 30.22,48; 3. ფერნანდა რიბეირუ (პორტუგალია) 30.22,88.

**ქალები. 1500მ.**

1. ნურია მერაჰ-ბენიდა (ალჟირი) 4.05,10; 2. ვიოლეტა სეკელი (რუმინეთი) 4.05,15; 3. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 4.05,27.

**ვაჟები. მარათონი**

1. გეზაგნე აბერა (ეთიოპია) 2:10.11; 2. ერიკ ვაინაინა (კენია) 2:10.31; 3. ტესფაიე ტოლა (ეთიოპია) 2:11.10.

# ჩემპიონები და პრიზიორები

## 1 ოქტომბერი

### მძლეოსნობა

ვაჟები. მარათონი

1. გეზაგნე აბერა (ეთიოპია)
2. ერიკ ვაინაინა (კენია)
3. ტესფაიე ტოლა (ეთიოპია)

### კალათბურთი

ვაჟები

1. აშშ (შარიფ აბდურ-რაჰიმი, რეი ალენი, ვინ ბეიკერი, ვინს კარტერი, კევინ გარნეტი, ტიმ ჰარდევეი, ალან ჰიუსტონი, ჯეისონ კიდი, ანტონიო მაკდაიესი, ალონზო მურნინგი, გერი პეიტონი, სტივ სმიტი)
2. საფრანგეთი
3. ლიტვა

### კრივი

51კგ

1. ვიჯან პონლიდი (ტაილანდი)
2. ბულატ ჯუმადილოვი (ყაზახეთი)
3. ჟერომ ტომასი (საფრანგეთი)
3. ვლადიმირ სიდორენკო (უკრაინა)

57კგ

1. ბეკზატ სატარხანოვი (ყაზახეთი)
2. რიკარდო ხუარესი (აშშ)
3. ტაჰარ ტამსამანი (მაროკო)
3. კამილ ჯამალუტდინოვი (რუსეთი)

63,5კგ

1. მაჰამადკადიზ აბდულაევი (უზბეკეთი)
2. რიკარდო უილიამსი (აშშ)
3. მოჰამედ ალალუ (ალჟირი)
3. დიოგენის მარტინესი (კუბა)

71კგ

1. იერმახან იბრაიმოვი (ყაზახეთი)
2. მარინ სიმიონი (რუმინეთი)
3. პორნჩაი ტონგბურანი (ტაილანდი)
3. ჯერმენ ტეილორი (აშშ)

81კგ

1. ალექსანდრ ლებზიაკი (რუსეთი)
2. რუდოლფ კრაი (ჩეხეთი)
3. ანდრიი ფედჩუკი (უკრაინა)
3. სერგეი მიხაილოვი (უზბეკეთი)

+91კგ

1. ოდლი ჰარისონი (დიდი ბრიტანეთი)
2. მუხტარხან დილდაბეკოვი (ყაზახეთი)
3. პაოლო ვიდოცი (იტალია)
3. რუსტამ საიდოვი (უზბეკეთი)

### ბაიდარა და კანოე

ვაჟები. 500მ.

ერთადგილიანი ბაიდარა

1. კნუტ ჰოლმანი (ნორვეგია)
2. პეტარ მერკოვი (ბულგარეთი)
3. მიხაელ კოლგანოვი (ისრაელი)

ვაჟები. 500მ.

ერთადგილიანი კანოე

1. დიერდი კოლონიჩი (უნგრეთი)
2. მაქსიმ ოპალევი (რუსეთი)
3. ანდრეას დიტმერი (გერმანია)

ვაჟები. 500მ.

ორადგილიანი ბაიდარა

1. ზოლტან კამერერი — ბოტონდ შტორცი (უნგრეთი)
2. დანიელ კოლინზი — ენდრიუ ტრიმი (ავსტრალია)
3. რონალდ რაუჰე — ტიმ ვიესკოტერი (გერმანია)

ვაჟები. 500მ.

ორადგილიანი კანოე

1. ფერენც ნოვაკი — იმრე პულაი (უნგრეთი)
2. დანიელ იედრაშკო — პაველ ბარაშკევიჩი (პოლონეთი)
3. ფლორინ პოპესკუ — მიტიცა პრიკოპი (რუმინეთი)

ქალები. 500მ.

ორადგილიანი ბაიდარა

1. ბირგიტ ფიშერი — კატრინ ვაგნერი (გერმანია)
2. კატალინ კოვაჩი — სილვია საბო (უნგრეთი)
3. ანეტა პატუშკა — ბეატა სოკოლოვსკა (პოლონეთი)

ქალები. 500მ. ერთადგილიანი ბაიდარა

1. იოზეფა იდემ გუერინი (იტალია)
2. კაროლინ ბრიუნე (კანადა)
3. კეტრინ ბორჩერტი (ავსტრალია)

### ცხენოსნობა

კონკური

1. იეროენ დუბელდამი (ჰოლანდია)
2. ალბერტ ვოორნი (ჰოლანდია)
3. ხალედ ალ ეიდი (საუდის არაბეთი)

### მხატვრული ტანვარჯიში

პირადი

1. იულია ბარსუკოვა (რუსეთი)
2. იულია რასკინა (ბელარუსი)
3. ალინა კაბაევა (რუსეთი)

### ხელბურთი

ქალები

1 დანია (კამილა ანდერსენი, ტინა ბოტცაუ, კარენ ბროდსგაარდი, კატრინ ფრუელუნდი, მაია გრონბეკი, ანეტ ჰოფმანი, ლოტე კიაერსკოუ, ტონიე კიაერგაარდი, იანე კოლინგი, კარინ მორტენსენი, ანია ნილსენი, რიკე პეტერსენი, ლენე რანტალა, კრისტინა როსლინგი, მეტე ვესტერგაარდი)
2. უნგრეთი
3. ნორვეგია

### თანამედროვე ხუთჭიდი

ქალები

1. სტეფანი კუკი (დიდი ბრიტანეთი)
2. ემილი დე რიელი (აშშ)
3. კეიტ ალენბი (დიდი ბრიტანეთი)

### ფრენბურთი

ვაჟები

1. იუგოსლავია (ვლადიმირ ბატეჟი, სლობოდან ბოშკანი, ანდრია გერიჩი, ნიკოლა გრიბიჩი, ვლადიმირ გრბიჩი, სლობოდან კოვაჩი, დიულა მეშტერი, ვასა მიიჩი, ივან მილკოვიჩი, ველკო პეტროვიჩი, გორან ვუიევიჩი, იგორ ვუსოროვიჩი)
2. რუსეთი
3. იტალია

### წყალბურთი

ვაჟები

1. უნგრეთი (ტიბორ ბენედეკი, პეტერ ბიროში, რაიმუნდ ფოდორი, ტამაშ კაშაში, დერდეი კიში, ზოლტან კოსი, ტამაშ მარცი, ტამაშ მოლნარი, ბარნაბას შტეინმეტცი, ზოლტან სეჩი, ბულჩუ სეკელი, ჟოლტ ვარგა, ატილა ვარი)
2. რუსეთი
3. იუგოსლავია

### თავისუფალი ჭიდაობა

58კგ

1. ალირეზა დაბირი (ირანი)
2. ევგენი ბუსლოვიჩი (უკრაინა)
3. ტერი ბრანდსი (აშშ)

69კგ

1. დანიელ იგალი (კანადა)
2. არსენ გიტინოვი (რუსეთი)
3. ლინკოლნ მაკილრავი (აშშ)

85კგ

1. ადამ საიტიევი (რუსეთი)
2. იოელ რომერო (კუბა)
3. მაგომედ იბრაგიმოვი (მაკედონია)

130კგ

1. დავიდ მუსულბესი (რუსეთი)
2. არტურ თაიმაზოვი (უზბეკეთი)
3. ალექსის როდრიგესი (კუბა)

ფრენბურთი

# რუსეთს ფინალში ორჯერ აჯობეს

**ვაჟები**

**ფინალი**

**იუგოსლავია 3:0 რუსეთი**

**მესამე ადგილისთვის**

**იტალია 3:0 არგენტინა**

**ქალები**

**ფინალი**

**კუბა 3:2 რუსეთი**

**მესამე ადგილისთვის**

**ბრაზილია 3:0 აშშ**

**ფრენბურთელ** ქალთა და ვაჟთა ფინალებში რუსეთი გავიდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ოქროს მედლების გარეშე დარჩა. თუ ქალებში რუსთა ვიცე-ჩემპიონობა მოსალოდნელი იყო, რადგან კუბა აშკარა ფავორიტი იყო, სამაგიეროდ, რუს კაცთა მარცხი იუგოსლავიელებთან თამამად შეიძლება, სენსაციად მოვნათლოთ.

რადგან ქალებმა უძლიერესი ვაჟებზე ერთი დღით ადრე გაარკვიეს, თხრობაც იქიდან დავიწყოთ. კუბამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ყველა ოლიმპიადა და მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. სიდნეიში თავისუფლების კუნძულის ნაკრები ზედიზედ მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, რაც აქამდე ვერავის მოუხერხებია. არადა, თავიანთი ყიამყრალი მწვრთნელი ნიკოლაი კარპოლის ლანძღვა-გინებითა და ყვირილით შეხურებულმა რუსებმა კინაღამ დაამხეს კუბელთა ათწლიანი ბატონობა.



კუბელმა ქალებმა მოგებით გაიხარეს...

პირველი პარტია კუბელებმა უკეთ დაიწყეს, მოპოვებული უპირატესობა ხელიდან კარგა ხანს არ გაუშვეს და სამი სეტბოლიც მიიღეს 24:21. მერე ელენა გოდინმ (194 სმ) და ევგენია არტამონოვამ (191 სმ) გაიბრწყინეს და სეტი მაინც რუსეთმა მოიგო (27:25). მეორე ხელში 13:13-დან მოყოლებული ვერც ერთმა გუნდმა ქულაზე მეტით ვერ შეძლო წინ გასვლა. მოგებასთან უფრო ახლოს ისევ კუბელები იყვნენ (24:23). თუმცა რუსეთმა ისევ შეძლო მდგომარეობის შემობრუნება და რამდენიმე უსაშველოდ გაწელილი გათამაშების შემდეგ გოდინას მარლენის კოსტას შეტევაზე დაფარებით 34:32 გაიმარჯვა.

კუბას უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. მისმა მწვრთნელმა თითქმის ყველა იერიშის დაგვირგვინება 179 სმ სიმაღლის იუმიკა რუისს მიანდო. ამან გაამართლა. რუისმა შეძლო მეტოქის დაცვაში ნაპრალების მონახვა და ქულებიც უფრო იოლი მოსაპოვებელი გახდა. დაცვაში კი ანა ივის ფერნანდესი და რეგლა ტორესი ბრწყინავდნენ, რომელთა დაფარებებმა სლავების ბევრი შეტევა ჩაშალეს. მალე ანგარიშიც გათანაბრდა (2:2). კუბამ ორივე ხელი იოლად მოიგო (25:19, 25:18), გადამწყვეტ პარტიაშიც აღარ გასჭირვებია (15:7) და ფინალის დაწყებიდან 103 წუთის შემდეგ ჩემპიონიც გახდა.

ბრინჯაოს მედლები ბრაზილიელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ნახევარფინალში რუსებთან ომით (2:3) დაღლილი ამერიკელები იოლად დაამარცხეს (25:18, 25:22, 25:21).

ნახევარფინალში იტალიის დამარცხების შემდეგ იუგოსლავიელ ვაჟ ფრენბურთელთა მწვრთნელი ზორან გაიჩი ამბობდა, რომ რუსეთი ფავორიტი კი იყო ფინალში, მაგრამ მისი გუნდი დამარცხებას არ აპირებდა. ბოლო მატჩის შემდეგ კი გაიჩმა ასეთი რამ თქვა: „გაოგნებული ვარ ჩვენი თამაშის ხარისხით. რაც საჭირო იყო გამარჯვებისთვის, ყველაფერი გავაკეთეთ." მართლაც იუგებმა ყველაფერი გაიღეს, მკვდარი ბურთებიც კი გადაარჩინეს. მოედანზე ხომ ლამის დაფრინავდნენ. მოწინაალმდეგე თანდათან შეეგუა მარცხს და ბოლოს უკვე ვალის მოხდის მიზნითღა თამაშობდა, ვიდრე მატჩის ბედის შეცვლის სურვილით.

პირველ ხელი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. 21:21 იყო, როცა იუგები წამიერად აფეთქდნენ და 24:22 დაწინაურდნენ. მერე კი სერგეი ტეტიუხინმა ბურთი ვერ ჩააგდო და სამხრეთელმა სლავებმა 25:22 მოიგეს. მეორე პარტია იუგებმა უკეთესად დაიწყეს და ჯერ 8:3 დაწინაურდნენ, მერე 10:5. თუმცა გენადი შაპულინის შეგირდებს მეორე სუნთქვა გაეხსნათ და ანგარიში გაათანაბრეს — 17:17. რამდენიმე ხანში ისევ თანაფარდობა იყო — 22:22. ოღონდ ბოლოს ისევ იუგოსლავიელებმა იძალეს და გორან ვუიევიჩის ეისით მეორე პარტიაც პირველის მსგავსი ანგარიშით მოიგეს.

მესამე ხელში 15:12 იყო, როცა ვლადიმირ გრბიჩი მაყურებლებში გადახტა, ბურთი გადაარჩინა, მოედანს დაუბრუნდა, რუს რომან იაკოვლევს დაუფარა და ის ქულა თავისიანებს მოუტანა. სწორედ აქ გახდა საბოლოოდ ნათელი, რომ იუგოსლავია გამარჯვებას აღარ დათმობდა. ასეთ მოხდა — 25:20 და ოქროს მედლები.

მესამე ადგილი იტალიამ დაიკავა, რომელმაც არგენტინას 3:0 (25:16, 25:15, 25:18) მოუგო.

**გაიოზ თალაქვაძე**



...რუსები კი ცხარედ ატირეს

### ცხენოსნობა

გაწვრთნა

1. ანკი ვან გრუნსვენი (ჰოლანდია) 239,18; 2. იზაბელ ვერტი (გერმანია) 234,19; 3. ულა ზალცგებერი (გერმანია) 230,57

კონკური

1. იეროენ დუბელდამი (ჰოლანდია) 4,00 საჯარიმო ქულა; 2. ალბერტ ვოორნი (ჰოლანდია) 4,00 საჯარიმო ქულა; 3. ხალედ ალ ეიდი (საუდის არაბეთი) 4,00 საჯარიმო ქულა

### თანამედროვე ხუთჭიდი

ვაჟები

1. დმიტრი სვატკოვსკი (რუსეთი) 5376; 2. გაბორ ბალოგი (უნგრეთი) 5353; 3. პაველ დოვგალი (ბელარუსი) 5338

ქალები

1. სტეფანი კუკი (დიდი ბრიტანეთი) 5318; 2. ემილი დე რიელი (აშშ) 5310; 3. კეიტ ალენბი (დიდი ბრიტანეთი) 5273

# ქალებმა უფრო ივაჟკაცეს

## ვაჟებმა კი კომისარი შტერნი შეაშფოთეს

**ვაჟები**

**ფინალი**

**აშშ 85:75 საფრანგეთი**

აშშ: ჰიუსტონი (8), მურნინგი (9), გარნეტი (6), კარტერი (13), პეიტონი (7), სმიტი (4), კიდი (4), ჰარდევეი (2), ბეიკერი (11), ალენი (13), მაკდაიესი (3), აბდურ-რაჰიმი (5)

საფრანგეთი: რიგოდო (10), ფუარე (3), რიზაშე (15), ბილბა (3), ვეისი (1), სონკო, სკიარა (19), გადუ ჟულიენი (11), პალმერი (10), დიუმასი (3)

მატჩი მესამე ადგილისთვის

**ლიტვა 89:71 ავსტრალია**

**ქალები**

**ფინალი**

**აშშ 76:54 ავსტრალია**

მატჩი მესამე ადგილისთვის

**ბრაზილია 84:73 კორეა**

**(ძირითადი დრო 65:65)**

**ფინალური** მატჩის მეორე ტაიმის მეთექვსმეტე წუთი მიმდინარეობს. სულ ცოტაც და ოლიმპიური ჩემპიონის ვინაობა გაირკვევა. აი, ფრანგთა გამთამაშებელმა ანტუან რიგოდომ მატჩის დამთავრებამდე ოთხნახევარი წუთით ადრე სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირა. ამერიკელები 76:72 იგებენ მაშინ, როდესაც ცხრა წუთის წინ 72:56 იყო მათ სასარგებლოდ. რა მოხდა ამ ცხრა წუთში? ამერიკელებმა თამაშიდან ბურთი ვერ ჩააგდეს, ამ დროს კი მათი მეტოქეები სულ უფრო და უფრო ამცირებდნენ სხვაობას. სიდნეის საკალათბურთო დარბაზში შეკრებილ მრავალათასიან აუდიტორიას და საერთოდ ამ შეხვედრის მაყურებელ მილიონობით ადამიანს თავში ერთი კითხვა უტრიალებდა — დარჩენილ დროში ფრანგები მოახდენენ თუ არა სასწაულს? ბოლოს და ბოლოს ის, რაც თითქმის მოახერხეს ლიტველებმა, რატომ უნდა იყოს ფრანგთათვის შეუძლებელი? ფინალში გასვლით ფრანგებმა დაამტკიცეს, რომ ურიგოდ არ თამაშობენ კალათბურთს და რატომ უნდა დასჯერებოდნენ მხოლოდ ფინალში გასვლას, როცა არც ისე უძლეველი მეტოქე ჰყავდა? ეს, რაღა თქმა უნდა, ადვილი არ იყო, მაგრამ...

ამერიკელები კვლავ ახლოს იყვნენ კატასტროფასთან, თუმცა საქმე აქამდე არ მისულა. დამთავრებამდე წუთი და ორმოცი წამით ადრე კევინ გარნეტის პასით ვინს კარტერმა ლამაზად ჩაუტენა ფრანგებს და თავისიანები ათი ქულით — 84:74 — წინ გაიყვანა. დარჩენილ დროში გუნდებმა თითო საჯარიმო ჩააგდეს და ამით ყველაფერი დამთავრდა. დამთავრდა ტრადიციულად ამერიკელთა გამარჯვებით. მათ ზედიზედ მესამედ მოიპოვეს ოლიმპიური ოქრო, მაგრამ საკითხავია, რის ფასად.

ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა ნაკრებმა ნამდვილად ვერ მოახერხა დაემტკიცებინა, რომ დანარჩენ მსოფლიოს კვლავ და კვლავ ათი თავით სჯობს სპორტის ამ სახეობაში. ამერიკელებმა ოლიმპიადაზე რვავე თამაში მოიგეს, მაგრამ ხუთი მათგანი მხოლოდ თხუთმეტი და ნაკლები ქულის სხვაობით. ის, რაც წინა ორ ოლიმპიადაზე სასწაული იყო, ახლა ჩვეულ მოვლენად იქცა. მეტოქეები აღარ უფრთხოდნენ ამერიკელებს და ტოლსწორად ეთამაშებოდნენ. იქნებ ნბა-ს სუპერვარსკვლავები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ ზონურ დაცვასთან ბრძოლისთვის, ან ზერელედ მოეკიდნენ ოლიმპიადას და მეტოქეებს? იქნებ სულაც ბებერი ევროპა დაეწია ამერიკას?

1992 წელს, როცა ბარსელონას ოლიმპიადაზე პირველად გამოჩნდნენ ამერიკელი პროფესიონალები და ყველას ტორნადოსავით გადაუარეს, დაისვა კითხვა, როდის შეძლებდა დანარჩენი საკალათბურთო სამყარო, ამერიკელ ჯადოქრებს დასწეოდა. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ უკვე რვა წლის შემდეგ მათ უპირობო ბატონობას დიდი კითხვის ნიშანი დაესმებოდა.

„ჩვენ ოდესმე აუცილებლად დავმარცხდებით და ეს დღე გაცილებით ახლოსაა, ვიდრე გვეგონა. მე იმედი მაქვს, რომ ეს დღეს არ მოხდება და არც მანამდე, სანამ მე კომისარი ვიქნები" — თქვა ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა, რომელიც ფინალურ შეხვედრას და მედალოსანთა დაჯილდოვებას ესწრებოდა.

და მაინც, საკალათბურთო ევროპა ჯერჯერობით ბევრით ჩამორჩება ამერიკას. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვედრა და იქ ფეხის მყარად მოკიდება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ამ ოლიმპიადაზე თავმოყვარეობაშელახულ ამერიკელებს კი მოუწევთ, მეტი ყურადღებით მოეკიდონ სხვებთან თამაშებს. ურიგო არ იქნებოდა, ევროპასაც მოავლონ ზოგჯერ მზერა. აქ უამრავი ნიჭიერი კალათბურთელი თამაშობს, რომელთაც ზღაპრად აღარ ეჩვენებათ ამერიკელთა დამარცხება.

მაშ ასე, ოქრო ტრადიციულად ამერიკელებს ხვდათ წილად. ფრანგებმა ვერცხლი დაისაკუთრეს. ამერიკელთა ყველაზე უხერხულმა მეტოქემ, ლიტვამ კი, რომელმაც ყველაზე გამართული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, მასპინძელი ავსტრალიელები დაჯაბნა და ოლიმპიურ ბრინჯაოს ზედიზედ მესამედ დაეუფლა. ავსტრალია ამჯერადაც მეოთხე იყო. მასპინძლები ბრინჯაოზე ოცნებობდნენ, მაგრამ ლიტველთა თავდამსხმელ შტომბერგასს ვერაფერი მოუხერხეს. მისგან 28 ქულა მიიღეს საკუთარ კალათში და მედალსაც დაემშვიდობნენ.

„ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ ჩვენ იმდენად იმედგაცრუებულები ვიყავით, რომ გვეეჭვებოდა გამარჯვება, მაგრამ მოვახერხეთ, ჩვენში ძალები მოგვენახა" — ამბობდა ნამატჩევს ლიტველთა თავკაცი იონას კაზლაუსკასი.

რაც შეეხება ქალებს, აქ ფინალში ამერიკელებმა 22 ქულის სხვაობით დაამარცხეს ავსტრალიელები და ზედიზედ მეორე, ბოლო ხუთი ოლიმპიადიდან კი, მეოთხე ოქრო დაისაკუთრეს. ვაჟებისგან განსხვავებით, ამერიკელი მანდილოსნები თავაწეულები სტოვებენ სიდნეის, სადაც მათ საკადრისი ღირსებით დაამტკიცეს თავიანთი პირველობა და ყველა მეტოქეს თითქმის პირწმინდად მოუგეს შეხვედრა. ბრინჯაოს მედლის მოსაპოვებლად ბრაზილიელ ქალებს კორეელთა ოვერტაიმში დამარცხება მოუხდათ.

**ირაკლი ფირცხვილი**



ლიტვის ნაკრებმა ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე დაიკავა მესამე ადგილი

REUTERS სიდნეიდან



ამერიკელმა ქალებმა დამაჯერებლად მოიგეს ოლიმპიადა



აშშ — საფრანგეთი: ფინალი ასე დაიწყო

REUTERS სიდნეიდან


ამერიკელ ანტონიო მაკდაიესს ჩატენვისას ხელი ვერავინ შეუშალა

REUTERS სიდნეიდან



ფრანგი ანტუან რიგოდო (ბურთით) და ვინს კარტერი

## დღის გმირი
1 ოქტომბერი

### ბირგიტ ფიშერი
**გერმანია, ბაიდარა და კანოე**



ბირგიტ ფიშერი გერმანელი მებაიდარეა, რომელმაც შაბათს სიდნეიში კარიერის მეექვსე ოლიმპიური ოქრო მოიგო, მაგრამ მისი დღის გმირად შერაცხვა არ ვიჩქარეთ, რადგან კვირას, თამაშების დახურვის დღეს, კიდევ ერთხელ უნდა გასულიყო სარბიელზე. როგორც გაირკვა სწორად მოვიქეცით.

ხუთ ოლიმპიადაზე შვიდი ოქრო — ეს რეკორდთა რეკორდია.

ფრაუ ფიშერი 38 წლისა გახლავთ. ოლიმპიადაზე პირველად 1980 წელს, მოსკოვში გამოვიდა და ჩემპიონი გახდა. ოთხი წლის შემდეგ, ლოს ანჯელესში დემოკრატიული გერმანიის მოქალაქეს აბა ვინ გაუშვებდა — ხომ გახსოვთ იმ ოლიმპიადას წითლებმა ბოიკოტი გამოუცხადეს — მაგრამ მერე ოქროს ოქრო დაამატა.

ბრანდენბურგში დაბადებულსა და ბერლინში დასახლებულს ლაიპციგის უნივერსიტეტი აქვს სპორტის განხრით დამთავრებული. ქმარი გააძევა, შვილი ორი ჰყავს და კარვით მალიმალ დაჰყავს ტყე-ღრეში. უყვარს წიგნის კითხვა და კლასიკური მუსიკის მოსმენა, თხილამურებით სრიალი და ცურვა, სურს სპორტის მასწავლებელი გახდეს და ამბობს ყველაზე მეტად მშობლების და მკითხავების გავლენის ქვეშ ვექცევიო.

დოპინგი

## დანიელიანმა და სომხეთმა ძალიან იზარალეს

**ორი** სპორტსმენი, რომელთაც მაინცდამაინც ოლიმპიადის დახურვის დღე ჩამწარდათ, სომეხი აშოტ დანიელიანი და ნორვეგიელი ფრიც აანესი გახლავთ. უკანასკნელის ამბავი ნაკლებსაინტერესოა. აანესს სიდნეიში მედალი არ აულია, მესამე ადგილი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის 85 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მუხრან ვახტანგაძემ წაართვა. ახლა აანესისთვის ნანდროლონის დასაშვებზე მაღალი დონე აღმოუჩენიათ, განსჯიან და ალბათ დასჯიან, ხოლო დანიელიანი მეოთხე ძალოსანია სიდნეის ოლიმპიადაზე, მედალი რომ დაკარგა. მისი ბრინჯაო ერთობ დააკლდა სომხეთის ოლიმპიურ ნაკრებს, რომელიც ერთი ბრინჯაოს ამარაღა დარჩა. დანიელიანი ზემძიმე წონაში გამოდიოდა და თურმე ამ დროს სტანოზოლოლით იყო გაჭყეპილი, იმავე დოპინგით, რომელიც 12 წლის წინ ბენ ჯონსონსა და ახლა რუს პოსპელოვას უპოვეს (იხილეთ რუბრიკა „მძლეოსნობა“). მისი მედალი რუს ძალოსანს, ანდრეი ჩემერკინს გადაეცა. საერთოდ, სიდნეის ანტისადოპინგე სამსახურმა ყველაზე უფრო ძალოსნები „დააზარალა“. ხუთი მედალი ჩამოერთვათ ოლიმპიელებს და ოთხი იქიდან ძალოსნებისა იყო. ამიტომაც დასვეს ჟურნალისტებმა შეკითხვა, რახან დოპინგი ძალოსნობაში ვერაფრით აღმოიფხვრა, იქნებ მისი მიზეზი მოგვესპო, ანუ სახეობა ოლიმპიადიდან ამოგველოო, რაზეც ქირურგმა ჟაკ როგმა, სოკ-ის სამედიცინო კომისიის წევრმა უპასუხა: „ძალოსნობა ფუნდამენტური სპორტის სახეობაა, როგორც ხტომა და სირბილი, ამიტომ მისი ოლიმპიადას მოწყვეტა არ ეგების“. რაც შეეხება საკითხს, თუ რად



აშოტ დანიელიანი

ილებენ სპორტსმენები იმგვარ დოპინგს, რომელთა აღმოჩენა წუთის საქმეა (იგივე სტანოზოლოლი), როგი ლაკონიური იყო: „სულელები არიან და იმიტომ!“

### ბალახის ჰოკეი
**ვაჟები**

ფინალი

**ჰოლანდია 3:3 კორეა**
(პენალტებით 5:4)

მესამე ადგილისთვის

**ავსტრალია 6:3 პაკისტანი**

### მხატვრული ტანვარჯიში

გუნდური

1. რუსეთი 39,500; 2. ბელარუსი 39,500; 3. საბერძნეთი 39,283

პირადი

1. იულია ბარსუკოვა (რუსეთი) 39,632; 2. იულია რასკინა (ბელარუსი) 39,548; 3. ალინა კაბაევა (რუსეთი) 39,466

ხელბურთი

# საგინესო კაცი
## ანდრეი ლავროვი: სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამი ქვეყნის სახელით

**ვაჟები**

ფინალი

**რუსეთი 28:26 შვედეთი**

მესამე ადგილისთვის

**ესპანეთი 26:22 იუგოსლავია**

**ქალები**

ფინალი

**დანია 31:27 უნგრეთი**

მესამე ადგილისთვის

**ნორვეგია 22:21 კორეა**



რუსი ვასილი კუდინოვი შვედების დაცვის გარღვევას ლამობს

**შვედეთის** ვაჟთა ნაკრები ზედიზედ მესამედ გავიდა ოლიმპიური თამაშების ფინალში. წინა ორ ცდაზე მათ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილმა გაერთიანებულმა გუნდმა (1992) და ხორვატიამ (1996) არ დაანებეს ოქროს მედლები. ამჯერად კი რუსები დაუპირისპირდნენ.

სადღეისოდ სწორედ ამ ორი ქვეყნის ხელბურთელები ითვლებიან საუკეთესოდ. შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალშიც სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ გამარჯვება და ტიტული ერგოთ სკანდინაველებს, რომლებიც სიდნეიშიც ყველაზე სოლიდურად გამოიყურებოდნენ — ფინალამდე შვიდივე მატჩი მოიგეს. რუსეთმა ერთი დათმო, გერმანიასთან.

შვედებმა გადამწყვეტ შეხვედრაში პირველივე შეტევით გახსნეს ანგარიში, მეტოქემ იქვე ზუსტი ტყორცნით უპასუხა. ასე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა პირველი ნახევარი — სხვაობა ერთ-ორ ბურთს არ ასცილებია და ანგარიში 11-ჯერ იყო საყაიმო. ტაიმი ჩემპიონებმა სტეფან ლარსონის მორიგი, მეოთხე გოლის წყალობით მოიგეს — 14:13. მათი უბედურება შესვენების შემდეგ დაიწყო: რვა წუთის განმავლობაში ერთი ბურთიც ვერ გაუტანეს ჩინებულად მოთამაშე მეკარე ანდრეი ლავროვსა და ტანმაღალ მცველებს, საკუთარში კი შვიდი მიილეს. სხვაობამ რუსთა სასარგებლოდ ხუთ ქულას მიაღწია (21:16) და ჩემპიონის საკითხიც გაირკვა, რადგან შვედები დარჩენილ თხუთმეტიოდე წუთში ვლადიმერ მაქსიმოვის ბიჭების მჯობნები აღარ იყვნენ.

გამარჯვებულთაგან გოლკიპერის გარდა თავი გამოიჩინეს ალექსანდრ ტუჩკინმა (7 გოლი), ვასილი კუდინოვმა (6), დმიტრი ტორგოვანოვმა (5), ედუარდ კოკშაროვმა (5), ლევ ვორონინმა (4). აღსანიშნავია, რომ 38 წლის ლავროვი პირველი ხელბურთელი გახდა ვინც სამჯერ შედგა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

უნგრეთის ქალთა საშუალო ძალის ნაკრები რომ ფინალს მიაღწევდა, არავინ იფიქრებდა, მაგრამ წინა დღეს მსოფლიოს ჩემპიონ ნორვეგიელთა სენსაციური ძლევის შემდეგ ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს მედალოსნებს მადა გაეხსნათ და დანიელებსაც ცხარე ბრძოლა გაუმართეს. ეს შეხვედრა მეტად ემოციური და არანაკლებ არეულ-დარეული გამოვიდა. შუა ტაიმში სკანდინაველები იყვნენ წინ — 8:6, ექვს წუთში კი ანგარიში 8:11 გახდა. მეორე ნახევარში ოლიმპიურ ჩემპიონთა მორიგი, ამჯერად 11-წუთიანი უგოლო ჩავარდნის შემდეგ უნგრელთა უპირატესობა ექვს ბურთამდე გაიზარდა — 22:16.

ოქროს მედლების ბედი თითქოს გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ დაწინაურებულთა სამი-ოთხი უშედეგო შეტევა საკმარისი აღმოჩნდა დანიელების გასაცოცხლებლად. განსაკუთრებით გამოიდეს თავი მარცხენა ფრთამ ანეტ ჰოფმანმა და მთავარმა გოლეადორმა კამილა ანდერსენმა — მათი თითქმის ყოველი სწრაფი გარღვევა მეტოქის კარის აღებით მთავრდებოდა და სასწაულიც მოხდა: მომდევნო ხუთ წუთში ანგარიში გათანაბრდა — 23:23. დანარჩენი, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ტექნიკის საქმე იყო. დასკვნითი 15 წუთი აღმაფრენით მოთამაშე დანიელებმა 15:5 მოიგეს და ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნეს.

მატჩის გმირის, ჰოფმანის ანგარიშზე 11 ბურთია, ანდერსენმა 7 მიითვალა. უნგრელთაგან ორმა ზორბა ცაციამ ბოიანა რადულოვიჩმა (9) და ბეატრის ბალოგმა (7) გამოიჩინეს თავი.

**გია ახალაძე**



დანიელმა ქალებმა ოლიმპიური ჩემპიონობა შეინარჩუნეს

# ყველაფერი წვიმის ბრალია

## ესპანეთი

IV ტური

### რასინგი 0:0 რეალი

რასინგი: სებალიოსი, ნაფტი, სიეტესი, მელბერგი, ესპინია (კოლსა 68), ამავისკა (ტაისი 80), ხაიმე, მანხარინი, ბესჩასტნიხი, რუშფელდტი (მორანი 53), პინედა
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, გუტი, ფლავიო კონსეისაო (მაკელელე 46), ელგერა (ტოტე 66), ფიგუ, რაული, მუნიტისი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ფიგუ
გაძევება: ბესჩასტნიხი (45)
20 000 მაყურებელი

### დეპორტივო 2:0 ბარსელონა

1:0 დონატო (65), 2:0 დიეგო ტრისტანი (76)
დეპორტივო: მოლინა, სეზარ სამპაიო (ემერსონი 65), რომერო, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, ფრანი, ვიქტორ სანჩესი (სკალონი 34), მაურო სილვა, დონატო, დიეგო ტრისტანი, ტურუ ფლორესი (ფერნანდო 40)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
ბარსელონა: დუტრუელი, სერხი, რაიციგერი (ალფონსო 23), ფ. დე ბური, აბელარდო, პეტი (ხერარდი 32), კოკუ, ლუის ენრიკე, ოვერმარსი, სიმაო, კლუივერტი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: ვიქტორ სანჩესი, კოკუ, პეტი, დიეგო ტრისტანი, სერხი, აბელარდო
35 000 მაყურებელი

### ბილბაო 2:1 მალიორკა

0:1 ენგონგა (37), 1:1, 2:1 ურსაისი (40, 61)
ბილბაო: ლაფუენტე, დელ ჰორნო (ლასა 71), ლარაინსარი, რობერტო რიოსი, იესტე, ი. გერერო, ორბაისი, ურუტია, ოსკარ ვალესი, ურსაისი, ესკერო (ხავი გონსალესი 63)
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
მალიორკა: როა, მიგელ სოლერი, ოლაიზოლა, სივიერო, ნადალი, ნოვო, იბაგასა (ხოსემი 70), ფინიდი, მარკოსი, ენგონგა (გუისა 80), კარლოსი (არმანდო 48)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: მარკოსი, ურსაისი, ურუტია, ფინიდი, ოსკარ ვალესი, კარლოსი, დელ ჰორნო, სივიერო, ლარაინსარი
30 000 მაყურებელი

### რაიო ვალეკანო 3:0 სელტა

1:0 დე კინტანა (15), 2:0 მაურო (87), 3:0 მიჩელი (92)
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, მაურო, მინგო, ალკასარი, დე კინტანა, ბალესტეროსი, მიჩელი, სეტვალსი, პელდერი (ივან იგლესიასი 84), კევედო (ფერეირა 88), პოშნერი, ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
სელტა: პინტო, ხუანფრანი, ველასკო, ჯოროვიჩი, კასერესი, კარპინი, მოსტოვოი, დორივა, მაკკარტი, კატანია, გუსტავო ლოპესი, ვაგნერ ლოპესი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: კატანია, დე კინტანა, მაკკარტი
გაძევება: კატანია (67)
9 000 მაყურებელი

### მალაგა 1:3 ნუმანსია

0:1 პაჩეტა (9), 1:1 კანაბალი (22), 1:2 ოხედა (28), 1:3 ხოსე მანუელი (94)
მალაგა: კონტრერასი, ვალკარსე, ბრავო, როტეტა, ლარაინსარი, კანაბალი, რუფეტე, დე ლოს სანტოსი, მოვილია, დელი ვალდესი, აგოსტინო
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ნუმანსია: ნუნიესი, პაჩეტა, მანელი, ხაუმე, გუსტავო, მარინი, ნაგორე, ხოსე მანუელი, დელგადო, ოხედა, ინიაკი
მწვრთნელი: ფრანსისკო ერერა ლორენსო
გაფრთხილება: რუფეტე, მარინი
13 000 მაყურებელი

### ალავესი 2:0 ოსასუნა

1:0 ხავი მორენო (77პ), 2:0 ივან ალონსო (91)
ალავესი: ერერა, ეგენი (მაგნო 62), კონტრა, ტელიესი, კარმონა, ასტუდილიო, პაბლო, დესიო, ივან ბეგონია (ჟელი 71), ხავი მორენო (ივან ალონსო 85), კრუიფი
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
ოსასუნა: ნუნო, ვიდაკოვიჩი, ივან პერესი, იანგუსი (არპონი 77), მატეო, კრუჩაგა, ლეკუმბერი, ალფრედო (ალფონსო 53), ანხელი, არმენტანო, საბინო (ანხელ ლუისი 53)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: კონტრა, ალფრედო, მატეო, ლეკუმბერი, ასტუდილიო
15 123 მაყურებელი

### ვალენსია 5:1 ლას პალმასი

1:0 ხუან სანჩესი (23), 2:0 ზაჰოვიჩი (24), 3:0 ხუან სანჩესი (59), 4:0 კარეუ (63), 4:1 ტოდი (81), 5:1 ვისენტე (90)
ვალენსია: კანისარესი, აიალა, კარბონი, ანგლომა, ჯუკიჩი, მენდიეტა, ზაჰოვიჩი, ბარახა, ხუან სანჩესი (მიია 70), კარეუ (დიეგო ალონსო 79), კილი გონსალესი (ვისენტე 76)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ლას პალმასი: კიკოვიჩი, პაკუი, რამონი (ალექსი 63), შურერი, მოლინა, იარნი, ხორხე, ხოსიკო (ანხელი 83), ულარე (ტოდი 73), ელოი, პაბლო ლაგო
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
გაფრთხილება: ბარახა, ჯუკიჩი, პაკუი
45 000 მაყურებელი

### ოვიედო 2:1 სარაგოსა

1:0 ლოსადა (16), 2:0 ივან ანია (41), 2:1 პაბლო (83)
ოვიედო: ესტებანი, ბორისი, ონოპკო, მარტინოვიჩი, დანჟუ (ბანგო 66), ტომიჩი (ხაიმე 78), ივან ანია, ამიევა, კეიტა, ლოსადა, ოლი (მიოლერი 75)
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
სარაგოსა: ხუანმი, პაბლო, კუარტერო (მარკოს ვალესი 61), აგუადო, პაკო ხემესი, მარტინ ველისკა, აკუნია (მონტენეგრო 61), ხოსე იგნასიო, იორდი, ჟამელი, ხუანელე (პეტერნაკი 73)
მწვრთნელი: ხუან მანუელ ლილო
გაფრთხილება: მარტინოვიჩი, აგუადო, აკუნია, პაბლო, ამიევა
გაძევება: ამიევა (89)
20 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 0:0 ვილიარეალი

ვალიადოლიდი: რიკარდო, რიკეტი, პეკა, მარკოსი, პაინცე, გარსია კალვო, ტორეს გომესი, ეუსებიო (კამინერო 71), ტურიელი (ხესუსი 76), კავიედესი, პაჩონი (ბლანკო 56)
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, შერუე, ამორი, ხავი გარსია, გავილანი, კრაიოვიანუ (მოიზესი 56), ვიქტორი (გაიტანი 85), კალეხა, ხორხე ლოპესი (ესკუდე 67)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
გაფრთხილება: არუაბარენა
11 300 მაყურებელი

### ესპანიოლი 1:2 სოსიედადი

*მატჩი პირველი ტაიმის შემდეგ ძლიერი წვიმის გამო შეწყდა*

0:1 არიფი (13), 1:1 გალკა (36), 1:2 იდიაკესი (39)
ესპანიოლი: მორა, პოჩეტინიო, ნანდო, კრისტობალი, დე ლუკასი, ოსკარი, არტეაგა, გალკა, სერხიო, როხერი, მანელი
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
სოსიედადი: ასპერი, არანსაბალი, პიკაბეა, კორინო, ლოპეს რეკარტე, ხოხლოვი, არანბურუ, იდიაკესი, იანკაუსკასი, არიფი, კოლე
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: დე ლუკასი, კორინო, არიფი, პოჩეტინიო
20 000 მაყურებელი



REUTERS

დეპორტივო — ბარსელონა 2:0. ლაკორუნიელთა ბრაზილიელი სეზარ სამპაიო (მარჯვნივ) და სტუმარი ლუის ენრიკე

**პარასკევს,** „სარბიელის" მეორე გვერდზე ასეთ ფოტოს ნახავდით: მსაჯი ერთიანად გალუმპულ ფეხბურთელებს გასახდელისკენ მიუძღვება. ხოლო წარწერა იუწყება, რომ უეფას თასზე "ესპანიოლი" — „ოლიმპიას" მატჩი კოკისპირული წვიმის გამო ნახევარი საათით შეწყდა.

ბარსელონაში მას მერე არ გადაუღია. კვირას მამაცი მსაჯი მედინა კანტელეხო ესპანიოლელ და სოსიედადელ ფეხბურთელებს ბარსელონას ოლიმპიურ სტადიონზე მაინც გაუძღვა, ერთი ტაიმი თავადაც იწვალა და ისინიც აწვალა, მერე კი დანებდა, თამაშის გაგრძელება შეუძლებელიაო, თქვა. იმ დროისთვის სტუმრები 2:1 იგებდნენ. ესპანური საფეხბურთო წესებით, გუნდები მეორე ტაიმს 18 ოქტომბერს გამართავენ.

ბარსელონელთა მეორე გუნდი, რომელიც ქალაქის სახელს ატარებს, არ დასველებულა, თუმცა მშრალად მაინც ვერ გამოვიდა. კარგა ხანს ბრძოლა თანაბრად მიდიოდა. შეიძლება ითქვას, „ბარსელონას" მცირედი უპირატესობაც ჰქონდა და პირველი ტაიმის მიწურულს პატრიკ კლუივერტმა ბურთი ძელსაც გაარტყა, ხოლო ხოსე ფრანსისკო მოლინას ასე კარგად ევროპის ჩემპიონატზე რომ ეთამაშა, ესპანეთი ნორვეგიასთან არ დამარცხდებოდა. გარდატეხა დონატოს გოლს მოჰყვა. მისი საჯარიმოდან დარტყმული კლუივერტს ფეხზე მოხვდა და იმ მიმართულებით წავიდა, რიშარ დუტრუელი რომ არ ელოდა. სტუმართა დაცვა მოიშალა. ლორენს სერა ფერერი მატჩის შემდეგ იტყვის: „დონატოს" გოლმა გვაიძულა, ტაქტიკა შეგვეცვალა. მთლიანად შეტევაში გადავედით და ზურგი მოვაშიშვლეთ".

დაცვაში ყურადღების მოდუნებით „დეპორტივოს" ახლადშეძენილმა დიეგო ტრისტანმა ისარგებლა, ორი მცველი მოატყუა და საბოლოო წერტილი დასვა. საინტერესოა, რომ „დეპორტივო" აგერ უკვე რვა თვეა, შინ არ დამარცხებულა.

„სელტამ" ასპროცენტიანი შედეგიანობა დაკარგა, მესამე ადგილზე გადაბარგდა და ბოლო 23 წუთი კაცნაკლულმა ითამაშა — მსაჯმა კატანიას მეორე ყვითელი ბარათი წითელით შეუცვალა. ეს უბედურება გალისიელებს „რაიო ვალეკანომ" დამართა, რომელმაც აწ უკვე ყოფილ ლიდერთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა.

მადრიდის ვალეკანოს გარეუბნელებს ფეხდაფეხ მისდევს მეორე დედაქალაქური გუნდი — „რეალი". არადა, „სამეფო კლუბს" „დეპორტივოს" დაწევის შანსი ჰქონდა და მეტოქეც ისეთი ჰყავდა, ეს აუხდენელ ოცნებად არ უნდა ჰქცეოდა. ამასთანავე, „რასინგს" ერთი ანტირეკორდიც ეკუთვნის — თებერვლის მერე საშინაო მატჩი არ მოუგია.

წინასწარი ვარაუდი, „რეალი" „რასინგს" დაჩაგრავსო, ნაწილობრივ გამართლდა. სანტანდერელები გამუდმებით იგერიებდნენ მადრიდელთა იერიშებს, თუმცა ანგარიში სულ სხვა რამეზე მეტყველებს — მასპინძლებმა ქულა მოიპოვეს, სტუმრებმა კი ორი დაკარგეს. უგოლო ფრის ერთ-ერთ მიზეზად უამინდობას ასახელებენ. მართალია, სანტანდერული წვიმა ბარსელონურთან ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ მაინც. ისე, ავდარი დიდი ვერაფერი თავის გასამართლებელი საბუთია მადრიდელთათვის.

ფერნანდო იერომ ძველი დრო გაიხსენა და იკერ კასილიასის კართან გადაულახავი ბარიერი აღმართა. ამან სტუმარი თავდამსხმელები გაალაღა, რომლებიც, როგორც ვთქვით, შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ. ყველაზე შესამჩნევი მათგან პედრო მუნიტისი გახლდათ. მან სულ ძმრად ადინა სანტანდერელებს ის 12.9 მილიონი დოლარი, რომლის სანაცვლოდაც „რასინგმა" ამ ზაფხულს „რეალს" მუნიტისი დაუთმო. შეხანზარებული ძელი და სამიოდე უაღრესად სახიფათო მომენტი — ასეთია მუნიტისის მონაგარი, თუმცა... ბურთი რომ ძელს გაარტყა, ამაში ქულებს არავინ იძლევა. დავუმატოთ, რომ „რასინგმა" მთელი მეორე ტაიმი ათი კაცით ჩაატარა.

ვალენსიაში ბომბარდირთა ხუთხელისუფლებიანობა ერთმა ფეხბურთელმა დაამხო. სამი ტურის შემდეგ პატრიკ კლუივერტს, გუტის, კატანიას, გაისკა მენდიეტასა და ხუან სანჩესს სამ-სამი გოლი ჰქონდათ გატანილი. ამჯერად პირველმა ოთხმა ვერაფრით იხეირა, ხოლო ხუან სანჩესმა „ლას პალმასს" დუბლი შეუსრულა. დანარჩენ ბომბარდირებს წამოეწია ყმაწვილი ვისენტე. წინა ტურის მიმოხილვაში ვწერდით, მგონი, „ვალენსიას" ახალი ვარსკვლავი ეზრდებაო და ეს აზრი უფრო განმტკიცდა.

სამი თამაში პრიმერადივიზიონში (პირველ ტურში "რეალთან" არ უთამაშია) და სამი გოლი — ეს 19 წლის ხულიენ როდრიგეს ვისენტეა, ვალენსიელთა მე-14 ნომერი. გამორჩეული იყო ზლატკო ზაჰოვიჩისა და იონ კარეუს გოლებიც — მათ პირველად გაიტანეს ესპანურ ჩემპიონატში.

თუ „ლას პალმასის" სუსტი თამაში გასაკვირი არ არის, „მალიორკას" ბოლო ადგილი მოულოდნელობაა. ბილბაოში ჩასულ კუნძულელებს შესუსტებული „ატლეტიკი" დახვდა: კარლოს გარსიას მხარი სტკიოდა, ხოსება ეჩებერიას ფეხის კუნთი ჰქონდა დაჭიმული. მიუხედავად ამისა, „მალიორკამ" წააგო. კარლოს როასთვის ერთწლიან განდეგილობას ღრმა კვალი დაუტყვია.

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 |
| 2 | ვალენსია | 4 | 3 | 0 | 1 | 13:3 | 10 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 |
| 3 | სელტა | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 4 | რაიო | 4 | 2 | 2 | 0 | 10:3 | 7 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 4 |
| 5 | რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 6 | ალავესი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 |
| 7 | ვილიარეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:5 | -3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 8 | ვალიადოლიდი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 9 | ბარსელონა | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | -1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 10 | ბილბაო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:8 | -2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 11 | ნუმანსია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 12 | ოვიედო | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 |
| 13 | მალაგა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 14 | ოსასუნა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 15 | ესპანიოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 16 | სარაგოსა | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 17 | სოსიედადი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | -3 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 18 | რასინგი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | -5 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 1 |
| 19 | ლას პალმასი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:11 | -7 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:7 | -4 | 1 |
| 20 | მალიორკა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხუან სანჩესი (ვალენსია) | 5 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 3 |
| გუტი (რეალი) | 3 |
| მენდიეტა (ვალენსია) | 3 |
| კატანია (სელტა) | 3 |
| ვისენტე (ვალენსია) | 3 |
| ხავი მორენო (ალავესი) | 3 |

### V ტური

14-15 ოქტომბერი

ესპანიოლი — რაიო
სელტა — ალავესი
ოსასუნა — ოვიედო
სარაგოსა — ვალიადოლიდი
ვილიარეალი — ვალენსია
ლას პალმასი — მალაგა
ნუმანსია — ბილბაო
მალიორკა — რასინგი
რეალი — დეპორტივო
სოსიედადი — ბარსელონა

## მეორე დივიზიონი

V ტური

### ელჩე 2:1 ლეიდა

1:0 ნინო (46), 2:0 ნანო (65), 2:1 რამონი (81პ)

### ლეგანესი 1:1 სევილია

1:0 მიგელ ანხელი (63), 1:1 მარსელო ოტერო (90)

### უელვა 0:0 ტენერიფე

### ფეროლი 2:2 ბადახოსი

0:1 ბაუსა (3), 1:1 ურისი (39), 2:1 სანრომანი (47), 2:2 ბრაკამონტე (77)

### ხეტაფე 0:0 ეიბარი

### ბეტისი 1:1 ატლეტიკო

1:0 კასასი (45), 1:1 კორეა (90პ)

### ალბასეტე 1:0 სალამანკა

1:0 ამუნიკე (77)

### სპორტინგი 2:2 მურსია

0:1, 0:2 ლორეტო (9, 11), 1:2 ნაჩო გარსია (73), 2:2 მარიო (83)

### ხაენი 1:0 უნივერსიდადი

1:0 კარლოს ტორესი (54)

### კომპოსტელა 0:1 კორდობა

0:1 მანოლო (51)

### ლევანტე 1:0 ესტრემადურა

1:0 პერაგონი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 5 | 4 | 1 | 0 | 8:3 | 13 |
| ხაენი | 5 | 4 | 0 | 1 | 4:1 | 12 |
| ლევანტე | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 11 |
| ელჩე | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| ლეგანესი | 5 | 2 | 3 | 0 | 7:5 | 9 |
| უელვა | 5 | 2 | 3 | 0 | 2:0 | 9 |
| ტენერიფე | 5 | 2 | 2 | 1 | 7:2 | 8 |
| კორდობა | 5 | 2 | 2 | 1 | 3:2 | 8 |
| ალბასეტე | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| სპორტინგი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | 6 |
| ეიბარი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:2 | 6 |
| ბეტისი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| ბადახოსი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| მურსია | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 5 |
| ესტრემადურა | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| ხეტაფე | 5 | 1 | 2 | 2 | 1:6 | 5 |
| სალამანკა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:5 | 4 |
| კომპოსტელა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| ფეროლი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| ატლეტიკო | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| ლას პალმასი | 5 | 0 | 2 | 3 | 0:4 | 2 |
| ლეიდა | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 2 |

# ამბავი არველაძის პირველი გოლისა და მახათისა

## გერმანია

VII ტური

### ჰერტა 4:2 კიოლნი

0:1 არველაძე (23), 0:2 ლოტნერი (28პ), 1:2 ალვეში (28), 2:2 პრეეცი (29), 3:2, 4:2 ვოში (45, 46)
ჰერტა: კირალი, რემერი (სვერისონი 46), ტრეჩოკი, ვან ბურიკი, შმიდტი, ბაინლიხი, დაისლერი, ჰარტმანი, ვოში (ვაიტი 78), პრეეცი, ალვეში (დაეი 81)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
კიოლნი: პრიოლი, ჩიკონი (ჰაუპტმანი 63), სიჩონე, კელერი, კულმანი, ბარანეკი (დონკოვი 63), კროიცი, ვოიგტი (დვორჟაკი 82), ლოტნერი, ა. არველაძე, ტიმი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: ვან ბურიკი, შმიდტი, ჩიკონი, სიჩონე
37 714 მაყურებელი

### ფრაიბურგი 0:1 ვერდერი

0:1 აილტონი (54)
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, ა. ცაიერი, დიარა, ვილი (რამდანე 61), ვაისჰაუპტი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ბაია, იაშვილი, სელიმი (დორნი 61)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ვერდერი: როსტი, ფრინგსი, აილტსი (ბარტენი 56), ფ. ბაუმანი, ბოდე, სტალტერი, ფ. ერნსტი, ვიკი, ჰერცოგი (პიზარო 71), აილტონი (კრსტაიჩი 90), ბოგდანოვიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ცაიერი, რამდანე, დორნი, ვიკი, აილტონი, ერნსტი
25 000 მაყურებელი

### ბაიერნი 0:1 ჰანზა

0:1 ბრანდი (15)
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, ლინკე, კუფური (ვისინგერი 46), ლიზარაზუ, სფორცა, შტრუნცი (ჰარგრივსი 63), ფინკი, შოლი, იანკერი, ელბერი (დი სალვო 76)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ჰანზა: პიკენჰაგენი, შრიოდერი, იაკობსონი, ოსვალდი, ვიბრანი, ლანცი, ემარა, ბრანდი (ვაილანდტი 88), რიდლევიჩი, ბაუმგარტი (მაიაკი 61), არვიდსონი (კოვაჩეკი 72)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: ლინკე, ლანცი, რიდლევიჩი
60 000 მაყურებელი

### ჰამბურგი 2:0 შალკე

1:0 ჰაინცი (35), 2:0 მაჰდავიკია (82)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, ფუკალი, ჰერჩი, ნ. კოვაჩი, ტოფტინგი, ბარბარესი, ჰოლერბახი, მაჰდავიკია (ბესტერი 90), ჰაინცი (ფიშერი 79), იებოა (კეტელაერი 62)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, კამპუისი, ტონი (ნემეცი 33), ლატალი, ბიომე, მიოლერი, ასამოა (მულდერი 64), სანდი
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
გაფრთხილება: ჰერჩი, ფიშერი, ჰაიტო
გაძევება: ვან კერკჰოვენი (87)
51 366 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 2:2 შტუტგარტი

0:1 მალტრიცი (6ს.კ.), 1:1 აკპობორი (30), 2:1 მუნტიანუ (74), 2:2 ლისტეში (75)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, ნოვაკი, ბილისკოვი, მალტრიცი, ვაისერი, კუჰბაუერი, სებესკენი (ტ. მარიჩი 84), დ. მუნტიანუ, რიშე (იუსკოვიაკი 60), აკპობორი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, მაისნერი (ბალაკოვი 56), ტ. შნაიდერი, ბორდონი, ბლანკო, ტიამი, ტოდტი, პინტუ, კარნელი (ლისტეში 56), ზაიცი (დანდი 37), განია
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
15 378 მაყურებელი

### ლევერკუზენი 0:0 მიუნხენი

ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ჟივკოვიჩი, რამელო, რეები (გრეშკო 60), ბალაკი, ნოივილი (ბ. შნაიდერი 60), ზე რობერტო, კირსტენი (რინკი 60), ბრდარიჩი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
მიუნხენი: იენჩი, შტრანცლი, კურცი, ჩერნი, ზელიჩი (ელერსი 10), ტაისი, ე. მიუკლანდი, ჰესლერი (ბორიმიროვი 62), ბაიროფკა (ჰასლაკი 83), აგოსტინო, მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: რეები, ბალაკი, შტრანცლი, ბრდარიჩი, მიუკლანდი, კურცი
გაძევება: რინკი (90)
22 500 მაყურებელი

### ბოხუმი 3:0 უნტერჰახინგი

1:0 მარიჩი (50), 2:0 პეშელი (69), 3:0 მარიჩი (88)
ბოხუმი: ვან დუინოვენი (ტ. ერნსტი 58), მამიჩი, დიკჰაუტი, მილინოვიჩი, მანდრეკო, შინდცილორცი, მაიხელბეკი, პეშელი (რისტაუ 89), ბასტურკი, ბაკლი (ვებერი 46), ს. მარიჩი
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ზაიფერტი, გრასოვი, დ. შვარცი, შტრაუბე, ობერლაიტნერი (გარსია 66), მატიას ციმერმანი, კომპადო (კიოგლი 61), რაკლი (ჰირში 79), ბრაიტენრაიტერი
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი
გაფრთხილება: მანდრეკო, მაიხელბეკი, ვებერი, შტრაუბე
15 500 მაყურებელი

### კაიზერსლაუტერნი 1:1 კოტბუსი

1:0 ჰ. კოხი (23), 1:1 მიჩევსკი (47)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, რამზი, კლოსი, კომლიენოვიჩი, კლოსე (როოსი 86), შტრასერი, პეტერსონი, ხრისტოვი (შტარკი 89), ლოკვენცი, ტარე (აჯიჩი 68)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
კოტბუსი: პიპლიცა, ბუჟოროვიჩი, შებოკი, მატიუში, სკერბე, რეგეკამპფი, აკპაროვიჩი, კობილანსკი (ბეეკი 86), მიჩევსკი (ლატუნდი 78), ლაბაკი (ფ. ჰორვატი 82), ჰელბიგი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: რამზი, კლოსე, აკპაროვიჩი, ბუჟოროვიჩი
35 354 მაყურებელი

### აინტრახტი 1:1 დორტმუნდი

1:0 ვიმერი (21), 1:1 ბობიჩი (71)
აინტრახტი: ჰაინენი, კრახტი, კუჩერა, შური, ლიოში, მუტცელი (რასიევსკი 46), ვიმერი, გუიე-მიენი, ჰელდტი (ვაისენბერგერი 58), რაიხენბერგერი, ჩენ იანგი (ჩირიჩი 79)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
დორტმუნდი: ლემანი, ნოიჰაუსი, მეცელდერი, კოლერი, ევანილსონი, სტევიჩი (რიკენი 65), ოლისე, დედე, ადო, იკპება (რეინა 65), ბობიჩი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: კრახტი, ვიმერი, ევანილსონი, ადო, სტევიჩი
38 600 მაყურებელი



ლაუტერნი — კოტბუსი 1:1. ცხვირდაშავებული ანტუნ ლაბაკი მასპინძელ ტომაშ კლოსს მაინც მედგრად შებრძოლებია

**არჩილ არველაძეს** შვიდი ტური დასჭირდა ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველი ოფიციალური გოლის გასატანად. „ჰერტა“ — „კიოლნის“ მატჩის 23-ე წუთი მიდიოდა: ლოტნერმა საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა, თუმცა ბურთი ბერლინელთა კარს გვარიანად ცდებოდა. სწორედ ამ დროს ქართველმა ფორვარდმა ვარდნაში მას მარცხენა შეაგება და მიმართულება შეუცვალა. კირალი კი გადახტა, მაგრამ ტაბლოზე მაინც 0:1 აინთო, რომელიც ხუთ წუთში 0:2-მა, კიდევ ოცდაათ წამში (!) 1:2-მა, კიდევ ერთ წუთში კი 2:2-მა შეცვალა. ნამდვილი სასწაული იყო.

28-ე წუთზე ლოტნერმა პენალტი გამოიყენა და თითქოს თავისიანებს გვარიანი უპირატესობაც მოუპოვა — 2:0, მაგრამ განახლდა ცენტრიდან თამაში და ხუთ წამში ბურთი პრიოლის ზურგსუკან ამოჩნდა: ალვეშმა პირდაპირ ცენტრიდან დაარტყა და სასწაულებრივი გაიტანა, პრიოლს კი ამ დროს ხელში მახათი ეჭირა. მარტო ამ ეპიზოდში კი არა, „კიოლნის“ „კარის დარაჯი“ მთელი შეხვედრა უსაქმოდ იყო, სტუმრებმა 90 წუთი ფაქტობრივად უმეკარეოდ ჩაატარეს. თავად განსაჯეთ, „კიკერმა“, რომელსაც ყველაზე ცუდ შეფასებად „5“ ბალი აურჩევია, პრიოლს 5,5 დაუწერა, რაც ჩვენებურად ნულის ტოლფასია.

ალვეშის გოლით თავზარდაცემულმა კიოლნელებმა ცენტრიდან თამაში განაახლეს, ბურთი დაკარგეს და უმალ მეორე გაუშვეს. თავი მიხაელ პრეეცმა გამოიჩინა, რომელსაც ასისტენტობა მატჩის უდავო გმირმა ალექს ალვეშმა გაუწია. მერე დარიუშ ვოშის ჯერიც დადგა, რომელმაც ერთ წუთში ორი ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა, ოღონდ ეს ორი ბურთი ერთმანეთს 15-წუთიანმა შესვენებამ დააშორა.

მეორე ნახევარში მეტი აღარაფერი მომხდარა. „კიოლნი“ ისევ შოკში იყო, რომლიდანაც იქნებ კარგა ხანს ვერ გამოვიდეს, „ჰერტა“ კი ორბურთიანი უპირატესობითაც დაკმაყოფილდა.

ზემოთ „კიკერი“ და შეფასებები ვახსენეთ. არჩილ არველაძემ, რომელიც ბოლო დროს ხუთიანებს დაეჩვია, ბუნდესლიგაში გადასვლის მერე ყველაზე კარგი შეფასება დაიმსახურა — 2,5 აქამდე ვერ მიეღო.

„ფეხბურთელიც ვყოფილვარ, ახლა მწვრთნელი ვარ, მაგრამ ასეთ რამეს არასოდეს შევსწრებივარ. ეს სასწაული იყო. შესვენებაზე ბიჭები შევაგულიანე, მატჩის გადარჩენისკენ მოვუწოდე, თუმცა მეოთხე გოლის შემდეგ ეს შეუძლებელი იყო“ — გაოგნებული საუბრობდა ჟურნალისტებთან „კიოლნის“ მთავარი მწვრთნელი ევალდ ლინენი.

„ფრაიბურგმა“ კი წინა ტურში განცდილ პირველ მარცხს მეორეც მოაყოლა და დარწმუნებული იყავით, კიდევ ბევრს მიაყოლებს.

ფოლკერ ფინკეს შეგირდებმა კვირას ბრემენის „ვერდერს“ უმასპინძლეს და 0:1 წააგეს. ეს მარცხი დავიმსახურეთო, სწორედ შენიშნა ნამატჩევს „ფრაიბურგის“ თავკაცმა. მართლაც, მასპინძლებმა ძალიან ცუდად ითამაშეს. განსაკუთრებით მეორე ტაიმში, როცა „ვერდერის“ კარს ერთხელაც არ დამუქრებიან, ბრემენელებმა კი გოლცს მოსვენება დაუკარგეს. გადამწყვეტი გოლიც მაშინ გაუტანეს. არადა, პირველი ნახევრის შემდეგ „ფრაიბურგის“ ასეთ სუსტ თამაშს არავინ ელოდა. შესვენებამდე მასპინძლები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მომენტებსაც ქმნიდნენ. იაშვილი, კობიაშვილი და ცქიტიშვილიც ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ რად გინდა, „ფრაიბურგი“ მეთერთმეტე საფეხურამდე დაეშვა და ამიერიდან ალბათ თავის გადასარჩენად მოუწევს ბრძოლა.

ახლა სენსაციებზეც ვთქვათ. „კაიზერსლაუტერნმა“ შინ დებიუტანტ „კოტბუსს“ ვერ მოუგო და მასპინძელთა თავკაც ოტო რეჰაგელსაც თავს კრიტიკის ქარცეცხლი ახალი ძალით დაატყდა. მწვრთნელს გასამართლებელ მიზეზად გუნდის ძირითადი ბირთვის ტრავმები აქვს, თუმცა ქომაგებს ეს ნაკლებად აინტერესებთ. ისინი შედეგს ითხოვენ. ახლაც 35 ათასამდე კაცი სტადიონზე „კოტბუსის“ განადგურების ხილვის იმედით მივიდა, თუმცა... მასპინძლები დებიუტშივე კი დაწინაურდნენ, მაგრამ 48-ე წუთზე მიჩევსკიმ წონასწორობა ერთხელ და საბოლოოდ აღადგინა.

ისე, „კაიზერსლაუტერნის“ ფრე „ბაიერნის“ მარცხთან რა მოსატანია? ბავარიელები შინ შერცხვნენ. თანაც ვისთან, არ იკითხავთ? როსტოკის „ჰანზასთან“, რომელსაც „ოლიმპიაშტადიონიდან“ სამი ქულის წაღება ალბათ ვერც დაესიზმრებოდა.

შაბათს „ბაიერნი“ მოშლილი იყო და თავის თავს არ ჰგავდა. ვინც მატჩი იხილა, იმას მიუნხენელთა მარცხი არ გაუკვირდებოდა. ბავარიელებზე არც 60 ათასი ქომაგის სტვენამ იმოქმედა, არც ლანძღვა-გინებამ. ასეთი უსუსური „ბაიერნის“ ხილვა საოცარი იყო. სულ ორისამი საგოლე მომენტი შეიქმნა „ჰანზას“ კართან, საპირისპიროსთანაც ამდენივე, რომელთაგან ერთი, მე-15 წუთზე, გოლით დასრულდა — ემარა სალიჰამიჯიჩს გასცდა და ბრანდს მიაწოდა, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია. და მაინც, „ბაიერნს“ თამაშის გადარჩენა შეეძლო, თუმც პიკენჰაგენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბუნდესლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ტყუილად არ ითვლება და 90-ე წუთზე შოლის ჯარიმიდან დარტყმულს აღუდგა წინ. ასე დამარცხდა „ბაიერნი“ ზედიზედ მეორედ: შუა კვირაში პსჟ-სთან ჩემპიონთა ლიგაში 0:1, ახლა როსტოკელებთან ასეთივე ანგარიშით.

მარცხის მიუხედავად, „ბაიერნმა“ ლიდერობა შეინარჩუნა, რადგან „შალკემ“ ჰამბურგში პირწმინდად წააგო, „დორტმუნდმა“ კი ქულა მატჩის მიწურულსღა იხსნა.

და „ლევერკუზენი“? კრისტოფ დაუმის გუნდი ვერნერ ლორანტის „მიუნხენ 1860“-ს დაუზავდა. 90 წუთი ისე გაილია, მეტოქეებმა ერთმანეთს გოლი ვერ გაუტანეს. არადა, საამისო მომენტები ორივეს ჰქონდა.

**ვანო ოქრობირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 7 | 5 | 0 | 2 | 16:7 | 9 | 15 | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 6 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 6 |
| 2 | შალკე | 7 | 4 | 2 | 1 | 15:5 | 10 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 7 |
| 3 | დორტმუნდი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:12 | 1 | 13 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 3 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:5 | 5 | 10 |
| 4 | ჰერტა | 7 | 4 | 0 | 3 | 18:13 | 5 | 12 | 4 | 4 | 0 | 0 | 14:2 | 12 | 12 | 3 | 0 | 0 | 3 | 4:11 | -7 | 0 |
| 5 | მიუნხენი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:8 | 3 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 |
| 6 | აინტრახტი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:8 | 3 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 10 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 1 |
| 7 | ჰამბურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 16:14 | 2 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 8:8 | 0 | 4 |
| 8 | ლევერკუზენი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 4 |
| 9 | ბოხუმი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:13 | -6 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:8 | -3 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 4 |
| 10 | ჰანზა | 7 | 3 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 4 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 6 |
| 11 | ფრაიბურგი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:6 | 4 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:2 | 6 | 7 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 |
| 12 | ვოლფსბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 14:14 | 0 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 12:7 | 5 | 8 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | -5 | 0 |
| 13 | ვერდერი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 0 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 |
| 14 | შტუტგარტი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | -3 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | -7 | 1 |
| 15 | ლაუტერნი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | -3 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | -5 | 1 |
| 16 | კიოლნი | 7 | 1 | 2 | 4 | 10:13 | -3 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | -5 | 1 |
| 17 | უნტერჰახინგი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | -6 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 5 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | -10 | 0 |
| 18 | კოტბუსი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:17 | -10 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:11 | -8 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აგოსტინო (მიუნხენი) | 6 |
| ჰერლიხი (დორტმუნდი) | 6 |
| იანკერი (ბაიერნი) | 6 |
| სანდი (შალკე) | 6 |
| მპენზა (შალკე) | 6 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 5 |

### VIII ტური

13 ოქტომბერი
დორტმუნდი — ფრაიბურგი
14 ოქტომბერი
კოტბუსი — ბაიერნი
ვერდერი — ლევერკუზენი
შტუტგარტი — ჰამბურგი
კიოლნი — ბოხუმი
შალკე — აინტრახტი
მიუნხენი — ლაუტერნი
15 ოქტომბერი
ჰანზა — ჰერტა
უნტერჰახინგი — ვოლფსბურგი

## მეორე ბუნდესლიგა

VII ტური

### დუისბურგი 3:3 ალენი

0:1 ბელა (21), 0:2 ბამბა (39პ), 1:2 ვედაუ (45), 2:2 მ. ცაიერი (53პ), 2:3 ბელა (60), 3:3 გუვენისიკი (74)

### ზაარბრიუკენი 3:2 ობერჰაუზენი

1:0, 2:0 ხოჟი (17, 19), 3:0 ჰუტველკერი (74), 3:1 ჰაიერი (82), 3:2 ტრიუდერი (86)

### გლადბახი 4:2 ზანქტ პაული

1:0 ოშტჰოფი (10), 1:1 კლასნიჩი (16), 1:2 ბაჩინსკი (53), 2:2 დემო (57), 3:2 ვან ლენტი (59), 4:2 ნილსენი (89)

### კიკერსი 2:2 ვალდჰოფი

1:0 სილვინიო (2), 1:1, 1:2 ვუკოტიჩი (45, 48პ), 2:2 სილვინიო (69)

### ფიურტი 3:0 ალემანია

1:0 ფელგენაუერი (45), 2:0 ტიური (79), 3:0 ლამბტეი (89)

### ოსნაბრუკი 2:1 ულმი

1:0 კლასენი (8), 2:0 ტიუნი (10), 2:1 ოტო (90)

### ქემნიცი 0:2 მაინცი

0:1 უაკილი (67პ), 0:2 კრამნი (85)

### ჰანოვერი 5:1 როიტლინგენი

1:0 შტენდელი (1), 2:0 ლალა (2), 2:1 ბეკერი (32), 3:1 სტეფული (51), 4:1 ბუნუა (62), 5:1 დაბრიცი (86)

### არმინია 1:2 ნიურნბერგი

1:0 ვიკი (45), 1:1 დრილერი (51), 1:2 იოჰანსონი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 7 | 6 | 1 | 0 | 16:4 | 19 |
| ზაარბრიუკენი | 7 | 5 | 1 | 1 | 13:9 | 16 |
| ჰანოვერი | 7 | 4 | 2 | 1 | 14:5 | 14 |
| გლადბახი | 7 | 3 | 4 | 0 | 15:6 | 13 |
| არმინია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| ზანქტ პაული | 7 | 4 | 0 | 3 | 20:13 | 12 |
| ალემანია | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 11 |
| ფიურტი | 7 | 3 | 1 | 3 | 13:8 | 10 |
| ობერჰაუზენი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| როიტლინგენი | 7 | 3 | 1 | 3 | 13:15 | 10 |
| მაინცი | 7 | 2 | 3 | 2 | 10:10 | 9 |
| ვალდჰოფი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:16 | 8 |
| ულმი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:13 | 7 |
| კიკერსი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:14 | 6 |
| დუისბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:11 | 5 |
| ოსნაბრუკი | 7 | 1 | 1 | 5 | 6:13 | 4 |
| ქემნიცი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:16 | 4 |
| ალენი | 7 | 0 | 3 | 4 | 10:20 | 3 |

## იტალია

### I ტური

**ნაპოლი 1:2 იუვენტუსი**

1:0 სტელონე (41), 1:1 კოვაჩევიჩი (67), 1:2 დელ პიერო (74)
ნაპოლი: კომპოლა, საბერი, ბალდინი, ფრეზი, ბაჩინი (ტროისე 75), ვიდიგალი, მატუზალემი, ტედესკო (მაგონი 59), სესა (დი ვიჩინო 75), სტელონე, ბელუჩი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ძანკი (ბირინდელი 65), ფერარა, ტუდორი, პესოტო, ბაკინი, კონტე (კოვაჩევიჩი 65), ტაკინარდი, ზიდანი, დელ პიერო, ფ. ინძაგი (ბრიგი 79)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ბალდინი, ძანკი, ფრეზი, ბრიგი, ბირინდელი
80 000 მაყურებელი

**პარმა 2:2 ფიორენტინა**

1:0 ამოროზო (5), 1:1 პიერინი (64), 1:2 ამორუზო (82), 2:2 ამოროზო (92პ)
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, ფ. კანავარო, სერჟიუ კონსეისაუ, ლამუში, აპია (ბონაცოლი 83), ფალსინი, მიკუ (ბოლანო 49), მილოშევიჩი (დი ვაიო 76), ამოროზო
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, ადანი, პიერინი, ვანოლი, ბრეშანი (ფირიკანო 79), როსიტო (კ. ამორუზო 65), რუი კოშტა, დი ლივიო, ნუნუ გომეში, მიატოვიჩი (რეპკა 79)
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
გაფრთხილება: ტორიჩელი, ამორუზო, ადანი
გაძევება: რეპკა (90)
19 000 მაყურებელი

**მილანი 2:0 ვიჩენცა**

1:0 ბირჰოფი (15), 2:0 შევჩენკო (84)
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო, ალბერტინი, ამბროზინი, კოკო, ლეონარდო (გულიელმინპიეტრო 67), ბირჰოფი (კომანდინი 86), შევჩენკო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ვიჩენცა: სტერჩელე, კომოტო, კარდონე, კროვარი, დიკარა, მარკო აურელიო, მაურიციო როსი (მაჯიო 83), ლონგო (ბერნარდინი 72), კალონი (ლუიზო 57), ძაული, ტონი
მწვრთნელი: ედუარდო რეია
გაფრთხილება: ამბროზინი, დიკარა, ლუიზო, გატუზო, ძაული
46 836 მაყურებელი

**ატალანტა 2:2 ლაციო**

0:1 მიხაილოვიჩი (3), 1:1 პანკარო (20ს.კ.), 2:1 კ. ძენონი (57), 2:2 ინძაგი (72)
ატალანტა: ფონტანა, ზაური, კარერა, პაგანინი, სივილია, კ. ძენონი, დ. ძენონი, დონატი, დონი (ბელინი 79), როსინი (ვენტოლა 80), განცი (პინარდი 90)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, სტანკოვიჩი, სენსინი (სიმეონე 66), ნედვედი, ვერონი, კლაუდიო ლოპესი (ს. ინძაგი 66), სალასი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: ფონტანა, კ. ძენონი, ნესტა
27 000 მაყურებელი

**უდინეზე 4:2 ბრეშა**

1:0 სოსა (2), 1:1 ბიზოლი (20), 2:1 გარგო (37), 3:1 იაკინტა (59), 3:2 დიანა (81), 4:2 მუცი (85)
უდინეზე: ტურჩი, ძამბონი, გარგო, ბერტოტო, ვილგაარდი, ჯანიკედა, ფიორე (ელგერა 68), ვალემი, დიასი (ალბერტო 84), იაკინტა (მუცი 72), სოსა
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი, ბონერა, მერო, დიანა, ე. ფილიპინი (ილანა 74), ა. ფილიპინი (ბიზოლი 46), კოზმინსკი, რ. ბაჯო, უბნერი, გონსალესი (თურქილმაზი 46)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: იაკინტა, უბნერი
15 000 მაყურებელი

# ესეც სერიაა



REUTERS ნეშმოლეოდან

ნაპოლი — იუვენტუსი 1:2. ალესანდრო დელ პიეროს დარტყმული ბურთი ფრანჩესკო ბალდინისაც აცდა და მასპინძელთა კარშიც შევარდა

**რომა 2:0 ბოლონია**

1:0 ტოტი (47), 2:0 კასტელინი (62ს.კ.)
რომა: ანტონიოლი, ძებინა (რინალდი 72), სამუელი, ძაგო, კაფუ, მარკოს ასუნსაო (ტომაზი 46), კ. ძანეტი, კანდელა, ტოტი, დელვეკიო (გიუგო 89), ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ბოლონია: პალიუკა, კასტელინი, ბია, დალ კანტო, ბრიოსკი, ოლივე, ლიმა, ტონეტო (გალი 83), ლოკატელი, ოლივეირა, ხულიო კრუზი (ბინოტო 72)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ოლივე, სამუელი, კაფუ, დალ კანტო
60 000 მაყურებელი

**რეჯინა 2:1 ინტერი**

0:1 რეკობა (10), 1:1 პოსანცინი (45), 2:1 მარაზინა (50)
რეჯინა: ტაიბი, ვარგასი, სტოვინი, ოზადოგანი, კანეირა, ბრევი, კოცა (ბერნინი 68), ძანჩეტა, მორაბიტო, მარაზინა (და კოშტა 75), პოსანცინი (ბოგდანი 72)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ინტერი: ფრეი, კორდობა, ბლანი, ფერარი, ვამპეტა (ჩირილო 72), დი ბიაჯო (მაჩელარი 61), ზეედორფი, ფარინოსი, კინი (კოლომბო 72), ჰაქან შუქური, რეკობა
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: სტოვინი, კინი, ბლანი, ბრევი, კოლომბო
28 000 მაყურებელი

**პერუჯა 1:1 ლეჩე**

0:1 ვუგრინეცი (24), 1:1 მატერაცი (74პ)
პერუჯა: მაცანტინი, ზე მარია, მატერაცი, მონაკო, პიერი, ბაიოკო, ტედესკო, ლივერანი (ბლაზი 86), ანი (ვრიზასი 55), ბუჩი, გინაზუ
მწვრთნელი: სერსე კოსმი
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი, მალუსკი, სავინო, ბალერი, ვიალი, მატეო (პივოტო 46), პიანჯერელი, კოლონელო (ოლივარესი 89), ვუგრინეცი, ოსორიო (კ. ლუკარელი 64)
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
გაფრთხილება: ლივერანი, პიანჯერელი, კოლონელო, ოსორიო
გაძევება: პივოტო (72), ვრიზასი (72)
10 000 მაყურებელი

**ბარი 1:1 ვერონა**

1:0 ანდერსონი (80პ), 1:1 გონელა (86)
ბარი: ჯ. როსი, ნექროიზი, მაცარელი, ინოჩენტი, ბელავისტა, დელ გროსო (ჯორჯეტი 46), დ. ანდერსონი, მარკიჩი (ლა ფორტეცა 46), ოსმანოვსკი, სპინეზი (მასინგა 75), კასანო
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
ვერონა: ფერონი, ოდო, გონელა, ცვიტანოვიჩი (ფერარეზე 77), ლაურსენი, იტალიანო, სალვეტი, კოლუჩი, მელისი (კაზეტი 63), მუტუ (ჯილარდინო 63), ადაილტონი
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: ლაურსენი, დელ გროსო, ცვიტანოვიჩი, ოდო, იტალიანო, ანდერსონი
11 756 მაყურებელი

**ყოველ** წელიწადს, პირველ ტურში ვილაც ქულას კარგავს და ამბობს, ეგ არაფერი, წინ მთელი ჩემპიონატიაო. მერე ჩემპიონატი გადის — რა არის ერთი სეზონი, ჩიტივით გაგვიფრინდება — და ის, ვინც პირველ ტურში ქულა დაკარგა, ამბობს, ის ქულა ხელიდან რომ არ გაგვეშვა, ახლა ამა და ამ ადგილზე ვიქნებოდიო. ეს თითქოს სისულელეა, მაგრამ სისულელე ცხოვრების ნაწილია.

„მრცხვენია, რადგან ხალხის წინაშე წარვადგინე გუნდი, რომელიც აი ასე უგულოდ თამაშობს" — ბრძანა უცნობილესმა მარჩელო ლიპიმ მისი „ინტერის" რეჯინაში მარცხის შემდეგ. ლიპის თავს მილანის ცაზე სამსახურიდან გაშვების შავი ღრუბელი აქამდეც დაჰყვებოდა — ხომ გახსოვთ, როგორ გავარდა გუნდი ჩემპიონთა თასიდან ვილაც „ჰელსინგბორგთან" წაგების გამო — ახლა კი უფრო მოიქუფრა.

არადა, მილანელებმა ანგარიში მეათე წუთზევე გახსნეს, გოლი ურუგვაელმა ალვარო რეკობამ გაიტანა, მაგრამ ტაიმთა გასაყარზე დავიდე პოსანცინიმ, მეორე ნახევრის მეხუთე წუთზე კი მასიმო მარაზინამ სამი ქულის შინ დასატოვებელი საქმე გააკეთეს.

მაგრამ, რატომ დავიწყეთ ახალი სეზონის პირველივე ტურის მიმოხილვა სირცხვილზე და უგულო თამაშზე ლაპარაკით? ხომ შეიძლებოდა პირიქით, შეუპოვრობითა და ყოჩაღობით დაგვეწყო? აი, მაგალითად ის ამბავი მოვყვეთ, პარმაში „ფიორენტინამ" როგორ გამოგლიჯა მასპინძლებს (თუ პირიქით) ხელიდან ქულა.

შავი ღრუბლები „ფიორენტინას" მწვრთნელად ახალდანიშნული თურქის, ფატიჰ თერიმის თავზეც მოქუჩებულიყო. მიზეზი იგივე: გუნდი საერთაშორისო სარბიელიდან გავარდა — უეფას თასზე ავსტრიულმა „ტიროლმა" აჯობა. ამიტომაც განსაკუთრებით უნდოდა თერიმს პირველ ტურში ეფექტის მოხდენა, თან „პარმასთან". და მიაღწია კიდევაც საწადელს — მასპინძლები მალევე დაწინაურდნენ (მარსიო ამოროზოს ლონიერი თავურით), სტუმრებმა კი მეორეს დასაწყისში გაათანაბრეს (ალესანდრო პიერინი). ამოროზოზე ნაკლები ამორუზო მგელმა შეჭამოსო — საფინალო სასტვენამდე რვა წუთით ადრე მარსიოს ფლორენციელმა მოგვარემ (ერთნაირად იწერება, ოღონდ სხვაგვარად გამოითქმის), კრისტიანმა „ფიორენტინა" ძალიან მიუახლოვა გამარჯვებას, მაგრამ 90-ზე პარმელებმა პენალტი მოინადირეს (ჩეხი ტომაშ რეპკას გაძევებით) და ისევ პირველმა ამოროზომ გამოიჩინა თავი.

ამოროზო(უ)თა ამ კალეიდოსკოპის შემდეგ ბერგამოში გადავინაცვლოთ, სადაც „ატალანტამ" ჩემპიონ „ლაციოს" უმასპინძლა. ეს შეხვედრა ზემოთ აღწერილის მსგავსად 2:2 დასრულდა. ანგარიში აქაც შეხვედრის დასაწყისში, მე-3 წუთზე გაიხსნა, ოღონდ სტუმრები დაწინაურდნენ. გოლი სინიშა მიხაილოვიჩმა შორიდან, მისთვის ჩვეული მეთოდით საჯარიმო დარტყმით გაიტანა, ოღონდ ბერგამოელები არ შეშინდნენ, მითუფრო მაშინ, როდესაც „ლაციოს" მცველმა ჯუზეპე პანკარომ თავურით ბურთი საკუთარ კარში შეაგდო. შესვენების შემდეგ კრისტიან ძენონიმ რომაელთა მცველების განლაგებაში თვალით დერეფანი გამოსახა, შიგ შევარდა და მათ კარში მეორე გოლი გაიტანა, მაგრამ 67-ე წუთზე სვენ გორან ერიკსონმა კლაუდიო ლოპესი სიმონე ინძაგით შეცვალა და ფორვარდმაც გაქვითა — პაველ ნედვედის დარტყმულ და ფონტანას მოგერიებულ ბურთს თავი მასპინძელთა კარში ამოაყოფინა.

„რომამ", რომლის შემადგენლობაშიც არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტას დებიუტი ჰქონდა, ზემოთ ჩამოთვლილ დიდ გუნდებზე ნაკლები იწვალა და „ბოლონიას" 2:0 მოუგო. ანგარიშის გახსნას მარკოს ასუნსაოს ზუსტი პასი და ფრანჩესკო ტოტის ასეთივე თავური დასჭირდა, ხოლო გაზრდას ბოლონიელი მცველის მარჩელო კასტელინის ავტოგოლი.

თავდაჯერებული სტარტი ჰქონდა „მილანსაც". მისი მეტოქე სერია A-ში ახალაღზევებული „ვიჩენცა" გახლდათ. მის კარში გოლები იმ ხალხმა გაიტანა, ვისაც უნდა გაეტანა: ჯერ ოლივერ ბირჰოფმა, ხოლო შემდეგ ანდრეი შევჩენკომ. ბირჰოფმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ სეზონის დასაწყისში ჩინებულ ფორმაშია და ჩემპიონთა ლიგაში „ბეშიქთაშისა" და „ბარსელონას" კარში გოლები ტყუილად არ გაუტანია. ამიტომაც მიიღო მიწვევა გერმანელთა ნაკრების ახალი მწვრთნელისგან რუდი ფიოლერისგან.

უდინეში კი ძალიან იწვიმა, ცა და მიწა გაერთიანდა და ჯანღში ჩაიკარგა რობერტო ბაჯოს დებიუტი „ბრეშას" შემადგენლობაში. დიდი ელ-ჭექი იყო: ოთხჯერ სტუმართა კარში დაიქუხა, ორჯერ კი მასპინძელთა, „უდინეზეს" კარში.

ხოლო წინა დღეს, ლაღ და გულღია ნეაპოლელებს ინდუსტრიული ტურინის შავ-თეთრი გუნდი დაატყდა თავს. მასპინძლები 41-ე წუთზე დაწინაურდნენ — ჩირო ფერარას ბურთი დავიდე სესამ აწაპნა, მარჯვენა ფრთაზე გაინავარდა და რობერტო სტელონეს დაბალი პასით გააზნევინა ანგარიში, მაგრამ მატჩის მიწურულს ჩრდილოელებმა ორით უპასუხეს. ჯერ მოედანზე ორი წუთის შესულმა დარკო კოვაჩევიჩმა გაქვითა თავურით, ზინედინ ზიდანის პასის შემდეგ კი ალესანდრო დელ პიერომ ჩააზუჭუჭა ოსტატურად.

**ბაბუნა ბედია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | უდინეზე | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 | რომა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 | იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 5 | რეჯინა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 | ლაციო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 7 | პარმა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 | ფიორენტინა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 9 | ატალანტა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 | ვერონა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 | პერუჯა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 12 | ლეჩე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 | ბარი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 | ინტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 15 | ნაპოლი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 16 | ბრეშა | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 |
| 17 | ბოლონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 18 | ვიჩენცა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |

**II ტური**

14 ოქტომბერი
ინტერი — ნაპოლი
ლაციო — პერუჯა
15 ოქტომბერი
ბოლონია — მილანი
ბრეშა — პარმა
ფიორენტინა — რეჯინა
იუვენტუსი — ბარი
ლეჩე — რომა
ვერონა — უდინეზე
ვიჩენცა — ატალანტა

## სერია B

### V ტური

**სიენა 0:0 ტერნანა**

**ტრევიზო 3:2 კროტონე**

1:0 პიცი (45), 1:1 დეფლორიო (53), 2:1 ტედოლდი (59), 2:2 პეკორარი (67), 3:2 მორანტე (82)

**რავენა 1:4 პისტოიეზე**

0:1 ბიზარი (45), 0:2 ბაიანო (53), 1:2 დელ ანო (60პ), 1:3 ალიეტი (73), 1:4 ბიანკონე (78)

**ჯენოა 1:2 სალერნიტანა**

1:0 მუტარელი (10), 1:1 კრისტიანო (58), 1:2 დი მიკელე (90)

**ემპოლი 1:0 პიაჩენცა**

1:0 ბალდინი (15)

**კოზენცა 1:0 მონცა**

1:0 პავონე (55)

**ჩიტადელა 1:1 პესკარა**

1:0 სტურბა (68), 1:1 ჯამპაოლო (83)

**კალიარი 1:1 კიევო**

0:1 კორინი (59პ), 1:1 სულჩისი (60)

**ანკონა 0:0 ვენეცია**

**ტორინო 1:0 სამპდორია**

1:0 ფერანტე (20)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 11 |
| კალიარი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:6 | 10 |
| კოზენცა | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| კიევო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| პიაჩენცა | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | 9 |
| ვენეცია | 5 | 2 | 3 | 0 | 8:6 | 9 |
| პისტოიეზე | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 8 |
| სამპდორია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ჩიტადელა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ანკონა | 5 | 2 | 2 | 1 | 4:4 | 8 |
| სალერნიტანა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ტერნანა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ემპოლი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| მონცა | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | 6 |
| ტორინო | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| ტრევიზო | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| ჯენოა | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | 3 |
| კროტონე | 5 | 1 | 0 | 4 | 4:13 | 3 |
| რავენა | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | 2 |
| პესკარა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:9 | 1 |

## სერია C1/A

მე-5 ტური: ალექსანდრია — ალბინოლეფე 1:0; ბრეშელო — ლივორნო 1:1; კარარეზე — რეჯანა 1:1; ლეკო — სპეცია 0:1; ლუკეზე — ჩეზენა 1:3; მოდენა — ალძანო 3:2; პიზა — ლუმეცანე 2:2; სპალ — არეცო 2:1; ვარეზე — კომო 1:0

## სერია C1/B

მე-5 ტური: აველინო — ნოჩერინა 2:0; ბენევენტო — სავოია 5:4; დი სანგრო — ასკოლი 2:3; კატანია — მესინა 4:0; ფერმანა — ტორესი 3:0; ჯულიანოვა — ატლეტიკო 1:1; აკილა — ფ. ანდრია 4:0; ლოდიჯანი — პალერმო 1:2; ვიტერბეზე — პეზარო 0:1



# ლუქსემბურგოს ლუქსემბურგის ნაკრები მოუხდებოდა

**მოსახდენი მოხდა.** ასე რომ იქნებოდა, ეჭვი, კარგა ხანია, აღარავის ეპარებოდა და მხოლოდ თარიღი იყო დასაზუსტებელი.

სიდნეიდან მობრუნებული ლუქსემბურგო შაბათს რიო დე ჟანეიროს გოლფკლუბში ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდო ტეიშეირას შეხვდა. საუბარი ხანმოკლე გამოდგა. ტელეკომპანია „გლობოს" ცნობით, ლუქსემბურგო ნაკრების (ოლიმპიურის და ეროვნულის) მწვრთნელი აღარაა. ბრაზილიელთა მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი ოლიმპიადის მეოთხედფინალში ლუქსემბურგოს გუნდის ცხრაკაციან კამერუნთან მარცხი გახდა.

იმავ „გლობოს" ცნობით, ახალი მწვრთნელის დაუყოვნებლივ დანიშვნა მოსალოდნელი არაა. 7 ოქტომბერს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ბრაზილია ვენესუელას ესტუმრება და ნაკრებს ლუქსემბურგოს თანაშემწე, ახლა კი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი კანდინიო უხელმძღვანელებს. რაც შეეხება ნაკრების ახალ თავკაცს, უპირველეს კანდიდატად „კრუზეიროს" მწვრთნელ ლუის ფელიპე სოლარის ასახელებენ.

უახლესი ბრაზილიური ამბები ასეთია. ლუქსემბურგოს გადადგომასა და „დიდი ფილის" შესაძლო აღზევებაზე უფრო დაწვრილებით ხვალ ვისაუბროთ.


# სარბიელი
## სპორტული ლატარია
## CROCO

ჰოლანდია. თასი
4 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 001 | გრააფსხაპი-მაასტრიხტი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

ამხანაგური მატჩი
4 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | საფრანგეთი-კამერუნი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

ჰოკეი
4 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 901 | დალასი-კოლორადო | 1,8 | 4,0 | 2,3 |

5 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 902 | ბოსტონი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 903 | ბუფალო-ჩიკაგო | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 904 | ფილადელფია-ვანკუვერი | 1,25 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 905 | კალგარი-დეტროიტი | 2,5 | 4,0 | 1,7 |
| 24.00 | 906 | ფინიქსი-სენტ ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,1 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

**ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.**

**ამ კვირის სრული პროგრამა — ხვალინდელ „სარბიელში"**


## საფრანგეთი

X ტური

**ნანტი 0:0 ლილი**

**მარსელი 1:1 ლიონი**

1:0 ბელმადი (7), 1:1 ანდერსონი (52პ)

**გენგამი 1:1 პარი სენ ჟერმენი**

1:0 როდრიგესი (60პ), 1:1 ლუქსენი (86)

**მონაკო 2:2 ბორდო**

1:0 სიმონე (22), 2:0 გალიარდო (35), 2:1 პაულეტა (36), 2:2 ვილმოტსი (80)

**ლანსი 0:0 სტრასბური**

**სენტ ეტიენი 0:2 რენი**

0:1 ტურდო (45), 0:2 დიატა (90)

**ტრუა 1:1 სედანი**

0:1 კუინტი (21), 1:1 გაზი (90)

**ტულუზი 0:1 ოსერი**

0:1 გივარში (20)

**ბასტია 1:0 მეცი**

1:0 კაზანოვო (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბასტია | 10 | 6 | 1 | 3 | 15:10 | 19 |
| პსჟ | 10 | 5 | 3 | 2 | 21:14 | 18 |
| ლანსი | 10 | 4 | 4 | 2 | 11:10 | 16 |
| ლილი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:8 | 15 |
| მონაკო | 10 | 4 | 3 | 3 | 16:14 | 15 |
| ტრუა | 10 | 4 | 3 | 3 | 15:13 | 15 |
| ლიონი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:9 | 14 |
| მარსელი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:12 | 14 |
| გენგამი | 10 | 4 | 2 | 4 | 12:12 | 14 |
| მეცი | 10 | 4 | 2 | 4 | 8:9 | 14 |
| ბორდო | 10 | 3 | 4 | 3 | 14:12 | 13 |
| ოსერი | 10 | 4 | 1 | 5 | 10:11 | 13 |
| რენი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:8 | 12 |
| სედანი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:11 | 12 |
| ნანტი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:17 | 12 |
| სენტ ეტიენი | 10 | 2 | 4 | 4 | 16:20 | 10 |
| სტრასბური | 10 | 3 | 1 | 6 | 10:22 | 10 |
| ტულუზი | 10 | 1 | 3 | 6 | 8:14 | 6 |

### მეორე დივიზიონი

მე-12 ტური: გენიონი — კანი 0:0; კრეტეი — აიაჩო 1:0; ლავალი — მარტიგი 2:0; ლე ავრი — მონპელიე 3:0; ლორიანი — სოშო 1:1; ნანსი — ანჟერი 0:0; ნიცა — ნიორი 0:1; ნიმი — კაენი 1:2; ვასკეალი — ლე მანი 2:1; ბოვუა — შატორუ 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონპელიე | 12 | 7 | 3 | 2 | 16:9 | 24 |
| სოშო | 12 | 7 | 2 | 3 | 22:10 | 23 |
| ლავალი | 12 | 7 | 2 | 3 | 16:11 | 23 |
| ნანსი | 12 | 6 | 4 | 2 | 14:5 | 22 |
| ლე ავრი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:9 | 20 |
| ლორიანი | 12 | 5 | 5 | 2 | 16:11 | 20 |
| ნიორი | 12 | 5 | 4 | 3 | 14:12 | 19 |
| შატორუ | 12 | 4 | 5 | 3 | 11:13 | 17 |
| კრეტეი | 12 | 4 | 3 | 5 | 12:12 | 15 |
| მარტიგი | 12 | 3 | 6 | 3 | 10:11 | 15 |
| ნიმი | 12 | 4 | 3 | 5 | 15:20 | 15 |
| კაენი | 12 | 4 | 3 | 5 | 14:19 | 15 |
| ნიცა | 12 | 4 | 2 | 6 | 10:13 | 14 |
| ლე მანი | 12 | 2 | 7 | 3 | 13:13 | 13 |
| ვასკეალი | 12 | 3 | 4 | 5 | 10:12 | 13 |
| კანი | 12 | 2 | 5 | 5 | 17:20 | 11 |
| ბოვუა | 12 | 2 | 5 | 5 | 10:14 | 11 |
| ანჟერი | 12 | 2 | 5 | 5 | 12:18 | 11 |
| გენიონი | 12 | 1 | 6 | 5 | 5:11 | 9 |
| აიაჩო | 12 | 2 | 3 | 7 | 8:18 | 9 |

## თურქეთი

მე-7 ტური: ბეშიქთაში — გაზიანთეფი 2:4; ადანა — რიზე 1:0; ანთალია — ფენერბაჩე 0:1; იოზგათი — ანკარაგიუჯიუ 0:1; იეთფა — ტრაბზონი 1:4; ისთანბული — ერზურუმი 1:0; გენჩლერბირლიგი — გალათასარაი 1:4; ქოჯაელი — ბურსა 0:0; დენიზლი — სამსუნი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 7 | 5 | 1 | 1 | 20:5 | 16 |
| ბეშიქთაში | 7 | 5 | 1 | 1 | 18:8 | 16 |
| ტრაბზონი | 7 | 5 | 1 | 1 | 14:5 | 16 |
| ფენერბაჩე | 7 | 5 | 0 | 2 | 15:9 | 15 |
| გაზიანთეფი | 7 | 4 | 2 | 1 | 17:8 | 14 |
| გენჩლერბირ. | 7 | 4 | 1 | 2 | 10:9 | 13 |
| ანთალია | 7 | 3 | 2 | 2 | 10:7 | 11 |
| სამსუნი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:11 | 11 |
| ანკარაგიუჯიუ | 7 | 3 | 1 | 3 | 8:12 | 10 |
| ადანა | 7 | 2 | 3 | 2 | 12:10 | 9 |
| იოზგათი | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 |
| დენიზლი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:10 | 8 |
| ისთანბული | 7 | 2 | 2 | 3 | 4:11 | 8 |
| ერზურუმი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:16 | 7 |
| რიზე | 7 | 1 | 3 | 3 | 5:7 | 6 |
| ბურსა | 7 | 0 | 3 | 4 | 4:15 | 3 |
| იეთფა | 7 | 0 | 2 | 5 | 9:20 | 2 |
| ქოჯაელი | 7 | 0 | 1 | 6 | 3:14 | 1 |

## ბელგია

მე-8 ტური: გენკი — ანდერლეხტი 1:1; ბრიუგე — მეხელენი 5:2; გენტი — ანტვერპენი 4:2; სტანდარდი — ვესტერლო 5:3; ლუვიე — სენტ ტრუიდენი 1:0; ბეერსხოტი — აალსტი 2:0; ლიერსი — ჰარელბეკე 4:1; ლოკერენი — ბევერენი 1:1; მუსკრონი — შარლერუა 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 8 | 8 | 0 | 0 | 32:8 | 24 |
| ანდერლეხტი | 8 | 6 | 2 | 0 | 27:10 | 20 |
| სტანდარდი | 8 | 5 | 1 | 2 | 24:12 | 16 |
| მუსკრონი | 8 | 5 | 1 | 2 | 21:9 | 16 |
| გენტი | 8 | 5 | 1 | 2 | 20:15 | 16 |
| ლიერსი | 8 | 5 | 0 | 3 | 17:11 | 15 |
| შარლერუა | 8 | 5 | 0 | 3 | 17:16 | 15 |
| ვესტერლო | 8 | 4 | 2 | 2 | 16:14 | 14 |
| ლოკერენი | 8 | 3 | 4 | 1 | 11:10 | 13 |
| ბეერსხოტი | 8 | 4 | 0 | 4 | 13:12 | 12 |
| გენკი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:9 | 9 |
| ბევერენი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:13 | 8 |
| ლუვიე | 8 | 1 | 3 | 4 | 5:16 | 6 |
| ჰარელბეკე | 8 | 1 | 1 | 6 | 12:27 | 4 |
| აალსტი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:23 | 4 |
| სენტ ტრუიდენი | 8 | 0 | 3 | 5 | 6:13 | 3 |
| ანტვერპენი | 7 | 1 | 0 | 6 | 6:15 | 3 |
| მეხელენი | 8 | 0 | 2 | 6 | 10:24 | 2 |

## ჰოლანდია

მე-8 ტური: გრააფსხაპი — ფეიენოორდი 2:3; სპარტა — ტილბურგი 1:2; გრონინგენი — პსვ 0:1; ვიტესი — უტრეხტი 2:1; ვალვაიკი — ტვენტე 1:1; როდა — ალკმარი 4:2; ჰერენვენი — აიაქსი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტესი | 7 | 5 | 1 | 1 | 18:10 | 16 |
| ბრედა | 7 | 4 | 1 | 2 | 14:6 | 13 |
| პსვ | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| ფეიენოორდი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:4 | 12 |
| აიაქსი | 7 | 3 | 2 | 2 | 14:9 | 11 |
| ნაიმეგენი | 7 | 2 | 5 | 0 | 13:9 | 11 |
| ვალვაიკი | 8 | 3 | 2 | 3 | 8:8 | 11 |
| როდა | 5 | 2 | 3 | 0 | 12:8 | 9 |
| ტილბურგი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 9 |
| ტვენტე | 7 | 2 | 3 | 2 | 12:12 | 9 |
| ჰერენვენი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| გრონინგენი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:17 | 8 |
| უტრეხტი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| ალკმარი | 6 | 2 | 0 | 4 | 10:15 | 6 |
| გრააფსხაპი | 7 | 2 | 0 | 5 | 10:15 | 6 |
| სპარტა | 6 | 1 | 1 | 4 | 11:16 | 4 |
| როზენდალი | 7 | 1 | 0 | 6 | 9:17 | 3 |
| სიტარდი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:15 | 1 |

## შოტლანდია

X ტური

**დანდი 0:0 კილმარნოკი**

დანდი: დუგლასი, სმიტი, უილკი, ტვიდი, მაკკიმინგი, არტერო (მილნი 58), ბილიო, რაე, რომანო, ნემსაძე, ფალკონერი (კოინი 72)

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

6 170 მაყურებელი

**აბერდინი 1:1 სელტიკი**

1:0 უინტერსი (45), 1:1 ლარსონი (82)

**ჰართსი 3:0 მოზერუელი**

1:0 დიური (13), 2:0 კირკი (27), 3:0 დიური (58)

**რეინჯერსი 3:0 დანდი იუნ.**

1:0 კანჩელსკისი (32), 2:0 ალბერტცი (42), 3:0 ვან ბრონკჰორსტი (73)

**სენტ ჯონსტონი 0:3 ჰიბერნიანი**

0:1 სოზე (16), 0:2 ზიტელი (23), 0:3 ლატაპი (74)

**სენტ მირენი 2:0 დანფერმლაინი**

1:0 მაკგოვენი (21), 2:0 ირდლი (32), 2:1 დეირი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 9 | 8 | 1 | 0 | 22:8 | 25 |
| ჰიბერნიანი | 10 | 7 | 2 | 1 | 19:5 | 23 |
| რეინჯერსი | 9 | 7 | 1 | 1 | 21:12 | 22 |
| კილმარნოკი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:10 | 17 |
| ჰართსი | 10 | 3 | 4 | 3 | 13:11 | 13 |
| დანდი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:10 | 13 |
| აბერდინი | 9 | 2 | 5 | 2 | 11:11 | 11 |
| სტ. ჯონსტონი | 9 | 2 | 5 | 2 | 9:11 | 11 |
| დანფერმლაინი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:15 | 9 |
| სენტ მირენი | 10 | 2 | 1 | 7 | 6:14 | 7 |
| მოზერუელი | 10 | 1 | 2 | 7 | 5:15 | 5 |
| დანდი იუნ. | 10 | 0 | 2 | 8 | 6:21 | 2 |

## შვეიცარია

XIII ტური

**სერვეტი 1:1 ციურიხი**

1:0 პეტროვი (71), 1:1 ჯამარაული (72)

ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, კასტილიო, კვენტინი (დელ სინიორე 81), პალასი, პელინგა (პელდმანი 73), ჟანინი, ჯამარაული, ხაველაშვილი, ბარტლეტი, ბიულმანი (ფრიკი 20)

მწვრთნელი: ჟილბერ გრესი

**ლუგანო 1:1 არაუ**

1:0 გიმენეზი (32), 1:1 ფიხტერი (80)

არაუ: ბენიტო, ბადერი, სკრჟიპჩაკი, პავლიჩევიჩი, ფიხტერი, დე ნაპოლი, ბალდასარი (ეგიმანი 17), პრევიტალი, ბაუდრი (იოდიჩე 87), ხომერიკი, ივანოვი (სალვო 90)

მწვრთნელი: როლფ ფრინგერი

**გრასჰოპერი 5:0 სიონი**

1:0 იაკინი (2), 2:0 კაბანასი (31), 3:0 შვეგლერი (47), 4:0 შაპუიზა (50), 5:0 მელუნოვიჩი (86)

**ივერდონი 2:0 ლოზანა**

1:0 კარლენი (24 ს.კ.), 2:0 პეკო (64)

**ლუცერნი 1:5 სენტ გალენი**

0:1 განე (14), 0:2, 0:3 ამოა (26, 39), 0:4 ცვისიგი (44), 1:4 სელიმი (60), 1:5 მიულერი (85)

**ბაზელი 5:1 ქსამაქსი**

1:0 ჰუგელი (4), 2:0 კანტალუპი (19), 3:0 ჩუგა (51), 3:1 კამარა (70), 4:1 მ[illegible] (76), 5:1 ვარელა (82)

**ხუთშაბათს** უეფას თასიდან ბელგიური „გენკის" მიერ გამოგდებული „ციურიხი" კვირას ჟენევაში „სერვეტს" ესტუმრა და იქაც წააგებდა, მხსნელად ქართველი გოჩა ჯამარაული რომ არ მოვლენოდა. წინა ტურში დუბლით თავგამოჩენილმა ჩვენებურმა მასპინძლებს გახარება არ აცალა. „ჯამარაულმა თავისი ცნობილი დრიბლინგი განახორციელა და 20 მეტ[illegible] ძლიერი დარტყმით წონასწორობა [illegible] დგინა" — წერს „ნოიე ციურხერ ცაიტუნგი." აღსანიშნავია, რომ აქამდე „სერვეტს" 432 წუთის განმავლობაში გოლი არ გაეშვა.

ჟენეველები „ციურიხთან" მატჩში ჯამარაულის გოლამდე წუთით ადრე დაწინაურდნენ — პეტროვმა დაცვაში კვენტინის უხეში შეცდომით ისარგებლა და ახლოდან ანგარიში გახსნა. მერე სტუმრებმა ცენტრიდან თამაში განაახლეს და ჯამარაულმაც შეაგდო. ამის გარდა „ციურიხმა", რომელმაც მთელი თამაში დაცვაში გაატარა და კონტრშეტევების იმედად იყო, სულ ერთხელ შექმნა ხიფათი მეტოქის კართან, მაშინაც ბარტლეტმა ვერ ივარგა. სამაგიეროდ, ამ ფეხბურთელმა 51-ე წუთზე ისახელა თავი, დიოჯოს თავით დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა და თავისიანები წაგებისგან იხსნა. მასპინძლებს კიდევ რამდენიმე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ პეტროვის გოლსა და ქულას დასჯერდნენ.

ლევან ხომერიკს კი 47-ე წუთზე ფეხით ან 76-ე წუთზე თავით რომ ემარჯვა, „არაუს" სტუმრად ლიდერ „ლუგანოსთან" იქნებ მოეგო კიდეც, ასე კი ფრე იკმარა. ისე, არაუელებმა ამაზეც მადლობა უნდა თქვან, რადგან მარცხს მატჩის მიწურულსღა გადაურჩნენ. ისინი 32-ე წუთზე ჩამორჩნენ — გიმენეზმა სეზონში მეთერთმეტე გოლი გაიტანა (ცნობისთვის: შვეიცარიაში მოთამაშე სამივე ქართველმა ხუთ-ხუთი ბურთი გაიტანა). სტუმრებს ადრევე უნდა გაეთანაბრებინათ, მაგრამ 43-ე წუთზე ბაუდრიმ პენალტიდან ხარიხა შეაზანზარა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 13 | 8 | 3 | 2 | 21:7 | 27 |
| ლოზანა | 13 | 8 | 0 | 5 | 25:19 | 24 |
| გრასჰოპერი | 13 | 7 | 2 | 4 | 31:10 | 23 |
| სენტ გალენი | 13 | 6 | 5 | 2 | 22:11 | 23 |
| სერვეტი | 13 | 5 | 5 | 3 | 20:15 | 20 |
| ბაზელი | 13 | 5 | 4 | 4 | 25:20 | 19 |
| ციურიხი | 13 | 3 | 7 | 3 | 22:16 | 16 |
| სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 14:24 | 15 |
| არაუ | 13 | 4 | 2 | 7 | 15:25 | 14 |
| ლუცერნი | 13 | 4 | 2 | 7 | 18:30 | 14 |
| ივერდონი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:26 | 12 |
| ქსამაქსი | 13 | 2 | 2 | 9 | 13:38 | 8 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი.
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge